ანზორ თოთაძე

ოსები საქართველოში:
მითი და რეალობა

მეორე შევსებული გამოცემა

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2008

ნაშრომში გაშუქებულია ქართულ-ოსური კონფლიქტის ანატომია, ქართული და უცხოური ლიტერატურული წყაროებისა და ოფიციალური დემოგრაფიული მონაცემების ანალიზის საფუძველზე განხილულია საქართველოში XVII-XIX საუკუნეებში ოსების ჩამოსახლებისა და ცხინვალის ძირძველი მოსახლეობის საკითხები, ნაჩვენებია ოსი დილეტანტი მეცნიერების აბსურდული მოსაზრება „სამხრეთ ოსეთის" 1774 წელს რუსეთთან შეერთების შესახებ, მათ მიერ საქართველოს ოსტორიის დამახინჯების არნახული ფაქტები და ქართული კულტურული მემკვიდრეობის მითვისების ცდები, მთელი რიგი ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით საქართველოში მცხოვრების ოსების ცხოვრების ყველაზე მაღალი დონე ყოფილ საბჭოთა კავშირში.

რედაქტორი აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე

რეცენზენტები: პროფესორი ანზორ სახვაძე
პროფესორი ვაჟა გურგენიძე

© ა. თორთაძე, 2008

გამომცემლობა „უნივერსალი", 2008

თბილისი, 0128, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 99940-61-90-9

კონფლიქტის ანატომია

კავკასიაში შეიარაღებული კონფლიქტები ხშირად მოიხსენიება როგორც ეთნიკური კონფლიქტები, რაც მთელი სისრულით არ გამოხატავს ამ კონფლიქტების ბუნებას. კონფლიქტების მიმდინარეობის ხასიათმა თვალნათლივ დაგვანახვა, რომ კონფლიქტების წარმოშობისა და დღემდე მოუგვარებლობის მნიშვნელოვანი ფაქტორი არის რუსეთის პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და სხვა ინტერესები. ამიტომ რუსეთი ესწრაფვოდა და ახლაც ყოველმხრივ ესწრაფვის კონფლიქტებს მისცეს მთლიანად ეთნიკური ელფერი, რასაც გარკვეულწილად მიაღწია კიდეც. ამდენად, კონფლიქტები ეთნოპოლიტიკური ხასიათისაა. გამონაკლისს წარმოადგენს კონფლიქტი ჩეჩნეთში, რომელიც ძირითადად უკავშირდება ჩეჩენი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, თუმცა ეთნიკური ელემენტები ამ კონფლიქტისათვისაც დამახასიათებელია.

საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში არა ერთი დიდი თუ მცირე კონფლიქტი მოხდა ეროვნულ ნიადაგზე. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან ტოტალიტარული რეჟიმის, გაბატონებული საბჭოთა იდეოლოგიის პირობებში ეროვნულ პრობლემებზე საწინააღმდეგო აზრის ღიად გამოთქმა მეტად საშიში იყო. კომუნისტურ პარტიას მარადიულად მიჩნეული შეხედულებათა სისტემა გააჩნდა, მათ შორის, ეროვნული ურთიერთობების სფეროშიც, რომელიც მკაცრად იყო გამოვლენილი უპირატესად, საზოგადოებრივი ცნობიერების პოლიტიკურ ფორმაში. არადა ეროვნული პრობლემები განიცდიდა განვითარებას, მწიფდებოდა და საჭიროებდა შესაბამის გადაწყვეტას. ამასთან, ავტონომიების შექმნის დროს ნაკლებად ითვალისწინებდნენ რეალურ ვითარებას, ყველაფერი ერთპიროვნულად კრემლში წყდებოდა. მაგრამ ეს არ იყო ეთნიკური კონფლიქტების წარმოშობის ერთადერთი ფაქტორი. რუსეთს, რომელსაც განუსაზღვრელი ზეგავლენა ჰქონდა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე და ცალკეული რესპუბლიკების ხელმძღვანელები შეპასუხებასაც კი ვერ უბედავდნენ თავიანთი ქვეყნების ეროვნული ინტერესების დასაცავად, უცებ აღმოჩნდა, რომ თავისი უპრეცენდენტო გავლენიდან აღარაფერი დარჩა. ოფიციალურად შეუძლებელი იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში ადრინდელი ზეგავლენის დაბრუნება. ორპოლუსიანი მსოფლიო, სადაც

სუპერსახელმწიფოებს რუსეთი და აშშ წარმოადგენდნენ, ერთპოლუსიანი გახდა. რუსეთმა პოსტსაბჭოთა სივრცეში ზეგავლენის აღსადგენად ცალკეულ რესპუბლიკაში და განსაკუთრებით გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ რეგიონებში მხარი დაუჭირა სეპარატისტულ ძალებს, ზოგჯერ კი თვითონ იზრუნა, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლის პირიოდში, ამ ძალების შექმნაზე და შემდეგ ყოველმხრივ შეუწყო ხელი ეთნოკონფლიქტების ფართოდ გაღვივებას, რომლებსაც ათი ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. მაგალითად, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ არა რუსეთის მხარდაჭერა საქართველოში ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები არც წარმოიშობოდა, ან, ყოველ შემთხვევაში, ისინი სისხლისღვრის გარეშე ჩაცხრებოდა. რუსეთს ახლაც შეუძლია ამ კონფლიქტების მყისიერი მოგვარება, თუკი იგი სეპარატისტ ძალებს აგრძნობინებს, რომ არავითარ სამხედრო და ეკონომიკურ დახმარებას ისინი რუსეთის მხრიდან არ მიიღებენ და თავის სამშვიდობო მისიას პირნათლად შეასრულებს. მაგრამ რუსეთი იმპერიული მიზნების გამსახორციელებლად, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ძველი პოზიციების შესანარჩუნებლად, სადაც კი შეუძლია ან ამის საჭიროებას დაინახავს, ხელოვნურად ახდენს ან ხელს უწყობს ეთნიკური კონფლიქტების გაღვივებას, რაც შეიძლება განზრახ აჭიანურებს კონფლიქტებს, რათა საბოლოოდ ამ რესპუბლიკებში თავისი ზეგავლენა კვლავ მოიპოვოს. ეს კონფლიქტები რუსეთის მეშვეობით არსებობს და ამას ცხადად მოწმობს მთელი რიგი შემდეგი გარემოებები.

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას ემთხვევა ეროვნებათშორისი კონფლიქტები, რაც სრულებითაც არ იყო შემთხვევითი. რუსეთი, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, გავლენის სფეროების დაკარგვას ვერ ეგუება. არც დროსა და სივრცეში ერთმანეთთან დაშორებული მოვლენების მჭიდრო კავშირი იყო შემთხვევითი. ძირითადად მოსკოვიდან იმართებოდა დნეპრისპირეთში, აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“ მიმდინარე მოვლენები. წინასწარ მომზადდა საომარ სიტუაციათა მოდელები. ასე იყო აფხაზეთში, „სამხრეთ ოსეთში“ და სხვაგან.

არც ეთნოტერიტორიული კონფლიქტების სპეციფიკური თვისებაა შემთხვევითი. საქართველოში არსებულ კონფლიქტებს მკვეთრად გამოკვეთილი გეოგრაფიული გამოხატულება აქვთ — ეს კონფლიქტები გასდევს რუსეთ-საქართველოს საზღვარს. ამასთან, საქართველოში

ცხოვრობენ ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი ეროვნული უმცირესობები, რომელთა რაოდენობა ბევრად აღემატება აფხაზებისა და ოსების რაოდენობას, მაგრამ საქართველოს მათთან შეუდარებლად უფრო ნაკლები პრობლემები აქვს. საქმე ისაა, რომ ისინი ცხოვრობენ რუსეთის საზღვრიდან მოშორებით და რუსეთისათვის ბევრად ადვილი და მოსახერხებელია ეთნო კონფლიქტები შექმნან უშუალოდ მათ მოსაზღვრედ მცხოვრებ აფხაზებსა (რომელთა რაოდენობა ამჟამად აფხაზეთში დაახლოებით 42 ათას კაცს უდრის) და ოსებში (40 ათასი კაცი). ასე, რომ აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი" რუსეთისათვის გადაიქცა საქართველოზე ზემოქმედების ბერკეტად, ისე როგორც რუსეთმა სხვა ყოფილ რესპუბლიკებზე ზემოქმედების სხვადასხვა, ძირითადად მაინც ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის ბერკეტი გამოიყენა.

რუსეთს საქართველოზე ზეგავლენა ხელ-ფეხს უხსნის მთელ ამიერკავკასიაში თავისი ინტერესების რეალიზაციისათვის. ამას განსაზღვრავს საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა. კავკასიის რეგიონში ზეგავლენის უზრუნველყოფა რუსეთის ძირითადი პოლიტიკური ამოცანაა, რომლის გადაწყვეტის გარეშე მას არ შეუძლია იყოს დიდი სახელმწიფო. ამიტომ ცდილობს იგი არ დაუშვას სხვისი ზეგავლენა სამხრეთ კავკასიაზე. მაგრამ სულ სხვაგვარად ფიქრობენ აშშ და დასავლეთის სახელმწიფოები. როგორც აღნიშნავენ, რუსეთს არ შეუძლია ამჟამად და არც უახლოეს პერსპექტივაში კავკასიაში ითამაშოს გადამწყვეტი როლი და ამიტომ აუცილებელია „საერთო კავკასიურ პროცესში" აქტიურად ჩაერთონ გავლენიანი მოთამაშეები, უპირველეს ყოვლისა, აშშ და ევროკავშირი.

ქართველი და ოსი ხალხების მრავალსაუკუნოვანი, ტრადიციული მეგობრობა, მოყვრობა და ურთიერთნამშრომლობა სერიოზული გამოცდის წინაშე აღმოჩნდა, რაც ჩვენს ხალხებს თავს მოახვიეს გარეშე ძალებმა. ეს ძალები ცდილობენ, ხელი შეუშალონ "ჩატეხილი ხიდის" აღდგენას, რისთვისაც ქმნიან სიყალბესა და სიცრუეზე აგებულ „იდეოლოგიას". ამის დასტურია თუნდაც მხოლოდ 2006 წელს ოსი სეპარატისი ავტორების მიერ მოსკოვში ზედიზედ ოთხი სქელტანიანი წიგნის გამოცემა; ამით სურთ შექმნან ცრუ წარსული ისტორიის ხელახალი გადაწერის გზით, რათა თავდაყირა დააყენონ ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ჭეშმარიტი ისტორია. ყოველივე ეს აფერხებს ქვეყნის სახელმწიფოებრიობის აღმშენებლო-

ბას, საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა ინტეგრაციის პროცესებს.

ასეთ გამოხდომებს საკადრისი პასუხი უნდა გაეცეს. ეს საჭიროა როგორც ქართველების, ისე ოსებისათვის, რადგან ცრუ ცოდნა და გაყალბებული ისტორია ნოყიერ ნიადაგს ქმნის ისეთი მავნე მოვლენების განვითარებისათვის, რომლებიც არც ამჟამად და არც მომავალში კეთილად არ წაადგება ჩვენი ხალხების საერთო საქმეს.

უკანასკნელ წლებში მომრავლდა ოსი ცრუმეცნიერების, ფაქტობრივად დილეტანტების, მიერ დაწერილი საკმაოდ სქელტანიანი წიგნები, რომლებშიც საქართველოსა და საერთოდ კავკასიის ისტორია თავდაყირაა წარმოდგენილი. ისინი არაფრისაგან თხზავენ თავიანთ ცრუ ისტორიას, უწყალოდ ამახინჯებენ წერილობით წყაროებს, სტატისტიკურ მონაცემებს და, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, ცდილობენ სასურველი სინამდვილედ წარმოაჩინონ. ყოველივე ეს ემსახურება ერთ მიზანს — გაამართლონ საქართველოს მიწა-წყალზე თვითგამოცხადებული „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის" ცალკე, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობა, საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა. ოს სეპარატისტებს ამ საქმეში გვერდში უდგანან, ყოველმხრივ აქეზებენ და ეხმარებიან რუსეთის რეაქციული ძალები, ურომლისოდაც ისინი ასეთ უხეშ ჩარევას საქართველოს შინაურ საქმეებში ვერ გაბედავდნენ. ოსი სეპარატისტები ხელყოფენ საქართველოს მიწა-წყალს და ქართველთა მიერ თავიანთი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ზრუნვას ქართველთა აგრესიად მიიჩნევენ. დილეტანტი ოსი მეცნიერები სარგებლობენ საქართველოში შექმნილი რთული ვითარებით, რომელიც ყოველთვის თან ახლავს დამოუკიდებლობის მოპოვებას, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას და გამონაგონი ისტორიით ცდილობენ თავანთი ხალხი დააყენონ აგრესიის გზაზე, შუღლი და მტრობა დათესონ ქართველ და ოს ხალხებს შორის, რომელთაც ურთიერთმეზობლობისა და თანაცხოვრების საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვთ.

ოსი ხალხის ისტორია ძირითადად ქართულ წყაროებშია დაცული, რადგან ოსებს დამწერლობა არ ჰქონდათ. რომ არა ქართული წყაროები, მათ თავიანთი უძველესი ისტორია ფაქტობრივად არც ეცოდინებოდათ. მაგრამ ისინი ამჟამად ქართულ წყაროებს როგორც აწყობთ ისე კითხულობენ და ისტორიულ რეალობებს მრუდე სარკე-

ში წარმოაჩენენ. ავიწყდებათ, რომ უძველესი ქართული ისტორიული თუ ლიტერატურული წყაროები, რომელთა ნაწილი თარგმნილია უცხო ენებზეც, ცნობილია არა მარტო ქართველოლოგებისათვის, არამედ უცხოელი, მათ შორის, ცნობილი რუსი ისტორიკოსებისათვისაც. ამიტომ ვინც წამდაუწუმ სქელტანიან წიგნებს სცემს მოსკოვში და „ვისაც სურს შექმნას ახალი წარსული ისტორიის ხელახალი გადაწერის გზით", ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ უძველეს ქართულ წყაროებს ბევრად უფრო თვალსაჩინო მკვლევარები სწავლობენ, ვიდრე კონიუნქტურას აყოლილი ოსი დილეტანტი მეცნიერები, რომელთა ნაშრომებში იკვეთება მხოლოდ მათთვის სასურველი ერთი იდეა — ოსეთი ორი—სამხრეთი და ჩრდილოეთი ნაწილისაგან შედგება. ამისათვის კი საჭიროა ვამტკიცოთ მითი, იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში და კერძოდ, შიდა ქართლში, ოსები უხსოვარი დროიდან ცხოვრობენ და იგი არასოდეს ყოფილა საქართველოს ტერიტორია, რასაც ისინი დიდი მონდომებით აკეთებენ კიდეც. მათი აზრით, 1774 წელს ერთიანი ოსეთი, როგორც ჩრდილოეთი ისე სამხრეთი, შეუერთდა რუსეთს და საქართველოს არაფერი ესაქმება რუსეთის ტერიტორიასთან. მთელი 70 წლის განმავლობაში სამხრეთ ოსეთი, რომელიც წარმოადგენდა საქართველოს ავტონომიურ ოლქს, განიცდიდა კოლონიურ ჩაგვრას და აქ მოსახლე ოსების ცხოვრების დონე უაღრესად დაბალი იყო. ამიტომ, მათივე აზრით, სამხრეთ ოსეთის პრობლემა უნდა გადაწყდეს საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური პრინციპების შესაბამისად, რომელიც აღიარებულია გაეროს მიერ და რომელიც იძლევა ხალხთა თვითგამორკვევის გარანტიას. 2006 წლის ივნისში, საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრის დროს, საქართველოს პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ საქართველოს ტერიტორიის ანექსია მიმდინარეობს და საქართველო „არც ერთ მეტრს" არავის დაუთმობს. ამ განცხადების გაკეთებამდე ცოტა ხნით ადრე რუსული დიპლომატის ლექსიკონიდან რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სიტყვიერი აღიარებაც კი გაქრა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საერთოდ დაივიწყა სამხრეთ ოსეთის საქართველოს შემადგენლობაში დე იურედ ყოფნა და ბოლო პერიოდში არაერთხელ განაცხადა, რომ ის „საერთაშორისო დონეზე აღიარებული კონფლიქტის ზონაა," რომლის სტატუსი მოლაპარაკების გზით უნდა განისაზღვროს. რუსეთის საგარეო უწყებამ "ერთა თვითგამორკვევის უფ-

ლებაც" გაიხსენა.[1] ამრიგად, ის რაც წიგნებში დაიწერა, უკვე უმაღლესი დონის შეხვედრის დროს ან უშუალოდ მისი მომზადებისას ითქვა. ასე, რომ წიგნების გამოსაცემად ტყუილად როდი იხარჯებიან.

ალბათ, მსოფლიოში არ არსებობს სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზე მეზობელი ქვეყნის ერის წარმომადგენლებიც არ ცხოვრობდნენ. ახლა მათ რომ ამ სახელმწიფოებში ტერიტორიების მისაკუთრება დაიწყონ ისტორიულ სამშობლოსთან მიერთების მიზნით, მსოფლიო საშინელ ხოცვა-ჟლეტას ვერ გადაურჩება. ამიტომ დიდმა სახელმწიფოებმაც ამ საქმეში საღი აზრით უნდა იხელმძღვანელონ, რადგან ასეთი სრულიად უსაფუძვლო პრეტენდენტების დაშვების შემთხვევაში, ფართო გასაქანი ეძლევა სწორედ საერთაშორისო სამართლით აღიარებული ფუძემდებლური პრინციპების უხეშ დარღვევებს.

საქართველოს მთავარი მდინარის — მტკვრის დინებამ განსაზღვრა ისტორიული ქართლის ზემო, შიდა და ქვემო ქართლად დაყოფა. ქართველი მემატიანეების, ადრეფოდალური ხანის ქართული აგიოგრაგიული ძეგლებისა და VII საუკუნის სომხური გეოგრაფიის მიხედვით შიდა ქართლის უძველესი სახელწოდება იყო ზენა სოფელი. საქართველოს ეს ისტორიული პროვინცია XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის მიხედვით მოიცავდა ტერიტორიას "ტფილისითგან და არაგვითგან ვიდრე ტასისკარამდე და ფანვარადმდე".[2] იმავე მემატიანის თქმით, უფლოსმა, რომელიც იყო ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქის — ქართლოსის შთამომავალი და რომელსაც „ეპყრა ჭუეყანა არაგვითგან და ტფილისითგან ვიდრე ტასისკარამდე და ფანავრადმდე და ამან აღაშენა უფლის-ციხე, ურბნისი, კასპი, არაგვითგან და არმაზითგან ვიდრე ტასისკართამდე უწოდა ამას ჭუეყანასა ზენას-სოფლისა, რომელსა აწ ჰქვიან შიდა—ქართლი".[3] ქართლის (იბერიის) სამეფოს პირველმა მეფემ ფარნავაზ I-მა (ძვ. წ. IV საუკუნის მიწურული და III საუკუნის პირველი ნახევარი) ქართლის სამეფო დაყო საერისთავოებად, მათ შორის ერთ-ერთი საერისთავო იყო შიდა ქართლი, ადრინდელი პერიოდის ზენა სოფელი. მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე, ეს იქნებოდა ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი (რომელიც შიდა ქართლს შუა იბერიის სახელწოდებით მოიხსენიებს) თუ XVIII

---

[1] გაზ. "24 საათი", 15 ივნისი, 2006.
[2] ქართლის ცხორება. ტ. I, თბ., გვ.24.
[3] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 10.

საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი, XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერი და სხვა ქართველი მემატიანეები თუ ძველი ქართველი მწერლები, იტალიელი მისიონერები თუ ევროპელი მოგზაურები, ყველას უკლებლივ შიდა ქართლის ჩრდილოეთ საზღვრად კავკასიონის ქედი მიაჩნია. მართლაც, არა მარტო შიდა ქართლის, არამედ მთელი საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიონის ქედია.

საქართველომ თავის სახელმწიფოებრივ ძლიერებას XII საუკუნესა და XIII საუკუნის პირველ მეოთხედში მიაღწია. ამ პერიოდში იგი ახლო და შუა აღმოსავლეთში უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა, რასაც მნიშვნელოვანწილად მისი მოსახლეობის რაოდენობაც განაპირობებდა. მართლაც, 1254 წელს, მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით საქართველოში 8 მილიონი კაცი ცხოვრობდა.[1] აღსანიშნავია, რომ შუა საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა თითქმის მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული და ეს გარემოება არც იტალიელ მისიონერებს გამორჩენიათ მხედველობიდან, რომლებიც დასავლეთ საქართველოში ათეული წლები მოღვაწეობდნენ. თემურლენგის შემოსევების დროინდელ სპარსულ წყაროებში კი დასავლეთ საქართველოში „არაქართველი მოსახლეობის ყოფნისა და არსებობის არავითარი კვალი არ ჩანს".[2] რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, აქ გარკვეული რაოდენობით მეზობელი, მაგრამ არა ჩრდილოეთ კავკასიელი, ერის წარმომადგენლებიც ცხოვრობდნენ.

საქართველომ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აღმოსავლეთში ქრისტიანობის შენარჩუნებაში. ამას უცხოელი მეცნიერებიც აღიარებენ. გერმანელი მეცნიერი კ. კოხი, რომელმაც 1836 წელს იმოგზაურა საქართველოში, აღნიშნავდა: „როდესაც ირგვლივ ბერძნები და მცირე აზიელები თანდათან ისლამის რჯულს იღებდნენ, ქართველები

---

[1] ჩვენი გაანგარიშებით (იხ. ვ. ლორთქიფანიძე, ა. თოთაძე. საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა XII-XIII საუკუნეებში. ჟურნ. „დემოგრაფია," №1-2, 2006) 1254 წელს საქართველოში 8 მილიონი კაცი ცხოვრობდა, ზოგიერთი გაანგარიშებით — 5 მილიონი. მაგალითად, ივ. ჯავახიშვილი ამ პერიოდში საქართველოს მოსახლეობის რაოდენობას 5 მილიონი კაცით განსაზღვრავს, თუმცა, მისივე მოსაზრებით, ქვეყნის მოსახლეობა გაცილებით მეტიც შეიძლებოდა ყოფილიყო. ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი 12 ტომად. ტ. XII, თბ., 1998, გვ. 279, 506.

[2] კ. ტაბატაძე. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები X–XV სს. სპარსული წყაროების მიხედვით. იხ. წიგნი: საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბ., 1993, გვ.248.

და სომხები (ნაკლებად), თავიანთი მამაპაპური რწმენის ერთგულნი რჩებოდნენ. აღმოსავლეთში ქრისტიანობა სრული განადგურებისაგან მათ გადაარჩინეს".[1] სპარსელი ისტორიკოსების ცნობით, თემურლენგი დიდ გაკვირვებას გამოთქვამდა იმის თაობაზე, რომ საქართველოში მუსლიმანური ქვეყნების გარემოცვაში როგორ შემორჩა ქრისტიანული სარწმუნოება. იგი იქადნიდა, რომ უსათუოდ გამოასწორებდა წინაპართა მიერ დაშვებულ ამ შეცდომას და ბოლოს მოუღებდა ამ უმსგავსოებას.[2] თემურლენგმა შეძლო ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების, მათ შორის, ოსების ნაწილის გამუსულმანება.

მტრის გამუდმებული შემოსევების შედეგად საქართველო დაიშალა სამეფოებად და სამთავროებად. ამ პერიოდში რუსეთი საგრძნობლად ავიწროებს ჩრდილოეთ კავკასიის ბარის მოსახლეობას, მათ შორის ოსებს, ხოლო ყაბარდოელებმა ოსები საბოლოოდ ჩაკეტეს მთებში. ჩრდილოეთ კავკასიელებს მეტად მძიმე პირობები შეექმნათ არსებობისათვის. თანდათანობით ხდება მათი გადმოსახლება საქართველოში —კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე. მე-16 საუკუნის ბოლოსა და მე-17 საუკუნის დასაწყისში ასე ჩნდებიან კახეთში — ლეკები, შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში — ოსები და აფხაზეთში — აფსუები. ცალკეულ სამეფოებად დაშლილ საქართველოს უკვე არ შესწევს ძალა თავისი ქვეყნის ტერიტორია გაანთავისუფლოს მომხდურებისაგან. თავდაპირველად შიდა ქართლის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიის ნაწილში ოსები სახლდებიან ხიზნებად, ქართველი გლეხების გვერდით. შემდეგ, ჯერ ძალის გამოყენებით, მერე და მერე კი შიდა ქართლის ტერიტორიაზე მტრებთან გამუდმებულ ბრძოლებში ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილის ამოწყდომის გამო, ოსები, ჩრდილოეთიდან გადმოსულ თავიანთი თანამოძმეების ახალ ნაკადებთან ერთად, თანდათანობით მოიწევენ შიდა ქართლის ბარის ტერიტორიაზე და იკავებენ ქართველთა ნასახლარებს ძირითადად ქართველი თავადების — ქსნის ერისთავების, მაჩაბლების, ამილახვრებისა და ციციშვილების კუთვნილ მამულებში როგორც ხიზნები. ოს მეცნიერს, პროფესორ გ. თოგოშვილს დაწვრილებით აქვს განხილული ოსების ჩამოსახლების საკითხი შიდა ქართლში XVII–XVIII საუკუნეებში. მას მოტანილი აქვს დოკუმენტური მასა-

---

[1] კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თბ., 1981, გვ. 171-172.

[2] კ. ტაბატაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 249.

ლა იმის შესახებ, თუ როგორ ცდილობენ ფეოდალები მტრის შემოსევებისა და შინაფეოდალური ბრძოლების შედეგად შიდა ქართლის დაცარიელებული სოფლები კვლავ დაასახლონ[1] და ოსები თავის დამოკიდებულებაში მოაქციონ. მე–19 საუკუნის დასაწყისში ჩნდება ტერმინი "სამხრეთელი ოსი", ხოლო ამავე საუკუნის მეორე ნახევარში — "სამხრეთი ოსეთი". ამ ტერმინების გაჩენა, რუსული იმპერიული ძალების დიდ მცდელობასთან ერთად, იმ გარემოებამაც განაპირობა, რომ შიდა ქართლს ჩრდილოეთით, კავკასიონის ქედის გადაღმა უშუალოდ ესაზღვრებოდა ისტორიული ოსეთი, საკვლევი პერიოდისათვის — თაგაურის, ქურთათის, ალაგირისა და დიგორის ოსური თემები. ცხადია, ასეთ ვითარებას რომ არ ჰქონოდა ადგილი და ოსეთი უშუალოდ საქართველოს მეზობელი არ ყოფილიყო, მაშინ გაცილებით მეტი რაოდენობითაც რომ ჩამოსახლებულიყვნენ ოსები საქართველოში, მაინც არასოდეს გაჩნდებოდა აღნიშნული ტერმინები და არც მათი ავტონომიის შექმნის საკითხი დაისმებოდა ცენტრალურ საქართველოში, ისტორიულად და კულტურულად ქართულ მიწაწყალზე, რაც რუსული იმპერიული ძლებით იყო ნაკარნახები. ოსებმა დაიწყეს ბრძოლა ქართული ტერიტორიების მისაკუთრებისათვის. ეს პროცესი საბოლოოდ შიდა ქართლის ანუ ადრინდელი ზენა სოფლის ტერიტორიაზე 1922 წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნით დასრულდა.

მანამდე კი, როდესაც საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა და 1918-1921 წლებში დემოკრატიულ რესპუბლიკას წარმოადგენდა, ბოლშევიკური რუსეთის კარნახით შიდა ქართლის ოსებით დასახლებულ ტერიტორიაზე რამდენჯერმე მოეწყო აჯანყება დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ 1920 წლის 7 მაისს საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, რუსეთი უსიტყვოდ სცნობდა საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და ვალდებულებას იღებდა არ ჩარეულიყო საქართველოს საშინაო საქმეებში, იგი მანამდეც და შემდეგაც ძირს უთხრიდა საქართელოს დამოუკიდებლობას. ასეთ მძიმე ვითარებაში საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია 1920 წლის 20 მარტს განცხადებით მიმართავს ინგლისის, საფრანგეთის, აშშ-ის, იტალიის წამომადგენლებს თბილისში: "ჩვენ მივიღეთ ფაქტი-

[1] გ. თოგოშვილი. საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV–XVIII სს. თბ., 1969, გვ. 165-224.

ური აღიარება, რისთვისაც ძალიან მადლობელი ვართ, მაგრამ . . მხოლოდ შიშველმა აღიარებამ ვერ მოგვცა ვერავითარი უპირატესობა ჩვენი თავისუფლებისა და საელმწიფოებრივი არსებობის ბოლომდე შენარჩუნების საქმეში. . . ჩვენ განსაკუთრებით ჩაგვცა ლახვარი თანხმობის ქვეყნების ჩვენდამი დამოკიდებულებამ ჩვენი ჩრდილო საზღვრების დაცვის საქმეში, საიდანაც ჩვენი სახელმწიფოს დანგრევის მიზნით ბოლშევიკები მოემართებიან. ჩვენ არაერთხელ აღვძარით შუამდგომლობა ამ ბრძოლაში ამუნიციით და სურსათით მხარდაჭერისათვის. მხარდაჭერას დაგვპირდნენ. მაგრამ დღემდე ვერ მივიღეთ თქვენგან ვერც ერთი ვაზნა, ვერც ერთი ფუნტი პური. ახლა დადგა მომენტი, როდესაც მეტი ლოდინი შეუძლებელია და დაპირებებით ვერ დავკამყოფილდებით. . ჩვენ ისევ მარტონი დავრჩით, ან იმის გამო, რომ თქვენი მთავრობები არასაკმარისად არიან ჩახედულნი, ან კიდევ ბოლშევკური რუსეთის მიერ ჩვენი რესპუბლიკის დანგრევა აღმოსავლეთში თქვენი ინტერესების ხელყოფად არ ითვლება.

ასეთ ვითარებაში ჩვენი ხალხის უმაღლესი ინტერესები საქართველოს მთავრობას კარნახობს დაუყონებლივ ეძებოს ხსნის გზები უკვე თქვენს გარეშე, თქვენი ინტერსების გაუთვალისწინებლად".[1]

ასეთ მძიმე ვითარებაში, როდესაც რუსეთის წითელი არმიის ნაწილები უახლოვდებოდნენ საქართველოს საზღვრებს, ოსები შიდა ქართლში რამდენჯერმე აჯანყდნენ. რუსეთის მე-11 არმიის ხელმძღვანელობაც საქართველოზე შეტევისა და მისი გასაბჭოების მიზნით იმედს აჯანყებულ ოსებზე ამყარებდა, რომლებიც, აჯანყებულთა მიერ მიღებული მემორანდუმის მიხედვით, მხარს უჭერდნენ "სამხრეთ ოსეთში დაწყებულ კომუნისტურ აჯანყებებს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, სადაც გადატრიალებისათვის ყველაფერი მომწიფებული კი არა, გადამწიფებულიც არის".[1] აჯანყებული ოსები მოითხოვდნენ ავტონომიას და საბჭოთა რუსეთის შემადგნლობაში შესვლას. ბოლშევიკურმა რუსეთმა 1921 წელს მოახდინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსია და 25 თებერვალს გამოაცხადა საქართველოს გასაბჭოება. ოსებმა, ამ საქმეში გაწეული დახმარებისათვის, 1922 წელს სანაცვლოდ მიიღეს ავტონომია ოლქის სტა-

---

[1] ა. მენთეშაშვილი. ოსური სეპარატიზმი 1918-1920 წლებში. დანართი იხ. ოსთა საკითხი. თბ., 1996, გვ. 308-309.

[1] ა. მენთეშაშვილი. ოსური სეპარატიზმი 1918-1920 წლებში. დანართი იხ. ოსთა საკითხი. თბ., 1996, გვ. გვ-304.

ტუსით ისტორიული შიდა ქართლის ტერიტორიაზე. ამავე დროს ავტონომიური ოლქის შექმნით ჩადებული იყო ერთგვარი შენელებული მოქმედების ყუმბარა ანალოგიური ვითარების შემთხვევაში საქართველოზე ზეწოლის მოსახდენად, რაც შესანიშნავად გამოიყენეს კიდეც რუსეთის რეაქციულმა ძალებმა საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის (1991 წ.) გამოცხადებას შემდეგ. ეს ძალები ყურად არ იღებენ მოვლენების ისტორიული განვითარების კანონზომიერ პროცესებს და ცდილობენ ყველაფერი ისევ ძველ სიცრცეში დააბრუნონ. ამიტომ ისინი ესწრაფვიან რაც შეიძლება გააღრმაონ და გაახანგრძლივონ კონფლიქტი და ამით ზეწოლა მოახდინონ საქართველოზე, რდგან საქართველო ისეთ სტრატეგიულ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ სივრცეში მდებარეობს, სადაც მრავალია დიდი ქვეყნების ინტერესთა გადაკვეთის წერტილები. როგორც სამართლიანად აღნიშნავს აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე, კონფლიქტის მოგვარება „დამოკიდებულია რუსეთსა და შეერთებულ შტატებზე. ჩვენ სწორედ ამ ორი ზესახელმწიფოს ინტერესებში უნდა ჩავჯდეთ“,[1] მაგრამ ამის საშუალებასაც არ გვაძლევენ.

ამდენად არსებული კონფლიქტი არის პოლიტიკური კონფლიქტი რუსეთსა და საქართველოს შორის. რუსეთი ცდილობს გადაზარდოს იგი ქართველებსა და ოსებს შორის ეთნიკურ კონფლიქტში, რასაც მიაღწია კიდეც.

ასეთია მოკლედ საკითხის ისტორია. ქართველი ხალხი ცდილობს მშვიდობიანად, უსისხლოდ გადაწყვიტოს კონფლიქტი. კონფლიქტის მშვიდობიანად დარეგულირებისათვის საქართველოს პრეზიდენტის პროგრამა მთელ რიგ მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელებას ითვალისწინებს. ხელისუფლება სთავაზობს საქართველოში ოსეთის ავტონომიური სტატუსის მქონე სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს გაცილებით ფართო უფლებებს, ვიდრე ეს იყო ავტონომიური ოლქის არსებობის პირობებში. უპირველეს ყოვლისა, როგორც საქართველოს პრეზიდენტი მ. სააკაშვილი აღნიშნავს, საქართველოს კონსტიტუციაში უნდა დაფიქსირდეს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პოლიტიკური სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში, რადგან ეს ტერიტორია ამჟამად საქართველოს კონსტიტუციაში არ მოიხსენიება. მაქსიმალური ავტონომიის მიცემასთან ერთად ხელისუფლება მაქსიმალურად განაწილდება ცენტრალური მთავრობის დონეზე, რათა ქვეყანა-

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა,“ 11 აგვისტო, 2004.

ში არსებული ავტონომიები სრულფასოვნად მონაწილეობდნენ ქვეყნის ცენტრალური მართვაში. შეიქმნება ადლობრივი თვითმმართველობის ორგანოები. საქართველოს პარლამენტში გამოიყოფა ქვოტა ამ ტერიტორიის წარმომადგენლებისათვის. ავტონომიაში ოსურ ენას ექნება ოფიციალური ენის სტატუსი სახელმწიფო ენასთან ერთად. საქართველოს ხელისუფლება მზადაა განახორციელოს სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებებიც. ამასთან 2004 წელს უკვე დაიწყო პროგრამის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს იმ ეთნიკური ოსების დაბრუნებას, რომლებმაც 1991-1992 წლებში დატოვეს საქართველო.

საქართველოს ხელისუფლება, აღნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი მ. სააკაშვილი, მზადაა გააკეთოს ბევრად მეტიც, მაგრამ ამავე დროს იგი არასოდეს დაუშვებს საქართველოს დაყოფას და ჩვენი ქვეყნის რომელიმე ტერიტორიის დამოუკიდებლობის სტატუსის დაკანონებას. საქართველოდან რომელიმე ტერიტორიის ჩამოცილებას ყოველთვის გაეწევა მაქსიმალური წინააღმდეგობა და სანამ საქართველო იარსებებს და მას ეყოლება ხელისუფლება ეს არასოდეს მოხდება, ასეთი ილუზიებით არავინ არ უნდა იკვებებოდეს.[1] ისტორიული სამართლიანობა მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით უნდა აღსდგეს, რაც ქართველი და ოსი ხალხების მომავალი თანაცხოვრების, ერთმანეთს შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენის მტკიცე საფუძველი იქნება. აქეთკენ მიისწრაფის საქართველოს ხელისუფლებაც. ჯერ კიდევ 2004 წელს საქართველოს პრეზიდენტი აცხადებდა: "ჩვენ მზად ვართ, მოლაპარაკებების მაგიდასთან დავსხდეთ სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებთან და მივცეთ მათ გაცილებით უფრო მყარი გარანტიები, ვიდრე ეს ჩრდილოეთ ოსეთს — ალანიას აქვს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში".[1]

უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში აღნიშნული კონფლიქტების გარშემო განვითარებულ მოვლენებსა და პროცესებს თუ გავითვალისწინებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისტორია მეორდება. 1918-1920 წლებში და ამჟამად განვითარებული მოვლენები წვიმის ორი წვეთივით გვანან ერთმანეთს. ისე როგორც მაშინ, ახლაც ოსი ექსტრემისტები რუსეთის რეაქციული ძალების კარნახით მოითხოვენ

---

[1] Выступление Президента Грузии Михаила Саакашвили в Батуми на Международной конференции, см. Международная конференция „Инициатива Правительства Грузии с связи с мирным урегулированием Южно-Осетинского конфликта". Батуми, 2005, с. 38-42, 50.

[1] გაზ. "24 საათი", 15 იელისი, 2004 წელი.

"დამოუკიდებელი რესპუბლიკის" სტატუსს ცენტრალური საქართველოს ტერიტორიაზე და რუსეთთან შეერთებას.

ამ ყოვლად უსაფუძვლო მოთხოვნის შესახებ ცნობილმა მეცნიერმა, რუსეთის მეცნიერებათ აკადემიის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელმა ს. არუთინოვმა ჟურნალ „როდინას" (№ 1, 1992, გვ. 71) კორესპონდენტის კითხვაზე: „გაიხსენეთ, როგორ გამძვინვარდა ეს საძაგელი ხანძარი სამხრეთ ოსეთში მხოლოდ იმიტომ, რომ ოსეთმა თავი გამოაცხადა საქართველოსგან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ", უპასუხა: „კონფლიქტი გარდაუვალი იყო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს არავითარი ოსეთი არაა, არამედ ძირძველი ცენტრალური საქართველოა, სადაც ბოლო საუკუნეებში ჭარბად დასახლდა ოსური მოსახლეობა. რა თქმა უნდა, ოსებს აქვთ უფლება იცხოვრონ იქ, მაგრამ გამოაცხადონ თავიანთი სახელმწიფო აღნიშნულ ტერიტორიაზე, ამის უფლება არა აქვთ. სხვა საქმეა ჩრდილოეთ ოსეთი".[1]

მართლაც, სხვა საქმეა ჩრდილოეთი ოსეთი. წარსულის შეცდომების გაუთვალისწინებლობით შეიძლება კიდევ უფრო დიდი ტრაგედია განმეორდეს.

---

[1] ციტირებულია: ა. მენთეშაშვილი. ოსური სეპარატიზმი 1918-1920 წლებში. იხ. წიგნი: „ოსთა საკითხი", გვ. 297.

ოსების ჩამოსახლება საქართველოში

საქართველოში ოსების თავდაპირველი შემოსვლა მონღოლთა და თემურლენგის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ველებზე ოსების დარბევამ და განადგურებამ განაპირობა; ამ შემოსევების შედეგად ოსები იძულებულნი გახდნენ მიეტოვებინათ თავიანთი საცხოვრებელი ადგილები და თავი შეეფერებინათ ცენტრალური კავკასიონის ხეობებში.

XIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველო მონღოლთა შემოსევებისა და ბატონობის გამო უაღრესად დასუსტდა. მნიშვნელოვნად შემცირდა ბარის მოსახლეობა. ყოველივე ამან ხელსაყრელი პირობები შექმნა შიდა ქართლის მიდამოებში ოსების სამხედრო რაზმების შემოსვლისათვის. ეს მონღოლთა ინტერესების სფეროშიც შედიოდა, რომელთაც ოსები საყრდენ ძალად მიაჩნდათ საქართველოში თავიანთი დამპყრობლური პოლიტიკის გასატარებლად. მართლაც, როგორც ქართველი მემატიანე ჟამთააღმწერელიც აღნიშნავს, 1292 წელს ქართლში უმეფობის პერიოდში „იწყეს ოვსთა ოხრებად, ხოცად და რბევად და ტყვევნად ქართლისა"[1] ოსების ქართლში ყოფნა დაახლოებით 30 წელს გაგრძელდა.

ანალოგიურ ცნობას გვაწვდის XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი: „იწყეს ოვსთა ოხრება და ტყუევნად ქართლისა და ქალაქი გორი მოსტყუევნეს და დაიპყრეს". ოსებს სურთ ფეხი მოიკიდონ ქართლში, ქართველ აზნაურთა მიწის მფლობელობა დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ამიტომ „შემოკრბენ ყოველნი ერისთავნი... მოადგნენ გორს და მრავალნი ოვსნი მოსწყდნენ და ქართველნი, და დაწვეს ქართველთა გორი." ოსებმა დასახმარებლად მუხრანში მყოფ მონღოლებს მიმართეს, რომლებიც თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, ოსებს უჭერენ მხარს და მათი შუამავლობა იკისრეს. მონღოლებმა ქართველებსა და ოსებს შორის „ჰყვეს ზავი". როგორც ვახუშტი აღნიშნავს, ამიერიდან შეიქმნა მტერობა ოსებსა და ქართველებს შორის მეფე გიორგი ბრწყინვალემდე, რომელმაც განდევნა, „განასხნა" მონღოლებთან ერთად შემოსული ოსები. გიორგი ბრწყინვალემ წაართვა, „წარუხუნა" ოსებს ქართლში დაპყრობილი ციხეები და დაბები, შემუსრა „კავკას-

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. II. გვ. 296.

სა შინა მყოფნი, ურჩნი მოსრნა და დაიმორჩილნა და მოხარკე ჰყვნა ყოველნი იგინი და დაამშვიდა ქართლი ოვსთაგან, ვინაითგან გზანი ყოველნი თვით დაიპყრნა".[1]

ამრიგად XIV საუკუნის დამდეგს, როდესაც მეფე გიორგი ბრწყინვალემ მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა ქვეყანაში მშვიდობის უზრუნველსაყოფად და ერთიანად გაწმინდა საქართველო მონღოლებისაგან, ოსთა მოთარეშე რაზმებიც გაანადგურა და საქართველოდან განდევნა; ამის შემდეგ, თითქმის მთელი ორი საუკუნე ქართული წყაროები ოსთა კომპაქტურ მასებს აღარ მოიხსენიებენ.

როგორც სათანადო ლიტერატურული წყარიებიდან ირკვევა, ოსთა ახალშენები ქართლის მთიანეთში XVII საუკუნის შუა ხანებიდან წარმოიქმნა. ამას საქართველოში ნამყოფი რუსი ელჩის ცნობაც ადასტურებს, რომლის თანახმად იმ ადგილებში 200-მდე ოსი ცხოვრობდა. ოსები XVII–XVIII საუკუნეებში თანდათანობით გადმოდიან საცხოვრებლად ქართლის მთიანეთში. მაგრამ აქ მათ მწირი მიწა და არსებობისათვის მეტად შეზღუდული, არახელსაყრელი პირობები დახვდათ. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, ამ ადგილების „ნაყოფიერება... არს მცირედი", ოსები მარცვლეულს „ვერ სთესვენ მრავლად, უმიწობისა და კლდოვანობის გამო". ამიტომ ბუნებრივი იყო ოსების ლტოლვა სამხრეთისაკენ. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ მტრებთან გამუდმებულ ბრძოლებში ქართლის მოსახლეობა სულ უფრო მცირდებოდა და მათი შევსება მთის ქართველი მოსახლეობით ხდებოდა. ქართველთა ნასახლარ ადგილებს კი ოსები ეპატრონებოდნენ. ასეთი პროცესი უცხო არც ჩვენ საუკუნეში ყოფილა. ცნობილია, რომ კავკასიონის აღმოსავლეთი მთიანი რეგიონიდან ქართველების მასობრივად ბარში ჩასახლების შედეგად იყო ჩრდილოეთ კავკასიიდან მოსახლეობის თვითნებურად გადმოსვლისა და ქართული ტერიტორიების დაკავების ცდები.

ქართული მიწების დასასაკუთრებლად ოსები ძალასაც იყენებდნენ და მათ ჩამოსახლების პროცესს ზოგჯერ მეტად მწვავე ხასითი ჰქონდა. კერძოდ, ერთი ნასყიდობის სიგელის მიხედვით, რომელიც XVII საუკუნის პირველ ნახევარშია შედგენილი (1621-1350 წლებში), ოსები ზემო ჯავაშიც არ სახლობენ. სიგელში ნათქვამია: „ამოსწყდა ზემო ჯავა და დაუკაცურდა ოსთაგან, ღმერთი იყოს მოწმე ასე

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 256.

ამოსწყდა, რომ კაცის ნაშენი აღარ იყო-რა".[1] ამრიგად, ოსებს სოფელ ზემო ჯავაში მცხოვრები ქართველები მთლიანად ამოუწყვეტიათ. ზემო ჯავა შემდგომში მაჩაბლებმა ოსებით დაასახლეს. ქართულ მიწებზე ოსების დასახლების პროცესი არც ვახუშტი ბაგრატიონს გამორჩენია მხედველობიდან: „რაოდენნი ოსნი დავსწერეთ ამ ადგილებთა შინა, პირველად სახლეულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათთაგან გარდმოსახლებულან ოსნი, და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაითგან მტერთაგან ბარს შინა კაცნი შემცირებულან".[2]

ამრიგად, ამ პრიოდში ქართლის მთიანეთში ქართველთა ნასახლარებზე ოსები მკვიდრდებიან. აანალიზებს რა ვახუშტი ბაგრატიონის რუკებს, ჯ. გვასალია სამართლიანად მიუთითებს, რომ „ოსური მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული სოფლები შიდა ქართლის მთისწინეთსა და ბარში არ არსებობდა, ასეთი სოფლები მხოლოდ ხეობათა სათავეებში იყო". ოსებით დასახლებული ტერიტორია იმ პერიოდში ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" მხოლოდ მთიან ჩრდილოეთ ნაწილს მოიცავდა. ქართველი გეოგრაფის ვახუშტის მიერ შედგენილ 1735 წლის რუკაზე ოსეთი კავკასიონის ქედის გადაღმა მდებარეობს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებში დაცული ცნობების გარდა ენობრივი მასალა, ოსური ფოლკლორი, შიდა ქართლის მთიანეთის ხუროთმოძღვრების ძეგლები, ეპიგრაფიკა და ტოპონიმები, ცხადად ადასტურებს ოსების ჩამოსახლებას ძირითადად XVII საუკუნიდან. მაგალითად, ცნობილი ოსი მეცნიერი ვ. აბაევი აღნიშნავს: „ისტორიული და ენობრივი ფაქტები მოწმობენ, რომ ქსნის ოსების დასახლება ქსნის ხეობის ახლანდელ ადგილებში მოხდა არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, დაახლოებით უკანასკნელი 200 წლის განმავლობაში".[3] მართლაც, ოსური კულტურის კვალი შიდა ქართლში არსად ჩანს. კერძოდ, ხუროთმოძღვრების ყველა ძეგლი ქართულია. პ. ზაქარაია მიუთითებს: „შიდა ქართლის იმ ნაწილში, რომელსაც „სამხრეთ ოსეთი" ერქვა, ყველაფერი, რაც მიწიდან არქეოლოგებმა ამოიღეს და რაც მიწის ზემოთ ძეგლი დგას, ქართულია. ეს თავისთავად იმაზე მიგვითითებს,

---

[1] ციტირებულია: ჯ. გვასალია. შიდა ქართლი და ოსური პრობლემა. იხ. წიგნი. „ოსთა საკითხი", გვ. 95

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 363-364.

[3] В.Абаев. Осетинский язык и фольклор, М., 1959, с. 501.

რომ აქ ყოველთვის ქართველი მკვიდრობდა და თუ ვინმე რამეს ქმნიდა და აშენებდა, ისევე ქართველი იყო. სხვა ერის წარმომადგენლის ხელი აქ მხოლოდ ნგრევაში, ქვეყნის წახდენაში ჩანს".[1]

ერთ-ერთი უძველესი დიდი ეკლესია, რომელმაც მრავლჯერ გადაკეთების შედეგად ჩვენამდე მოაღწია გუმბათოვანი ტაძრის სახით, ესაა ნიქოზის ტაძარი. იგი ცხინვალის ახლოს მდებარეობს. მის კედლებზე გვხვდება ქართული წარწერების ფრაგმენტები. იგი თავდაპირველად აიგო მე-5 საუკუნეში. მემატიანე ჯუანშერის ცნობით, მეფე ვახტანგ გორგასალმა „აღაშენა ეკლესია ნიქოზისა საგზებელსა თანა ცეცხლისასა და დასუა ეპისკოპოსი, სადა-იგი ეფლა გუამი წმიდისა რაჟდენისი".[2] ე.ი. ვახტანგმა ააშენა ნიქოზის ეკლესია იმ ადგილას, სადაც წინათ იყო ცეცხლის საკურთხეველი და დასაფლავებული იყო წმინდა რაჟდენი. ვახტანგ გორგასალის მიერ ნიქოზის ეკლესიის აშენების შესახებ ცნობას გვაწვდის ვახუშტი ბატონიშვილიც: „მეფემან კათალიკოზად პეტრე დაადგინა მცხეთას და სამოელ მუნვე ზემო ეკლესიასა ეპისკოპოსად; ხოლო სხუანი ეპისკოპოსნი დასხნა: კლარჯეთს, ერუშეთს, წუნას, მანგლისს, ბოლნისს, რუსთავს, ნინოწმიდას, ჭერამს, ჩელეთს, ხორნაბუჯს, აგარაკს, ნიქოზს წმიდის რაჟდენის საფლავსა ზედა".[3] ამრიგად ვახუშტი ჩამოთვლის იმ ქართულ მიწა-წყალს, სადაც მეფემ ეპისკოპოსები „დაადგინა".

შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკული ძეგლები ანალოგიური დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს. ამ რეგიონის 32 ეპიგრაფიკული ძეგლი შეისწავლა პროფ. გ. ოთხმეზრუმა. ამ ძეგლებზე წარწერები თითქმის მთლიანად ქართულია (ძალიან მცირე რაოდენობით გვხვდება ბერძნული და სომხური წარწერებიც). ყველაზე უძველესი წარწერა VIII საუკუნეშია შესრულებული, უმრავლესობა კი – IX–X საუკუნეებში, საკმაო რაოდენობით გვხვდება XVIII საუკუნეში შესრულებული ქართული წარწერებიც. აქ ოსური მოსახლეობის არავითარი კვალი არ ჩანს. შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლამ პროფ. გ. ოთხმეზურს საშუალება მისცა გაეკეთებინა შემდეგი დასკვნა: „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია მთლიანად ქართული წარწერებითაა

---

[1] პ. ზაქარაია. შიდა ქართლის მთიანეთის ხუროთმოძღვრების ისტორიისათვის. იხ. წიგნი: ოსთა საკითხი, თბ., 1996, გვ.125.
[2] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 199.
[3] ქართლის ცხოვრება. ტ. IV, გვ. 113-114.

მოფენილი... როგორც ეპიგრაფიკული ძეგლები ცხადყოფენ, აქ მოსახლეობა ქართული იყო. მხარის გამგებელი ერისთავები თუ ადგილობრივი დიდი ფეოდალები ქართველები იყვნენ, ხოლო მათი სახელმწიფო და საეკლესიო ენა ქართული იყო".[1]

შიდა ქართლი და, კერძოდ, მისი მთიანეთი რომ უძველესი დროიდან ქართველებით იყო დასახლებული, ამას სხვა ფაქტორებთან ერთად, აქ გავრცელებული გეოგრაფიული სახელები ანუ ტოპონიმებიც ადასტურებენ. ეს სახელწოდებები ძირძველი, ქართული წარმოშობისაა და მრავალ საუკუნეს ითვლის. ტოპონიმები ერის შორეულ წარსულში ამა თუ იმ რეგიონში ბინადრობის გარკვევის ერთ-ერთ, თუ არა ერთადერთ, საშუალებად გვევლინება. როგორც დიდი ქართველი ისტორიკოსი ს. ჯანაშია აღნიშნავს: „ტოპონიმიკა, კერძოდ, ერთადერთი წყაროა საქართველოს მოსახლეობის შემადგენლობის გასარკვევად იმ ხანისათვის, რომელსაც წერილობითი გარდმოცემის შუქი ვერ სწვდება".[2] შიდა ქართლის ტერიტორიაზე ქართულენოვანი ტოპონიმების ჩამოყალიბება ამ ტერიტორიაზე ქართველი მოსახლეობის ბინადრობას გულისხმობს უხსოვარი დროიდან. ქართველ მეცნიერთა გამოკვლევების თანახმად ლიახვის, ქსნისა და სხვა ხეობების შუა და ზემო ნაწილებში, ანუ გვიან პერიოდებში ოსებით საკმაოდ დაახლებულ ადგილებში, გეოგრაფიული სახელწოდებების უმეტესი ნაწილი ქართველური ენების მიხედვით არის წარმოშობილი. უდავოა, რომ მრავალი ტოპონიმი, კერძოდ, კუცხოვეთი. ჩხორეთი, საცხუმეთი, ჩხუნეთი, ცხმორი, გერი, ფაჩური, ლაფაჩი, ლარგვისი, ლაგური და სხვა, რომლებიც ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორეაზეა გავრცელებული, სვანური და ჭანურ-მეგრული წარმოშობისაა და ვარაუდობენ, რომ „შესაძლებელია შიდა ქართლი წარმოადგენდა იმ ტერიტორიის ნაწილს, სადაც მოხდა წინარე ქართველური ენის დაშლა ქართულ, სვანურ და ზანურ ენებად".[3]

საერთოდ შიდა ქართლი მოფენილია ქართული ტოპონიმებით, მათ შორის, მისი მთიანეთიც. „სახელწოდებების შეცვლა მოხდა იმ

---

[1] გ. ოთხმეზური. შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა. იხ. წიგნი: ოსთა საკითხი, გვ. 156.

[2] ს. ჯანაშია. შრომები, ტ.III, თბ., 1929, გვ.117.

[3] ჯ. გვასალია. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი), თბ., 1983, გვ. 168. ციტირებულია: კ. ხარაძე. შიდა ქართლში ტოპონიმთა გაყალბების წინააღმდეგ. იხ. წიგნი: „ოსთა საკითხი". გვ. 167.

ადგილებში, სადაც ოსობა სახლდებოდა ნასოფლარებსა და აუთვისებლ ადგილებში".[1] გარდა ამისა ავტონომიური ოლქის შექმნის შემდეგ დაიწყეს ქართული ტოპონიმების წინააღმდეგ გალაშქრება და ზოგიერთ შემთხვევაში მიაღწიეს კიდეც სასურველ შედეგს. მაგრამ საბედნიეროდ ძველი ქართული ტოპონიმების შესახებ ცნობები დაცულია როგორც ქართულ, ისე უცხოურ წერილობით წყაროებში.

ოსების ქართლის შიდა დაბლობში ჩამოსახლება XVIII საუკუნის დასასრულიდან იწყება და ეს პროცესი მთელი XX საუკუნე გრძელდებოდა. ამას, ოსების ქართლის ნაყოფიერ ველებზე დასახლების სწრაფვასთან ერთად, ხელს უწყობდა ზოგიერთი ქართველი ფეოდალის ინტერესებიც — გარეშე მტრების შემოსევებისა და შინაფეოდალური ბრძოლების შედეგად დაცლილ მამულებში ყმა გლეხთა გამრავლება. სწორედ ამაზე მიუთითებს ერეკლე მეფის მდივნის იესე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძში" მოტანილი ერთ ცნობაც; „ოსეთში კაცი გავგზავნე ოსების საშოვნელად, ბევრი დამეხარჯა, მეპირებიან და ჯერ არა ჩანს რა, — ეგების ყმა გაგიმრავლდესთ". ქართველი მოსახლეობა იმდენად შემცირდა გამუდმებული ბრძოლებისა და უფრო მეტად ლეკიანობის გამო, რომ მეფე ერეკლე მეორე იძულებულია ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოიყვანოს ოსები, აქ მათ ცხოვრების სათანადო პირობებს უქმნის. ვინმე ოსს თუჯუკი კუდუხაშვილს აზნაურობაც კი უბოძა ოსების საქართველოში გადმოსახლებისათვის.

საერთოდ XVII–XVIII საუკუნეებში და XIX საუკუნის პირველ ნახევარში ოსები საქართველოში უმნიშვნელო რაოდენობით ცხოვრობდნენ. საქართველოში ოსების საცხოვრებლად გადმოსახლება ჩრდილოეთ ოსეთიდან — მათი ისტორიული სამშობლოდან — მასობრივად 1860 წლიდან იწყება. ამის შესახებ სანდო წყაროებზე დაყრდნობით უტყუარ ცნობებს გვაწვდის ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედია. კერძოდ, 1860 წელს ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრები ოსების რაოდენობა 46 802 კაცს უდრიდა, ხოლო საქართველოში, კერძოდ, ქართლის მთიანეთში 19 324 ოსი ცხოვრობდა.[2] ასე რომ, ამ პერიოდში ჩრდილოეთ ოსეთში 2,5-ჯერ მეტი ოსი ცხოვრობდა, ვიდრე საქართველოში. ამავე ენციკლოპედიის მიხედვით 1833 წლის მონაცემებით რუსეთის იმპერიაში 35 750 ოსი ცხოვრობდა და თუ ზემოთ აღნიშნულ

---

[1] კ. ხარაძე. დასახ. ნაშრომი, გვ 167.
[2] Энциклопедический словарь, т. XXII, С.Петербург, 1897, с. 263.

პროპორციას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ 1833 წელს საქართველოში ოსების რაოდენობა 14 ათასს უდრიდა. ამავე პერიოდის სხვა წყაროს მონაცემების თანახმადაც საქართველოში 14 ათასი ოსი ცხოვრობდა.[1] კიდევ უფრო ადრე, XIX საუკუნის დასაწყისისათვის რუსეთის იმპერიაში ოსების რაოდენობა 25 ათას კაცს უდრიდა.[2]

საქართველოში ოსების საცხოვრებლად გადმოსახლებასთან დაკავშირებით ჩვენთვის საინტერესოა იმავე ენციკლოპედიაში მოტანილი ცნობა 1880 წლისათვის ოსების რაოდენობის შესახებ. კერძოდ, 1880 წელს ჩრდილოეთ ოსეთში, კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის მონაცემებით, 58 926, ხოლო საქართველოში უკვე 51 988 ოსი ცხოვრობდა. ასე რომ ოცი წლის განმავლობაში — 1860 წლიდან 1880 წლამდე — ჩრდილოეთ ოსეთში ოსების რაოდენობა 12 ათასით, ანუ მხოლოდ 1,2-ჯერ გაიზარდა, ხოლო საქართველოში 33 ათასით, ანუ 2,7-ჯერ. აქ ისაა საყურადღებო, რომ ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრები 47 ათასი ოსი 20 წლის განმავლობაში მხოლოდ 12 ათასით გაიზარდა, ხოლო საქართველოში გაცილებით მცირე რაოდენობით მცხოვრებმა ოსებმა, კერძოდ, 19 ათასმა, 33 ათასით მოიმატა. მოსახლეობის ასეთ ბუნებრივ მატებას ესოდენ მცირე პერიოდში არ შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა. ეს მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ სწორედ ამ პერიოდში ჩრდილოეთ ოსეთიდან საქართველოში საცხოვრებლად ოსები დიდი რაოდენობთ გადმოდიან. ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ საცხოვრებლად გადმოსული ოსების რაოდენობა. კერძოდ, ცნობილია, რომ XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს საქართველოში ყოველ ათას ოსზე გაანგარიშებით საშუალოდ წელიწადში 35,7 ბავშვი იბადებოდა და 14,3 კაცი კვდებოდა[3]. ამრიგად, ბუნებრივი მატება ოსებში ყოველ ათას სულზე 21,4 კაცს უდრიდა. თუ დავუშვებთ, რომ ამ 20 წლის განმავლობაში ყოველწლიურად ბუნებრივი მატება მოსახლეობის 1000 სულზე 21,4 კაცს შეადგენდა, მაშინ 1880 წელს ოსების რაოდენობა საქართველოში 29014 კაცი უნდა ყოფილიყო. ამ წელს კი ოსების რაოდენობა საქრთველოში 23 ათასით მეტი იყო, რაც შეადგენდა ჩრდილოეთ ოსეთდან გადმოსახლებული ოსების რაოდენობას მათ ბუნებრივ მატებასთან ერთად. შეიძლება ოდნავ უხეში გაანგარიშებაც გავაკეთოთ. თუ 1860 წელს

---

[1] Газ. „Тифлисские ведомости", №72, 1830.
[2] А.Гольдштейн. Башни в горах, М., 1977, с. 283.
[3] Сборник сведений о Кавказе, т. IX, Тифлис, 1885, с. 238, 267.

საქართველოში ოსების რაოდენობა 19 ათასს, ხოლო 1880 წელს 52 ათასს უდრიდა, მაშინ ამ პერიოდში საქართველოში საშუალოდ ყოველწლიურად დაახლოებით 35 ათასი ოსი ცხოვრობდა; ამრიგად, ერთი წლის განმავლობაში საქართველოში ოსების ბუნებრივი მატება 749 კაცს შეადგენდა (35 X 21,4), ხოლო 20 წლის მანძილზე 14 980 კაცს. ამდენად, თუ 1860-1880 წლებში ოსების რაოდენობა საქართველოში 33 ათასი კაცით გაიზარდა და აქედან ბუნებრივი მატება 14980 კაცს შეადგენდა, მაშინ, ცხადია, დანარჩენი 18020 ოსი, ანუ თითქმის იმდენივე, რამდენი ოსიც საერთოდ ცხოვრობდა საქართველოში 1860 წელს, გადმოსახლებულია ჩრდილოეთ ოსეთიდან. აქ ერთი არსებითი მომენტიც უნდა მივიღოთ

ოსების რაოდენობა რუსეთის იმპერიაში

	1833წ.		1860წ.		1880წ.		1897წ.	
	აბსოლუტურად	%-ით	აბსოლუტურად	%-ით	აბსოლუტურად	%-ით	აბსოლუტურად	%-ით
რუსეთის იმპერია	35750	100.0	66125	100.0	110914	100.0	171716	100.0
მათ შორის: თერგის ოლქი (ძირი-თადად ჩრდ.ოსეთი)	25450	72.0	46802	71.0	58926	53.0	96621	56.3
საქართველო	10300	28.0	19324	29.0	51988	47.0	71508	41.6

წყარო: Энциклопедический словарь, т. XXII с. Петербург, 1897.
А. Гольдштейн. Башни в горах. М., 1977. с. 283.
Осетия и Осетины. С.Петербург, 1994. ამ წყაროს მიხედვით 1833 წელს საქართველოში ოსთა რაოდენობა 19 324 კაცს უდრიდა. ეს, როგორც ჩანს, კორექტურული შეცდომა უნდა იყოს, რადგან 1897 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოცემული ენციკლოპედური ლექსიკონის 22-ე ტომის მიხედვით 1860 წელს ოსების რაოდენობა საქართველოში 19 324 კაცს შეადგენდა.
Первая в ссобщая перепись населения Российской империи 1897 года. Общий свод по империи, т. II, С.Петербург, 1905, с. XV, 43.

მხედველობაში. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ 1870-იან წლებში საქართველოში მცხოვრებ ყოველ 1000 ოსზე წლის განმავლობაში 14,3 ოსი კვდებოდა. მოკვდაობის ეს მაჩვენებელი იმ პერიოდისათვის უაღრესად დაბალია. ყოველ ათას კაცზე სხვა ერის წამომადენლებში ეს მაჩვენებლი თითქმის ორჯერ მაღალია. ამ მოვლენის ასახსნელად ის უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩრდილოეთ ოსეთიდან საქართველოში საცხოვრებლად გადმოდიოდა ძირითადად ჯანმრთელი, მხოლოდ ახალგაზრდა და შუა ხნის ასაკის მოსახლეობა, რომელთა შორის მოკვდაობა დაბალია.

ცნობილი რუსი მეცნიერები გ. ჩურსინი, ვ. პფაფი, ნ. დუბროვინი, ლ. ზაგურსკი და სხვ. ოსებს ჩრდილოეთ ოსეთიდან შიდა ქართლში ჩამოსახლებულებად თვლიან. კერძოდ, გ. ჩურსინის აზრით, „სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ოსები, შედარებით ახალმოსულები არიან. ადრე აქ სხვა ხალხი ცხოვრობდა, რომელმაც თავის შესახებ ხსოვნა ბევრი ადგილის გეოგრაფიულ სახელწოდებებში დატოვა“.[1] ამავე აზრისაა პროფესორი ვ. პფაფიც: „ყველა ამიერკავკასიელ ოსს ახსოვს, რომ გადმოსახლდა ჩრდილოეთიდან.“[2] ამრიგად, როგორც გ. ჩურსინი, ისე ვ. პფაფი ოსებს ახალმოსულებად, ძირითადად მე-19 საუკუნეში გადმოსახლებულებად თვლის. რაც შეეხება აკადემიკოს ნ. დუბროვინს მან კარგად იცის, რომ არავითარი სამხრეთ ოსეთი არ არსებობს და იგი მოიხსენიებს სამხრეთელ ოსებს როგორც „ეგრეთ წოდებულს“. „მცირე მიწიანობის გამო ოსების ნაწილი კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებზე გადმოსახლდენენ... დაიკავეს რა დიდი და მცირე ლიახვის, ქსნისა და მისი შენაკადების ხეობები, ოსები გახდნენ თავად ერსთავებისა და მაჩაბლების ყმები. ეს გადმოსახლებულები შეადგენენ სწორედ ეგრეთ წოდებული სამხრეთელი ოსების მოსახლეობას“.[3] კავკასიათმცოდნე ლ. ზაგურსკისთვისაც ნათელია, რომ ოსების ისტორიული სამშობლო ჩრდილოეთი ოსეთია: „ძირეული ოსეთი მდებარეობს კავკასიის ქედის ჩრდილოეთის კალთებზე.“[4] რუსი მკვლევარების გ. ჩურსინის, ვ.პფაფის, ნ.დუბროვინისა

---

[1] Г.Чурсин. Осетины, сб. Юго-Осетия, 1924, с. 133.

[2] В.Пфаф. Этнологические исследования об осетинах, сб. свед. о Кавказе, №2

[3] Н.Дубровин. История войны и владычества Русских на Кавказе, т. , СПБ, 1871. с. 187.

[4] Л.Загурский. Административные отделы Кавказского края, Известия Кавказского отдела, Тбилиси, 1877-78, с. 118.

და ლ.ზაგურსკის მხოლოდ ციტირება მოვახდინეთ ს. ლეკიშვილის ნაშრომიდან.[1]

XX საუკუნეში რუსი მეცნიერების აზრი ამ საკითხში არ შეცვლილა — ფაქტები სხვაგვარი მოსაზრების გამოთქმის საშუალებას არ იძლევა. ჩვენ უკვე ზემოთ აღვნიშნეთ რუსი თუ ოსი მეცნიერების შეხედულებანი ოსების ჩრდილოეთ კავკასიიდან XVII საუკუნის დასაწყისიდან და, განსაკუთრებით, XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში გადმოსახლების შესახებ. მრავალთა შორის აღვნიშნავთ მკლევარ ა. გოლდშტეინის მოსაზსრებასაც, რომლის თანახმად ალანები, რომლებმაც VI-IX საუკუნეებში შეაღწიეს ჩრდილოეთ კავკასიის მთებში, შეერივნენ ადგილობრივ მოსახლეობას. X საუკუნეში შექმნეს ახალი ხალხი — ოსები, მისცეს მათ თავიანთი ენა და თავიანთი სახელი —„ასსა". ქართველები ალანებს უწოდებდნენ „ოსებს", ხოლო მათ ქვეყანას — „ოსეთს", საიდანაც მომდინარეობს ამ ადგილისა და მისი ხალხის რუსული სახელწოდება. ამრიგად, ოსების ენა მომდინარეობს ალანებიდან, ხოლო კულტურა, ჩვეულება, ფსიქიური წყობა ძირითადად ისეთივეა, როგორც ჩრდილო—აღმოსავლეთი კავკასიის მთიელებისა — ვაინახების, დაღესტნელების, საქართველოს ჩრდილოეთში მცხოვრები ქართველების.

XII საუკუნეში ალანიის მნიშვნელოვანი ნაწილი დამოკიდებული იყო საქართველოზე. X—XII საუკუნეებში მთიან ოსეთში გავრცელდა ქრისტიანობა საქართველოდან. იქ ქართველები აშენებენ ტაძრებს. ერთ-ერთი ასეთი შესანიშნავი ტაძარი მიუვალ ხეობაში ნახა მკვლევარმა ვ. პფაუმა. ტაძარი დეკორის ელემენტებისა და სხვა ნიშანთა მიხედვით XI საუკუნით თარიღდება.

XIII საუკუნეში ალანებს, რომლებიც ცხოვრობდნენ მდინარე დონის აუზსა და წინაკავკასიის დაბლობზე, თათარ-მონღოლთა შემოსევებმა სასიკვდილო დარტყმა მიაყენეს. მათი მიწები დაიკავა ოქროს ურდომ. ალანები საბოლოოდ გაანადგურა თემურლენგმა XIV საუკუნის დასასრულს.

თათრების დასუსტების შემდეგ წინაკავკასიის სტეპებს იკავებენ ყაბარდოელები. XV—XVIII საუკუნეების განმავლობაში განუწყვეტელი ომი მიმდინარეობდა ყაბარდოელებსა და ოსებს შორის. ყაბარდო-

---

[1] ს. ლეკიშვილი. როდის გაჩნდა ტერმინი „სამხრეთ ოსეთი?" იხ. წიგნი: ოსთა საკითხი, გვ. 270-272.

ელებმა დაიპყრეს ოსეთის მთისწინა დაბლობი და დაიწყეს მთის ხეობებში ღრმად შეღწევა. იმ ოსებმა, რომლებიც ცხოვრობდნენ მთისწინეთსა და დაბლობ ადგილებში და ყაბარდოელების ძალაუფლების ქვეშ მოექცნენ, მიიღეს მუსულმანობა და გახდნენ ყაბარდოელი ფეოდალების მოხარკენი. მთის მოსახლეობა კი, რომელიც ჩაკეტილ, მიყრუებულ, მივარდნილ ხეობებში ცხოვრობდა, უბადრუკი ცხოვრებისათვის იყო განწირული. ამ პერიოდში ოსები გადადიან კავკასიონის ქედის სამხრეთ მხარეზე (საქართველოს სსრ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ამჟამინდელი ტერიტორია), სადაც ისინი ჩვეულებრივ ქართველი ფეოდალების ყმები ხდებოდნენ.[1]

ყაბარდოელების მიერ უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილი ოსების ბედი არც ევროპელ მოგზაურებს გამორჩენიათ მხედველობიდან. მაგალითად, იაკობ რაინეგსი (1744-1793) აღნიშნავდა: „ყაბარდოელები, სანამ ესენი დამოუკიდებლობის ხანაში ვაკე ადგილების ბატონები იყვნენ, ოსებს ამუშავებდნენ როგორც ყმებს და ყიდდნენ მათ, როგორც კი მთიდან ჩამოსულთ სადმე ხელთ იგდებდნენ. ჯერაც არიან მოხუცი ოსები, რომლებიც ამით დაშინებულნი, არასოდეს თავის მთებს არ სცილდებიან და არასოდეს არ შეუწუხებიათ თავი იმაზე ფიქრით, კავკასიისა და მათ გარდა სხვა სამყარო და ხალხი არსებობს თუ არა“.[2] ბუნებრივია, კავკასიის ქედის მიუვალ ხეობებში შეყუჟული ოსები, მძიმე საარსებო პირობებისა და მუდმივი შიშის გამო, საცხოვრებლად კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე, შიდა ქართლის მთიანეთში გადადიოდნენ, შემდეგ, საარსებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, თანდათანობით იწევდნენ ბარისაკენ და ქართველი ფეოდალების მიწებზე ხიზნებად სახლდებოდნენ. ცნობილი ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელმაც საქართველოში 1672-1673 წლებში იმოგზაურა, აღნიშნავს, კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით ალანები ცხოვრობენო.[3] ამ ალანებში, რა თქმა უნდა, ოსები იგულისხმებიან.

კავკასიონის მთების კალთებზე ოსების ცხოვრების შესახებ მიუთითებს გერმანელი მეცნიერ-მოგზაური მორიც ვაგნერიც, რომელმაც 1843-1846 წლებში მოიარა კავკასია, კერძოდ, შავი ზღვის ნაპირას მდებარე ქვეყნები, სომხეთი, ქურთისტანი და სპარსეთი. იგი აღნიშნავს: „ოსები, რომლებიც ცხოვრობენ კავკასიის უმაღლეს ალპურ ქე-

---

[1] А.Гольдштейн. Башни в горах. М., 1977, с. 282-283.
[2] იაკობ რაინეგსი. მოგზაურობა საქართველოში. თბ., 2002, გვ. 208-209.
[3] შარდენის მოგზაურობა. თბ., 1975, გვ. 294.

დებზე, ქრისტიანები არიან. ისინი ტფილისში ჩვეულებრივ მოდიან, რათა ტვირთის გადაზიდვით და მძიმე დღიური სამუშაოთი გარკვეული რაოდენობის ფული იშოვონ... რათა დააგროვონ მცირე კაპიტალი და მთებში უკან დაბრუნდნენ".[1]

ახლანდელი ცხინვალის რეგიონი რომ მთლიანად ქართული მიწა-წყალი იყო, ეს ნათლად ჩანს ოსმალო ავტორის გურჯიზადეს თხზულებიდან „თბილისის დაპყრობის წიგნი", რომელიც შეიცავს მნიშვნელოვან ცნობებს XVIII საუკუნის I მეოთხედის ქართლის ისტორიისათვის. გურჯიზადე აღნიშნავს, რომ ქართლის მეფე ვახტანგ VI იმყოფებოდა თავის სამფლობელოში — ცხინვალის სახელით ცნობილ მხარეში, ქართველთა ერცელ სანადირო ადგილებში. სწორედ აქ ოსმალთა ლაშქარი „ცხინვალად წოდებულ ყბადაღებულ ადგილს მიუახლოვდა. ისლამის წინააღმდეგ აღმდგარმა აჯანყებულმა ქართველებმა... მოლაპარაკებას ბრძოლა არჩიეს".[2]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოსების ჩრდილოეთ ოსეთიდან, მათი ისტორიული სამშობლოდან საქართველოში გადმოსახლების საკითხი ქართულ წერილობით წყაროებსა და ქართველ მეცნიერთა შრომებში არავითარ ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ჩვენ აქ, გარკვეული მოსაზრებით, უმთავრესად მხოლოდ ოსი და რუსი მეცნიერების შეხედულებები გადმოვეცით. ამ საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია ერთი ფაქტიც. სიტყვა დოსებული ქართულ მეტყველებაში საქართველოში ოსების ჩამოსახლების პერიოდიდან ვრცელდება. დოსებული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ნიშნავს ძალიან დაღლილს, დაქანცულს, მისუსტებულს. მართლაც, საქართველოში გადმოსახლებული ოსები უკიდურესი სიღარიბის გამო ძალაგამოლეულები და მისუსტებულები იყვნენ. ჩვენი აზრით, ეს ფაქტიც ოსების გადმოსახლებაზე ლაპარაკობს. საერთოდ, ეთნიკური სახელები ქართულ მეტყველებაში ხშირად იყო გამოყენებული ნეგატიური შეფასებისათვის, კერძოდ, იუდა, ურია, ჩაჩანი, ჯავახი (ჯიუტი) და სხვა. მაგალითად, დაჩაჩანაკებული დაკავშირებულია ჩაჩანთან, ასევე დოსებული შეიძლება დაკავშირებული იყოს ოსთან.

მოტანილი მასალა, ვფიქრობთ, საკმარისია საკვლევ პრობლემებში სიცხადის შეტანის მიზნით, მით უმეტეს, ჩვენი ნაშრომის სხვა

---

[1] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ. თბ., 2002, გვ. 33-34.

[2] გურჯიზადე. თბილისის დაპყრობის წიგნი. თბ., 1975, გვ. 26-28.

თავებშიც ქართველი, ოსი, რუსი და ევროპელი მეცნიერების არაერთი ანალოგიური თვალსაზრისი მოგვყავს.

ამრიგად, მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ოსები მასობრივად გადმოდიან საცხოვრებლად საქართველოში. ისინი ქართლის ბარის რაიონებშიც სახლდებიან და ამაში არავითარ შეზღუდვას არ განიცდიან. ოსთა კომპაქტური დასახლებები ჩნდება მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ახლანდელი ქარელისა და ბორჯომის რაიონებში (მაგალითად, ბაკურიანში 1885 წელს 71 ოსი ცხოვრობდა) და სხვა;

როგორც ოსი მეცნიერი გ. თოგოშვილი აღნიშნავს „ოსები ცდილობდნენ ყიდვის გზითაც შეეძინათ მიწა მიწის მესაკუთრეთაგან, ხიზნად ეწყობოდნენ ან სახელმწიფო მიწებზე სახლდებოდნენ. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ სამხრეთ ოსებს არ ეხება. XVIII ს-ის მსგავსად, თაგაურელი ოსები კვლავ დიდად დაინტერესებული ჩანან საქართველოში გადმოსახლებით... XIX ს. 40-50-იანი წლებით თარიღდება თრიალეთელი ოსების დასახლება“.[1] ამასთან სათანადო დოკუმენტები ცხადყოფენ რომ XIX საუკუნის დამლევს ოსური სოფლები კახეთშიც იქმნება. ამის შესახებ ოსი მეცნერი პროფ. ბ. კალოევი მიუთითებს: „XIX საუკუნის განმავლობაში ოსების დიდი რაოდენობა დამკვიდრდა საქართველოს დუშეთისა და გორის რაიონებში, XX საუკუნის დასაწყისში ზედა და ქვედა კახეთის ტერიტორიაზე 30-ზე მეტი ოსური დასახლებული პუნქტი წარმოიქმნა. ეს ოსები დაფუძნდნენ თავადების მიწებზე“.[2]

ოსების ინტენსიური დასახლება ქართლისა და კახეთის ბარის ტერიტორიაზე მთელი მე-20 საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა. თუ 1926 წელს საქართველოში ოსების რაოდენობა 113 ათასს უდრიდა და აქედან 60 ათასი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიზე ცხოვრობდა, ხოლო 53 ათასი მის ფარგლებს გარეთ, 1989 წელს უკვე საქართველოში ოსების რაოდენობამ 164 ათასი შეადგინა და მათ შორის 65 ათასი ყოფილ ოლქში, ხოლო თითქმის 100 ათასი მის ფარგლებს გარეთ, ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში ცხოვრობდა.

---

[1] გ. თოგოშვილი. ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა 1801-1921 წწ. თბ., 1969, გვ. 26.

[2] Б.Калоев. Осетины, М.. 1967, с. 61. ციტირებულია ს. ლეკიშვილის დასახელებული ნაშრომიდან. გვ. 271.

თუ ზემოთ აღნიშნულ მონაცემებს გავაანალიზებთ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ყურადღებას ის გარემოება მიიპყრობს, რომ 1926-1989 წლებში ყოფილ ავტონომიურ ოლქში ოსების რაოდენობა უმნიშვნილოდ გაიზარდა — 4,8 ათასით, ანუ 8 პროცენტით, ხოლო ოლქის ფარგლებს გარეთ საქართველოში კი 47 ათასით, ანუ 87 პროცენტით. ეს იმის შედეგი არის, რომ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან ოსი მოსახლეობის ნაწილი საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში გადადის საცხოვრებლად. ასე რომ, ოსების მიერ საქართველოს ტერიტორიის ეთნიკური ათვისება მთელი მე–20 საუკუნის მანძილზე ინტენსიურად მიმდინარეობდა.

სწორედ ამის შედეგად 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით ოსები ქარელის რაიონში შეადგენდნენ მთელი მოსახლეობის 15 პროცენტს, ახმეტის რაიონში — 11 პროცენტს, გორისა და კასპის რაიონებში ათ–ათ პროცენტს, ლაგოდეხისა და ბორჯომის რაიონებში — რვა–რვა პროცენტს, და ა. შ. დიდად გაიზარდა ოსების რაოდენობა თბილისში. თუ 1886 წელს თბილისში 314 ოსი ცხოვრობდა, ხოლო 1922 წელს — 1446, 1989 წელს დედაქალაქში 33 ათასი ოსი ცხოვრობდა, ე.ი. ერთ საუკუნეში თბილისში ოსების რაოდენობა 105-ჯერ გაიზარდა, ხოლო უკანასკნელი 60 წლის მანძილზე — 23-ჯერ. მართლაც, როგორც 1989 წლის მოსახლეობის აღწერამ გვიჩვენა, თბილისში მცხოვრებ ოსთა მხოლოდ ნახევარი (16 ათასი) იყო თბილისში დაბადებული.

აღსანიშნავია, რომ ოსები საქართველოში სხვადასხვა გზებით გადმოდიოდნენ, პროფ. ნ. ბერძენიშვილს ოსების ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოჭრის მთავარ გზად დიდი ლიახვის ხეობა–დვალეთის გზა მიაჩნდა. ქართულ ისტორიულ წყაროებსა და ვახუშტის თხზულებაში გავრცელებულია ამ გზის მარშრუტები. ყოველივე ეს მით უფრო არსებითია, რომ, როგორც ოსი პროფესორი გ. თოგოშვილი აღნიშნავს, „დღესაც ზოგიერთი მკვლევარი ქართლში მოქმედ ოსებს დარუბანდის გზით მოსულებად თვლის და დასავალეთის გზით მათი მოძრაობა კი უსაფუძვლოდ, გამორიცხულად მიაჩნია.“[1] ამ საკითხს სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა პროფ. დ. გვრიტიშვილმა. მისი მოსაზრების თანახმად, რომელიც ისტორიკოს–მოგზაურთა ცნობებსა და უშუალოდ

[1] გ. თოგოშვილი. ნიკო ბერძენიშვილი და საქართველო ოსეთის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი. იხ. წიგნში: ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან. თბ., 1976, გვ. 39.

პირად დაკვირვებას ემყარება, გზა-ბილიკები ჩრდილოეთ კავკასიიდან უმთავრესად არაგვის, ქსნის, პატარა ლიახვისა და დიდი ლიახვის ხეობაში გადმოდიოდა და აქედან ქართლის ველებში მიემართებოდა. აღნიშნულ ხეობაში მთავარი გადმოსასვლელები იყო: 1. როკის გადმოსავალი, რომელიც დიდი ლიახვის ხეობას ოსეთთან აკავშირებდა; 2. ბახ–ფანდაგის გადმოსავალი, რომელიც როკის გადმოსავლის დასავლეთით მიემართებოდა. ამ გზას ოსები „ურმის გზის", „მარხილის გზის", „საცალფეხო ბილიკის" გზებისგან განსხვავებით „ცხენის გზას" უწოდებდნენ, რადგან ოსურად „ბახ" ცხენს, ხოლო „ფანდაგ" გზას ნიშნავს. ბახ–ფანდაგის გადმოსავალის დასავლეთით მდებარეობდა ზეკარის გადმოსავალი, რომელიც უერთდება როკის გზას; 3. ძედოს გადმოსავალი, რომელიც რამდენიმე განშტოებად იყოფა. ერთი ხველასთან უერთდება როკის გზას, ხოლო მეორე ჯავა – ონის, ე. წ. „ ჩასავლის" გზას უერთდება, იგი ონში გადადის. 4. მამისონის გადმოსავალი, რომლითაც ოსეთის სამხედრო გზა არდონის ხეობაში გადადიოდა. ამ გზაზე გაცხოველებული მიმოსვლა იყო და იგი ქართველებს საგანგებოდ ჰქონდათ გამაგრებული; 5. სბის გადმოსავალი, რომელიც სხვადასხვა ხეობების გავლით საბოლოოდ როკისა და კობის გზებს უერთდება. ამ მთავარი სამიმოსვლო გზების გარდა სხვა ბევრი მცირე გადმოსავლიც იყო. ამ გზებით ოსებს შეეძლოთ საქართველოსთან ურთიერთობა ჰქონოდათ. ვის ხელშიც იყო ეს გადმოსასვლელები და გზა–ბილიკები, მას ეკუთვნოდა ამ ტერიტორიის კონტროლიც. ამიტომ იყო, რომ საქართველოს სახელმწიფოს მესვეურები მუდმივად ზრუნავდნენ გადმოსასვლელების გამაგრებას, „რათა არ ვიდოდნენ თვინიერ მათსა ოვსნი", და როცა საქართველომ ველარ შეძლო ჩრდილოეთის ამ საზღვრის დაცვა, შედეგიც შესაფერისი მოჰყვა, მან დაკარგა ზემოდასახელებული რაიონები, სადაც ჩრდილოეთიდან მოსული ოსები დასახლდნენ"[1].

---

[1] დ. გურიტიშვილი. დვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის. იხ. წიგნი: მიმოშხილველი. I, თბ., 1949, გვ. 118.

ცხინვალის ძირძველი მოსახლეობა

ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დედაქალაქ ცხინვალში XX საუკუნემდე ოსებს არასოდეს უცხოვრიათ. იგი ყოველთვის ქართული ქალაქი იყო.

ცხინვალსა და მის მიდამოებში წარმოებული არქეოლოგიური გათხრები მოწმობენ, რომ ცხინვალი საქართველოს ერთ–ერთი უძველესი დასახლებული პუნქტია. ფეოდალური საქართველოს ქალაქების ისტორიისა და საქალაქო წყობის ცნობილი მკვლევარის შ. მესხიას აზრით, ცხინვალი წინა ქრისტიანულ ხანაშიც მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა.

სახელწოდება ცხინვალი წარმოდგება მცენარე რცხილადან. ძველ ქართულში ამ მცენარეს ქრცხილას უწოდებდნენ, ამიტომ ძველ ქართულ წყაროებშიც ცხინვალი მოიხსენება ქრცხინვალის სახელწოდებით. 1344 წლის ერთ–ერთ სიგელში იგი მოხსენებულია როგორც ვაჭრებით დასახლებული პუნქტი,[1] რასაც, უეჭველია, მისი ადგილმდებარეობაც უწყობდა ხელს. როგორც ქალაქი, ცხინვალი პირველად 1392 წლის მცხეთურ სიგელში იხსენიება. ისტორიული წყაროების ცნობებით XIV – XVI საუკუნეებში ცხინვალი დასახლებული იყო სვეტიცხოვლის მონასტრის ყმებით. მცხეთის კათალიკოსს მე–18 საუკუნეშიც ჰყავდა ცხინვალში ყმა ვაჭრები.

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ქართლში 14 მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტია, რომელთაგან უმთავრესი ქალაქებია მხოლოდ ორი – თბილისი და გორი. დანარჩენი 12 „მცირე ქალაქებს“ წარმოადგენდნენ, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ცხინვალი. მე–18 საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი პოლიტიკური მოღვაწე ალ. ამილახვარი „გეორგინულ ისტორიაში“ ცხინვალს „ყოველთვის ქართლის ქალაქად მოიხსენიებს და გორის შემდეგ მეორე ადგილს აკუთვნებს“.[2] ამ პერიოდში იგი სამეფო ქალაქად ითვლება.

ცხინვალს, როგორც ქალაქს, ჰქონდა სასიმაგრო ნაგებობანი. სათანადო საბუთებში მოიხსენიება ცხინვალის ციხე და „ქრცხინვა-

---

[1] თ. ჟორდანია. ქრონიკები, II, გვ. 197. ციტირებულია: შ. მესხია. საისტორიო ძიებანი, ტ. II, თბ., 1983, გვ. 229.

[2] ა. ამილახვარი. გეორგინული ისტორია, „მნათობი,“ №8, 1939, გვ. 128, 153, 154. ციტირებულია: შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 229.

ლის გალავანი", რომელიც საგანგებო თხრილითაც ყოფილა გამაგრებული. როგორც შ. მესხია აღნიშნავს, გვიან ფეოდალურ საქართველოში ქალაქებს, რომლებსაც ციხის გარდა იცავდა ქალაქის კედლები ან მისი მსგავსი სასიმაგრო ნაგებობანი (თხრილები, კოშკები) მიეკუთვებოდა თბილისი, გორი, ახალციხე, ქუთაისი, ცხინვალი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბატონიშვილი ვახუშტის გადმოცემით, გიორგი საakaძე იყო „მოურავი ტფილისისა, ქცხინვალისა და დუალეთისა." ამასთან ცხინვალის მოურავობა მეფეთაგან საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ბოძებული ჰქონდათ ამილახვართა გვარის წევრებს — ამილახვრიშვილებს, თუმცა იყო შემთხვევებიც, როცა ცხინვალს მოურავი არ ჰყავდა და მის მოვალეობას სხვა მოხელე ასრულებდა. სწორედ ამის შესახებ მეტყველებს 1766 წლის ერთ — ერთი დოკუმენტი, რომლის თანახმად სამოურავო გამოსაღებს მეფე და ციხისთავი იყოფდნენ.[1]

თუ ყოველივე ზემო აღნიშნულს გავითვალისწინებთ და ბევრ სხვა დოკუმენტსა და საბუთსაც მივიღებთ მხედველობაში, მაშინ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ცხინვალი სხვა ქალაქებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში.

მე–18 საუკუნის და უფრო ადრეული პერიოდის ცხინვალის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ცნობები თითქმის არ მოგვეპოვება. ვიცით მხოლოდ ის, რომ 1770 წლის აღწერით ცხინვალში 700 კომლი ცხოვრობდა. სამაგიეროდ, სხვადასხვა პერიოდის ლიტერატურული წყაროებით და საბუთებით ჩვენთვის ზედმიწევნით ცნობილია მისი ეროვნული შემადგენლობა.

როგორც ჩანს, აქ უძველესი დროიდანვე ცხოვრობდნენ ქართველები, ებრაელები და სომხები. მეტი სხვა ეროვნების წარმომადგენელს აქ არასოდეს უცხოვრია. როგორც XVIII საუკუნის პირველ ნახევრის გამოჩენილი მოღვაწე, ისტორიკოსი და გეოგრაფი ბატონიშვილი ვახუშტი აღნიშნავს, „დიდის ლიახვის კიდეზედ არის მცირე ქალაქი ქცხინვალი, კეთილ — ჰაოვანი, მსახლობელნი არიან ქართველნი, სომეხნი, ურიანი,[2] ანალოგიურ ცნობას ვხვდებით ცხინვალის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესახებ ვახტანგ მე-

---

[1] შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 400.
[2] ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 370

ექვსის „დასტურლამალშიც“. კერძოდ, ცხინვალის მოსახლეობა ვალდებული იყო მეფისათვის ყოველწლიურად ეძლია ღვინო 28 კოკა, დაემუშავებინა ბატონის ვენახი; ამასთან, მათ „ზოგჯერ კვერნა შეეწერება, ქართველმა, სომეხმა, ურიამ უნდა გამოიღოს, რაც იქ მოსავალი მოვა იმათვე მოიტანონ“[1]

ამასთან ცხინვალი და საერთოდ მთელი შიდა ქართლი ქართულ წყაროებში ყოველთვის განიხილება, როგორც ქართლის განუყოფელი ნაწილი. მაგალითად, ამის შესახებ ბატონიშვილი ვახუშტი შემდეგს აღნიშნავს: „იდგა რა მეფე ლუარსაბ (საუბარია ქართლის მეფე ლუარსაბ II–ზე, რომელიც 1606 – 1614 წლებში მეფობდა–ა. თ.) ქცხინვალს, რამეთუ ჟამად მოვლიდიან თუისთა ქვეყანათა ყოველთა“[2] ცხინვალი არა ერთხელ იქნა აოხრებული და განადგურებული მტრის მიერ, მას არც შინაური მტერი აკლებდა ხელს. მაგალითად, 1772 წელს კახეთიდან კაპიტანი ი. ლეოვი ატყობინებდა გრაფ ნ. პანინს, რომ თავადი ხიდირბეგიშვილი, რომელიც განაწყენდა ერეკლე მეფეზე, საქართველოდან გადავიდა ახალციხეში და რამდენიმე დღის შემდეგ ღამით შემოიყვანა ცხინვალში თურქები და ლეკები, გაძარცვა იგი, ტყვედ აიყვანა 306 ორივე სქესის ქართველი და წაიყვანა ახლციხეში[3].

ახლა იმის შესახებაც უნდა ითქვას, თუ რამ განაპირობა ცხინვალში ქართველებთან ერთად ებრაელებისა და სომხების შედარებით დიდი რაოდენობით ცხოვრება. ცხინვალი, ისე როგორც ონი, სადაც ასევე ადრიდანვე დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ ებრაელები, მდებარეობდა ჩრდილოეთ კავკასიიდან, ქართლიდან და ზემო რაჭიდან მომავალ გზებზე და ამდენად თავიდანვე წარმოადგენდა მნიშვნელოვან სავაჭრო პუნქტს. სომხები და ებრაელები კი, როგორც ცნობილია, საქართველოს ქალაქებში ძირითადად ვაჭრობას მისდევდნენ.

არც მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე შეცვლილა ცხინვალის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. როგორც მოსახლეობის აღწერები და სხვა დოკუმენტები ადასტურებენ, ცხინვალში მხოლოდ ქართველები, ებრაელები და სომხები ცხოვრობდნენ. მართალია, იგი ამ

---

[1] „დასტურლამალი“ მეფის ვახტანგ მეექვსისა; თბ, 1888, გვ. 122. ციტირებულია: შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 332.

[2] ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 421.

[3] ვ. მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ–საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწილი III, ნაკვეთი II, თბ., 1997. გვ. 350.

პერიოდში უკვე ქალაქად არ მოიხსენიება, მაგრამ ცხინვალი ყველგან აღნიშნება როგორც ქართული სოფელი. კერძოდ, ამას აღნიშნავენ XIX საუკუნეში საქართველოში მცხოვრები რუსი მოხელეებიც.

ცნობილია, რომ გასული საუკუნის პირველ ნახევარში რუსი გენერლები მრავალგზის მიუთითებენ ოსების მიერ ქართული სოფლების დარბევაზე, ძარცვა-გლეჯაზე და ქართველების მკვლელობაზე. XIX საუკუნის ცნობილი საზოგადო მოღვაწე ს. მგალობლიშვილი იგონებს: „ლეკთა თარეში რა მოსატანია, ან რა შესადარებელია ოსთა თარეშობასთან. ოსები ყველა თავად მაჩაბლებისა და ერისთავების ყმები იყვნენ, შემდეგ და შემდეგ, როცა გამრავლდნენ, სხვადა-სხვა თავადთა და აზნაურთა მამულებში გაიხიზნენ და მოედვნენ თითქმის მთელს ქართლის მთა-ტყეებსა... ოსები მთა-ტყეებში ცხოვრობდნენ; სახნავ-სათესი არ ჰქონდათ... ოსების ნაწილი ქურდობა — ავაზაკობას მისდევდა... დაირღვა მყუდროება სოფლისა, ლეკს მორჩნენ და ოსებმა უარესი დღე დააყენეს“.[1] ამ ბოროტების აღმოსაფხვრელად რუსი გენერლები გადაუდებელ საჭიროებად თვლიდნენ შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. გენერალი ტორმოსოვი 1809 წელს ავაზაკობისათვის ხუთ ოსს უსჯის სიკვდილს ჩამოხრჩობით. უფრო მოგვიანებით, 1824 წელს გენერალი ხონევი უპატაკებს გენერალ ერმოლოვს: იმისათვის, რომ შეწყდეს ქართველებზე თავდასხმები და მათი ძარცვა-გლეჯა ოსების მხრიდან, ქართლის მცხოვრებთ უნდა მივცეთ საშუალება დაიცვან თავი მძარცველებისაგან იარაღით, ისე როგორც კახეთის მცხოვრებნი იცავენ თავს ლეკებისაგან. ამიტომ ქართველს მძარცველის მკვლელობისათვის კანონის წესით დევნას ნუ დავუწყებთ. ჩავაგონოთ როგორც მემამულეებს, ასევე ქართლის მცხოვრებლებს, რომ ისინი პასუხს არ აგებენ ბოროტმოქმედთა და ავაზაკთა მკვლელობისათვის. ქართველები მხოლოდ ვალდებული გავხადოთ ყოველი ასეთი შემთხვევა შეატყობინონ ადგილობრივ ხელმძღვანელობას, კერძოდ, რომ ესა თუ ის ოსი მოკლულია თავდასხმისა თუ ძარცვის დროს.[2]

როგორც ჩანს, ისე ხშირი იყო ოსების მხრიდან გორის მაზრაში მკვლელობები, ძარცვა და ადამინათა ტყვედ წაყვანა, რომ გენერალი ახვერდოვი გენერალ ტორმოსოვისადმი გაგზავნილ პატაკში საჭიროდ თვლის ოსებს, რომლებსაც ესაჭიროებოდათ „სავაჭროდ ჩას-

---

[1] ს. მგალობლიშვილი. მოგონებანი. ტფილისი, 1938, გვ. 22-23.

[2] Акты Кавказской археографической комисии, т. VI, Тифлис, 1874, с. 690.

ვლა ქართულ სოფლებში და განსაკუთრებით ქართულ სოფელ ცხინ-ვალში., მიეცეთ სპეციალური ბილეთი თავად რევაზ მაჩაბლისა და ერისთავისაგან".[1]

ამრიგად, რუსი გენერლები ცხინვალს ქართულ სოფლად ასა-ხელებენ, სადაც ოსებს სპეციალრი ნებართვის — ბილეთის გარეშე შესვლა აკრძალული ჰქონდათ.

ახლა თუ მოსახლეობის აღწერის კონკრეტულ მონაცემებსაც მოვიშველიებთ, ცხინვალის მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული შემადგენლობა უფრო ნათელი გახდება. კერძოდ, 1886 წლის საოჯა-ხო სიების მიხედვით ცხინვალში ცხოვრობდა 3832 კაცი, აქედან: 1135—ქართველი, 1953—ებრაელი და 744—სომეხი. 1886 წელს არ-ცერთ ოსს ცხინვალში არ უცხოვრია.[2]

ცხინვალის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა იცვლება მხოლოდ 1920—იანი წლების დასაწყისში, განსაკუთრებით კი 1922 წლის შემდეგ, როდესაც შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და ოსებს ოლქის დედაქალაქად ცხინვალი უბოძეს. სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წლის აღწერის მიხედ-ვით ცხვინვალის ოსი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მოსულია და მათგან ერთ მესამედს ერთი წელიც არ უცხოვრია ცხინვალში.[3] სულ ქალაქ ცხინვალის მსახლეობა 4543 კაცს უდრიდა და მისი მოსახლეობის უმეტესობას ისევ ქართველები (1436 კაცი), ებრაელე-ბი (1651 კაცი) და სომხები (1465 კაცი) შეადგენდნენ. მხოლოდ ამის შემდეგ გადმოდიან ოსები ცხინვალში დიდი რაოდენობით მუდ-მივ საცხოვრებლად. ამას განსაზღვრავს უკვე ცხინვალის როგორც ავტონომიური ოლქის დედაქალაქში მოთავსებული მმართველობითი ორგანოების ეროვნული კადრებით დაკომპლექტებისა და კულტურულ ცენტრად გადაქცევის საჭიროება. უკვე 1926 წელს ცხინვალის მო-სახლეობა 5818 კაცს შეადგენდა. აქედან ქართველი — 1920 კაცს, ოსი—1152, ებრაელი - 1772 და სომეხი—827 კაცს უდრიდა. მართა-ლია, ამ აღწერის მიხედვით ცხინვალში ოსებს ქართველები ჯერ კი-დევ დიდად ჭარბობენ, მაგრამ შემდეგ წლებში რაოდენობრივი თანა-

---

[1] Акты Кавказской археографической комисия, т., VI, Тифлис, 1874, г. с. 460.

[2] Свод статистических данных о населении Закавказского края, излеченных из посемейных списков 1886 года, Тифлис, 1893.

[3] სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წლის 30 ნოემბრის აღწე-რის ჯამები, ნაწილი 1, ნაკვეთი 2, ტფილისი, 1923, გვ. 36.

ფარდობა ქართველებსა და ოსებს შორის სწრაფად იცვლება ოსების სასარგებლოდ. უკვე 1959 წელს ცხინვალში 4652 ქართველი და 12432 ოსი ცხოვრობდა, ხოლო 1989 წელს მხოლოდ 6905 ქართველი და 31537 ოსი. ასე რომ, „დიდი ლიახვის კიდეზე" მდებარე უძველესი ქართული ქალაქი თითქმის მთლიანად გაოსდა. აქ რაოდენობრივი თანაფარდობის მკვეთრ დარღვევასთან ერთად მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ ცხინვალი, როგორც ავტონომიური ოლქის დედაქალაქი, თითქმის მარტოოდენ ოსური კულტურის ცენტრად გადაიქცა.

ამჟამად ოსი ექსტრემისტების „მოღვაწეობისა" და ხელოვნურად შექმნილი ეთნოკონფლიქტის შედეგად ცხინვალი ქართული მოსახლეობისაგან თითქმის დაცლილია. ზუსტად არ არის ცნობილი რამდენმა კაცმა დატოვა ქალაქი, მაგრამ ცნობილია მხოლოდ ის, რომ ცხინვალში დღესდღეობით ქართველი თითქმის აღარ ცხოვრობს.

ცხინვალის მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა 1886-1989 წლებში

	1886წ.	1922წ.	1926წ.	1959წ.	1970წ.	1979წ.	1989წ
ქართველი	1135	1436	1920	4652	5475	5584	6905
ებრაელი	1953	1651	1772	1649	1475	652	396
სომეხი	744	765	827	860	768	712	734
ოსი	–	613	1152	12432	20846	25319	31537
რუსი	–	64	114	1583	1180	1737	1836
დანარჩენი	–	14	33	465	567	787	925
სულ	3832	4543	5818	21641	30311	34791	42333

ახლა ცხინვალის რეგიონში ქართველი ხალხი ეძებს კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის გზებს. ქართველი კაცი ოსებთან მხოლოდ მშვიდობიან თანაარსებობას ითხოვს და ეს მისი სავსებით სამართლიანი მოთხოვნაა. მას სჯერა, რომ აქ არსებული წინააღმდეგობის გადაწყვეტა სავსებით შესაძლებელია ურთიერთნდობისა და კეთილი ნების პირობებში. ცხინვალის მოსახლეობის შესახებ ზემოთ აღნიშნული მონაცემები ნათლად გვიჩვენებენ, რომ ქართველ კაცს ოსები ცხინვალში უშურველად მიუღია და მათთვის კეთილმეზობლობაც გაუწევია. თუ იაკობ გოგებაშვილის სიტყვების მოვიშველიებთ, ეხლაც ქართველობას... სხვებისათვის სიკეთის მეტი არაფერი სურთ, ითხოვს მხოლოდ, რომ მას მიუწყონ იმ საწყაულით, რომლითაც იგი უწყავდა სხვებს.

როდიდან იხმარება ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“

მე–19 საუკუნემდე ტერმინ „სამხრეთ ოსეთის“ ხმარების არავითარი ცნობა არ არსებობს არც ქართულ და არც უცხოურ წერილობით წყაროებში. იმდროინდელი გაგებით ოსების ქვეყანა ოსეთია, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარეობდა. მკვლევარმა ს. ლეკიშვილმა დიდი მუშაობა ჩაატარა იმის შესასწავლად თუ როდის გაჩნდა ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ და როგორი სიხშირით იხმარებოდა იგი.

ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ პირველად გამოყენებულია 1830 წელს წერილების სერიაში, რომელიც დაიბეჭდა „ტიფლისკი ვედომოსტში“ (№72 – 86). როგორც ჩანს, კორესპონდენტი ამ ტერმინს საკუთარი ინიციატივით იყენებს, რადგან 1830 წელს გრაფ პასკევიჩის სამხედრო მინისტრ ჩერნიშოვისადმი წარდგენილ ანგარიშში აღნიშნულია: ოსი ტომის დაშოშმინებისათვის მიზანშეწონილად მივიჩნიე მცირე სამხედრო ექსპედიციის ჩატარება. ეს ექსპედიცია მიმართული იქნება კავკასიის მთიანეთის სამხრეთით მდებარე ჩრდილოეთ ქართლის ოსების წინააღმდეგ.[1]

კორესპონდენტის აზრით, მის მიერ „სამხრეთ ოსეთად“ წოდებული ზონის მოსახლეობის საერთო რაოდენობა 7200 სულს შეადგენდა.

მკვლევარმა ს. ლეკიშვილმა დაამუშავა ოსეთის შესახებ არსებული თითქმის ყველა ისტორიული დოკუმენტი და საბუთი და იმ დასკვნამდე მივიდა რომ 1830 წლამდე როგორც ქართულ, ასევე უცხოურ წერილობით წყაროებში ოსეთის მიმართ რაიმე მსაზღვრელის – „ჩრდილოეთის“ თუ „სამხრეთის“ გამოყენების არცერთი ფაქტი არ დასტურდება. ტერმინ „სამხრეთ ოსეთს“ არ იცნობენ უცხოელი მეცნიერები და მოგზაურები. მხოლოდ გერმანელი პროფესორი კ. კოხი აფიქსირებს ტერმინ „სამხრეთ ოსეთს“ ქართული ისტორიული პროვინციის დვალეთის აღსანიშნავად და ისიც XIX საუკუნეში. დვალეთის შესახებ კი, რომ არაფერი ვთქვათ ქართულ წყაროებზე, რუსულ წერილობით ძეგლებში შემდეგია აღნიშნული: „დვალეთი (ნარ–მამისონის ქვაბული) მთელ შუა საუკუნეებში საქართველოს შემადგენ-

---

[1] ს. ლეკიშვილი. როდის გაჩნდა ტერმინი „სამხრეთ ოსეთი?“ იხ. წიგნში: „ოსთა საკითხი.“ გვ. 261. (აქტები. ტ. VII, გვ.354).

ლობაში შედიოდა. აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ იგი შედიოდა თბილისის გუბერნიაში და მხოლოდ 1859 წელს შეუერთდა ვლადიკავკასიის (ოსეთის) ოკრუგს.[1] ამასთან, აღსანიშნავია, რომ რუსი მეცნიერები ჩრდილოეთ ოსეთს უწოდებენ ისტორიულ ოსეთს (დ. ლავროვი. „ნარკვევი ოსეთისა და ოსების შესახებ.“ ჟურ. „ტერსკიე ვედომოსტი.“ №20, 1874).

ს. ლეკიშვილის გამოკვლევით მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ იშვიათად გვხვდება. როგორც იგი მიუთითებს, კავკასიის არქეოლოგიური კომისიის აქტების თორმეტტომეულიში, რომელიც შეეხება 1864 –1917 წლებს და მოიცავს ათი ათასზე მეტ ისტორიულ დოკუმენტს ქართულ, არაბულ, რუსულ, სპარსულ და თურქულ ენებზე, ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ დაფიქსირებულია მხოლოდ ერთხელ. 1852–1915 წლების ქართულ პერიოდულ პრესაში, კერძოდ, 30–ზე მეტი დასახელების ჟურნალ–გაზეთში, ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ გამოყენებულია მხოლოდ ორჯერ.

პოლიტიკურ ლექსიკონში ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ გაჩნდა მე–19 საუკუნის 60–იან წლებში, რომელიც შემდეგ მკვიდრდება რუსი მოხელეების მიერ. მანამდე ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები „ოსეთის” ადმინისტრაციული გაერთიანების მიზნით, რაც უზრუნველყოფდა რუსეთის ბატონობას არა მარტო თვით ოსეთში, არამედ კავკასიონის ქედის მთელ სივრცეზე. ბარონი როზენი აცხადებდა: „ჩვენი მტკიცე ბატონობა ოსეთში გადაჭრით გააპობს კავკასიის მთების ქედს ორ ნაწილად, მაშინ როცა ახლა მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სამხედრო გზა კვეთს კავშირს ჩვენს მიერ ნახევრად დაპყრობილ და ჩვენდამი მტრულად განწყობილ ხალხებს შორის”.[2] მალე შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში ოსებით კომპაქტურად დასახლებული რაიონები „ოსეთად“ იქნა მონათლული: 1843 წელს თბილისის გუბერნიაში შეიქმნა „ოსეთის ოკრუგი,“ რომელიც ჯავის, პატარა ლიახვისა და ნარის (ისტორიული დვალეთის) უბნებად დანაწილდა. მოგვიანებით ნარის უბანი ჩამოაშორეს თბილისის გუბერნიას და ოსეთის სამხედრო ოკრუგს (შეიქმნა 1959 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში) გადასცეს, რომელიც შემდეგში თერგის ოლქში, 1924

---

[1] Очерки истории Юго-Осетинской А/О, т. I, 1985, с. 120.

[2] ციტირებულია: რ. ლომინაძე. ვინ და როდის დაარქვა შიდა ქართლის მთიანეთს „სამხრეთ ოსეთი.“ გაზ. „განათლება,“ 30 ოქტომბერი, 1991 წელი.

წლიდან კი ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ შემადგემლობაში შევიდა. ამ აქციით საქართველოს წაართვეს მისი ისტორიული ტერიტორია — დვალეთი. ყოველივე ამით, კერძოდ, 1843 წელს ოსეთის ოკრუგის შექმნით, „შორსგამიზნული ტოპონიმიური დივერსიით ნოყიერი ნიადაგი შეუმზადეს „ოსეთად" ან „სამხრეთ ოსეთად" მონათლულ ძველთაძველ ქართულ მიწა–წყალზე ოსთა ტერიტორიული პრეტენზიების და „ორი ოსეთის" სამერმისო გაერთიანების იდეის შემდგომ მუტაციას, რამაც XX–საუკუნეში უკვე აგრესიული ოსური სეპარატიზმის სახით იჩინა თავი.[1] როგორც დოცენტი რ. ლომინაძე სამართლიანად აღნიშნავს, ჩრდილოეთ კავკასიაში „ოსეთის სამხედრო ოკრუგის", ხოლო თბილისის გუბერნიაში "ოსეთის ოკრუგის" (შემდეგში „ოსეთის უბანი") შექმნა ახალი სახელწოდებების — „ჩრდილოეთ ოსეთისა" და „სამხრეთ ოსეთის" საფუძველი გახდა. პირველი გამოქვეყნებული ოფიციალური დოკუმენტი, სადაც ეს ტერმინები გამოიყენება, არის კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოების მომწყობი კომიტეტის 1860 წლის ანგარიში. მასში ნათქვამია: კომიტეტმა დაასკვნა, რომ მთელი ყურადღება უნდა იქნეს გადატანილი ქრისტიანობის აღდგენასა და განმტკიცებაზე. . სამურზაყანოში, სვანეთში, სამხრეთ ოსეთში (ხაზი ჩვენია — ა.თ.), თუშებში და ხევსურებში, საიდანაც ქრისტიანობის შუქი შემდგომში შეაღწევს აფხაზეთში, ბალყარელებში და ყარაჩაელებში, ჩრდილოეთ ოსეთში (ხაზი ჩვენია — ა.თ.), ქისტებში და სხვა ჩაჩნურ ტომებში".[2]

---

[1] ვ. ითონიშვილი. სამხრეთ ოსეთი ცენტალურ საქართველოში?! იხ. წიგნი: ოსთა საკითხი. გვ. 16.

[2] ციტირებულია: რ. ლომინაძე, დასახ. ნაშრომი.

მართლა შეუერთდა თუ არა "სამხრეთ ოსეთი" რუსეთს 1774 წელს

ოსი „მეცნიერები" არავითარ სიყალბეს არ ერიდებიან და იმასაც კი აცხადებენ, რომ თითქოს არსებობდეს რაღაც ისტორიული დოკუმენტი, რომლის თანახმად ერთიანი ოსეთი 1774 წელს რუსეთის იმპერიაში შევიდა.

2004 წლის 10 ივლისს რუსეთის დუმამ მიიღო სრულიად უპრეცენდენტო, პროვოკაციული განცხადება იმის თაობაზე, რომ ოსეთი ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს 1774 წელს და რუსეთი მოვალეა დაიცვას თავისი ოსი მოქალაქეების უფლებები. მათი აზრით, რუსეთს ამ წელს შეურთდა როგორც სამხრეთი ისე ჩრდილოეთი ოსეთი — ცხინვალიდან ვლადიკავკაზის ჩათვლით. ამდენად ისინი აცხადებენ, რომ დამოუკიდებელ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი რუსი სამხედროები ახლა უკვე საკუთარ მოქალაქეებს იცავენ და რუსეთი თითქოს გასაჭირში მყოფ თავიანთ მოქალაქეებს არ მიატოვებს ბედის ანაბარად. ამით ისინი ცდილობენ ოსები ფარად აიფარონ თავიანთი იმპერიული მიზნების დასაკმაყოფილებლად.

XIX საუკუნემდე არავითარი ისტორიული დოკუმენტი არ არსებობს, სადაც შიდა ქართლის მთიანეთი ოსეთად იწოდებოდეს. წარსულში ქართლის მთიანეთში მცხოვრებ ოსს აზრადაც არ მოუვიდოდა ეთქვა, ოსეთში ვცხოვრობო, რადგან მან კარგად იცოდა: ქართულ მიწაზე ხიზნად იყო დასახლებული. შიდა ქართლი საქართველოს განუყრელი ნაწილი იყო. ქართლ — კახეთის მეფე ერეკლე მეორე, რომლის სამხედრო ნიჭს დიდად აფასებდნენ დასავლეთშიც, კერძოდ, პრუსიის მეფე ფრიდრიხ II და დიდი გერმანელი მწერალი ლესინგი, ერთ—ერთ დოკუმენტში აფრთხილებს ორგულ ოსებს, თუ ჩემს ბრძანებას არ დაემორჩილებით, „ისეთს რისხვას მოგაყენებთ, რომ არას კაცს არ მოსვლოდეს და არც ჩვენს მამულში თქვენს გვარსლა გავუშვებთო". დიახ, შიდა ქართლი „ჩვენი მამული" იყო ყოველთვის, მაგრამ ჩინოვნიკები XIX საუკუნის 60—იანი წლებიდან ხელოვნურად და წინასწარგანზრახულად შეთხზულ ტერმინებს — „ჩრდილოეთ ოსეთსა" და „სამხრეთ ოსეთს" ამკვიდრებენ ხმარებაში. ასე რომ, გარკვეულ ძალებს ყოველთვის აწყობდათ ოსეთის ასეთი დაყოფა კოლონიური პოლიტიკის გასატარებლად. სწორედ ასეთმა ძალებმა მიგვიყვანეს დღეს არსებულ კონფლიქტამდე. როგორც სამართლიანად

მიუთითებენ, ეს იმას ჰგავს, რომ საქართველოს რაიონებს, სადაც ამჟამად სომხები, აზერბაიჯანელები და ბერძნები ცხოვრობენ, შესაბამისად ვუწოდოთ ჩრდილოეთი სომხეთი, დასავლეთი აზერბაიჯანი ან აღმოსავლეთი საბერძნეთი. ბუნებაში მხოლოდ ერთი, ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარე ოსეთი არსებობს. რაც შეეხება ოსეთის რუსეთთან გაერთიანების პროცესს, იგი XIX საუკუნის 20–იან წლებში დასრულდა და, რა თქმა უნდა, ეს პროცესი არ შეეხებოდა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ოსებს, რომლებიც ქართლ–კახეთის სამეფოს ქვეშევრდომებს შეადგენენ. უფრო მეტიც, 1774 წელს რუსეთს შეუერთდა ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები არა მთელი ოსები (იმ პერიოდში ოსეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმონაქმნი არ არსებობდა), არამედ, როგორც დოკუმენტები ადასტურებენ, მათი ერთი ნაწილი. როგორც ცნობილია, XIII–XIV საუკუნეებში ჯერ მონგოლ–თათრების, შემდეგ კი თემურლენგის ურდოების შემოსევების შედეგად იმერკავკასიის ნაყოფიერ ველებზე ოსები სასტიკად იქნენ დარბეულნი. ოსთაგან მიტოვებული დაბლობები ყაბარდოელებმა ჩაიგდეს ხელთ და ამის შედეგად ოსები მთლიანად მცირე მიწიან მთებში აღმოჩნდნენ შემწყვდეულნი, სადაც ჩამოყალიბდა „ალაგირის", „ქურთათის", „თაგაურის" და „დიგორის" ოსური თემები. როგორც ოსური ლიტერატურის ფუძემდებელი კ. ხეთაგუროვი აღნიშნავს, ამ თემებს ერთმანეთთან იმდენად შეზღუდული ურთიერთობა ჰქონდათ, რომ ერთმანეთსაც ვერ აგებინებდნენ, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი. ამ საკითხების შესანიშნავი მცოდნე, აწ გარდაცვლილი ახალგაზრდა მეცნიერი ვ. ითონიშვილი აღნიშნავდა: „XVIII საუკუნის შუა წლებიდან ოსეთში საბოლოოდ იძალა პრორუსულმა ორიენტაციამ. საუკუნეების მანძილზე ცენტრალური კავკასიონის ვიწრო ხეობებში შეყუჟული და ყაბარდოელ ფეოდალთაგან შევიწროებული ოსი ხალხის ისტორიული არჩევანი 1774 წელს გაკეთდა, როდესაც ალაგირის, ქურთათისა და თაგურის ოსური თემები ყაბარდოსთან ერთად რუსეთს შეუერთდა. 1781 წელს იგივე ნაბიჯი გადადგა დიგორის ოსურმა თემმაც".[1]

---

[1] ვ. ითონიშვილი. სამხრეთ ოსეთი – ცენტრალურ აქართველოში?! იხ. კრებული: ოსთა საკითხი. გვ. 15).

საქართველოში მცხოვრები ოსებისა და სხვა ეროვნებების რუსეთის შემადგენლობაში შესვლის საფუძველი გიორგიევსკის ტრაქტატის (1783წ.) დადება გახდა.

ორი წლის შემდეგ ეს საკითხი, რა თქმა უნდა, რუსეთის კარნახით, დასვა თვითგამოცხადებული „სამხრეთ — ოსეთის რესპუბლიკის“ პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ. შემდეგ „სამხრეთ ოსეთის“ ვიცე–პრემიერმა ბორის ჩოჩიევმა დაიცვა პრეზიდენტის შეხედულებები და გააკეთა აბსოლუტურად არასწორი ექსკურსი საქართველოს ისტორიაში. „სამხრეთ ოსეთის“ პრემიერის მიერ წამოჭრილ საკითხებს „რეგნუმ“ საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტის თხოვნით, თავის სტატიაში კომენტარი გაუკეთა პოლიტოლოგიისა და ისტორიის ამერიკელმა პროფესორმა, კავკასიის საკითხთა სპეციალისტმა, კალგარის უნივერსიტეტთან არსებული სამხედრო–სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრის წარმომადგენელმა ენდრიუ ანდერსენმა. რამდენადაც ოსი „მეცნიერები“ ყოველთვის მიკერძოებულად მიიჩნევენ ქართველთა პასუხებს, ამჯერად საჭიროდ ჩავთვალეთ ბატონ ენდრიუ ანდერსენის სტატიის თითქმის სრულად მოყვანა, მიუხედავად მისი დიდი მოცულობისა. ეს იმანაც განაპირობა, რომ არ შეიძლება სხვისი ისტორიის ასე ხელაღებით მითვისება, ისტორიული წყაროების ასე უკულმართად წაკითხვა, რადგან „დაგვიჯერებენ მხოლოდ იმას, რაც თვითონ გვჯერა“. უცხოელ მეცნიერებს და არც ცნობილ ოს მეცნიერებს არ სჯერათ ოსი დილეტანტი მეცნიერების მხოლოდ პოლიტიკურ გადასახედიდან დანახული, პოლიტიკური მოტივებით შეკოწიწებული ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ისტორია, უხსოვარი დროიდან აღმოსავლეთ საქართველოში ოსების ცხოვრების მითი, ერთიანი ოსეთის არსებობა.

ბატონი ენდრიუ ანდერსენი აღნიშნავს: „ამ რამდენიმე ხნის წინათ, ედუარდ კოკოითიმ, საქართველოს შიდა ქართლის რეგიონის ტერიტორიაზე მდებარე ერთი გოჯი მიწის — ამჟამად თვითგამოცხადებული „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკად“ წოდებული რეგიონის მეთაურმა ედუარდ კოკოითიმ გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ იგი ცდილობს, ეს ტერიტორია შეიყვანოს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. ამ თვითგამოცხადებულ რესპუბლიკას სადღეისოდ აკონტროლებს უკანონო შეიარაღებული ფორმირებები „სამხრეთ ოსეთის არმიის“ სახით და მათ მხარს უჭერენ რუსი „მშვიდობისმყოფლები“. ასეთი ინიციატივის საფუძვლად კოკოითიმ მოიტანა რაღაც

იდუმალებით მოცული „ისტორიული დოკუმენტი 1774 წელს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ერთიანი ოსეთის შესვლის შესახებ“.

გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ამ თვითაღიარებული რესპუბლიკის „ლიდერის“ ასეთი გამოსვლის შემდეგ, კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ გიორგი ვოლსკიმ ყველას შეახსენა, თუ ვის შეიძლება ეხებოდეს კოკოეთის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ 1774 წელს არ არსებობდა არანაირი მითური „ერთიანი ოსეთი“, ან რომელიმე სხვა ოსეთი საქართველოს ტერიტორიაზე. ბატონ ვოლსკის ასეთმა განცხადებამ, როგორც ჩანს, კოკოითის მომხრეთა დიდი განრისხება გამოიწვია. კერძოდ, „სამხრეთ ოსეთის ვიცე-პრემიერმა ბორის ჩოჩიევმა ამას ძალზე საინტერესო პასუხი გასცა, რომელიც გაავრცელა „რეგნუმ“ საინფორმაციო სააგენტომ შემდეგი სათაურით: „სამხრეთ ოსეთის ვიცე-პრემიერმა განახორციელა „უწიგნურობის ლიკვიდაცია სამამულო ისტორიაში“.

უწიგნურობის ლიკვიდაცია (ეს ტერმინი დამკვიდრდა საბჭოეთში XX საუკუნის 20-იან წლებში), რა თქმა უნდა, ღირსეული და საჭირო საქმეა. სამწუხაროდ, თანამედროვე მსოფლიოში საკმაოდ მომრავლდნენ ისტორიულად უწიგნური ადამიანები. ამის მიზეზია ტენდენცია, რომელიც დაისახა გასული საუკუნის შუა წლებში მთელ რიგ ქვეყნებში. ამ ტენდენციის თანახმად, ისტორიის სწავლება ყველა სასწავლებელში მნიშვნელოვნად შეიკვეცა, ზოგიერთი პროგრამებიდან კი საერთოდაც ამოიღეს. ვინც ამ საკითხის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებდა, ეს იმით განმარტა, რომ ისტორია, თურმე ძალზე მოწყვეტილი ყოფილა რეალური სინამდვილისგან, და ამიტომაც, მისი შესწავლისთვის არ ღირს დროის და სახსრების ხარჯვა. ამ მხრივ, განსაკუთრებით „გაუმართლათ“ საქართველოს და იმ სხვა ხალხების ისტორიებს, რომლებსაც წილად ხვდათ სსრ კავშირის შემადგენლობაში ყოფნის „ბედნიერება“: დასავლეთში მათი ისტორია ამოიღეს ნებისმიერი პროგრამებიდან, რადგან, მიაჩნდათ, რომ ეს ქვეყნები ვერასდროს ვეღარ დაეწევდნენ თავს რუსეთს, ხოლო მათ თუ აღარ ექნებოდათ მომავალი როგორც ერებს, მაშინ მათი წარსულის შესწავლა და გახსენებაც კი აღარ იქნებოდა საჭირო. სსრ კავშირში კი მიაჩნდათ, რომ ხალხების მიერ თავიანთი ისტორიების ცოდნა შეუქმნიდა საფრთხეს „ურღვევი კავშირის“ მონოლითურობას. ყოველივე ამის შედეგად, მივიღეთ ისტორიულად ნაკლებად გა-

ნათლებული, ზოგჯერ კი, აბსოლუტურად უწიგნური პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების და საზოგადოების რიგითი წევრების რამდენიმე თაობა. ამ ბოლო ათწლეულების განმავლობაში კი ძალზე მომრავლდნენ ისეთი ავტორები, რომლებიც ქმნიან სრულიად ახალ ვირტუალურ წარსულს, სარგებლობენ რა იმით, რომ რეალური წარსულის შესახებ პრაქტიკულად თითქმის არაფერი იციან არც საზოგადოებამ და არც მისმა ბელადებმა. ერთი სიტყვით, წარსული „განუჭვრეტელი" გახდა.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში ბატონ ვოლსკის მიმართ გამოთქმული საყვედური, რომ იგი ისტორიულად უწიგნური ყოფილა, უსაფუძვლოდ მიგვაჩნია, რადგან, მის მიერ ნათქვამი სიტყვები მთლიანად შეესაბამება ჭეშმარეტებას. 1774 წელს რუკაზე არ არსებობდა არა მარტო ბატონი კოკოითის და ექსპანსიონისტური პროპაგანდის სხვა რუპორების მიერ ასე ხშირად ნახსენები „ერთიანი ოსეთი", არამედ საერთოდ, ოსეთი, როგორც ასეთი. ოსური ენის სხვადასხვა დიალექტზე მოლაპარაკე ადამიანები, რა თქმა უნდა, ცხოვრობდნენ დიდი კავკასიონის ქედის ორივე მხარეს, მაგრამ ამჟამინდელი ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ოსების უმრავლესობა ემორჩილებოდა ყაბარდოელ ფეოდალებს, მათი მიწებიც, შესაბამისად, ყაბარდოს ნაწილს შეადგენდა, რომელიც, თავის მხრივ, ფორმალურად ემორჩილებოდა ყირიმელ ხანებს — ოსმალეთის იმპერიის ვასალებს. ამჟამინდელი თვითგამოცხადებული „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის" ტერიტორია კი შედიოდა აღმოსავლეთ საქართველოს ქართლ-კახეთის სამეფოს შემადგენლობაში და არასდროს არ იყო გამოყოფილი შიდა ქართლის ოლქიდან. ერთი სიტყვით, მათ არასდროს არ უცხოვრიათ განცალკევებულად აღმოსავლეთ საქართველოსგან. ამას ამტკიცებენ წარსულის ყველა სერიოზული ისტორიკოსები და ეს არავისთვის არ არის სადავო, გარდა, ღმერთმა უწყის, საიდან გამოჩენილი ამ ბოლო წლების „ისტორიკოსებისგან", თუმცა, მათაც ვერ დაუდასტურებიათ თავიანთი „რევოლუციური" შეხედულებები ვერანაირი მტკიცებულებებით. მაგრამ, პოლიტიკურ ავანტიურისტებს განა რაიმე მტკიცებულებები სჭირდებათ?

მაინც რა შევიდა 1774 წელს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, და რა დოკუმენტების საფუძველზე მოხდა ეს? ამ კითხვაზე პასუხის პოვნა ადვილად შეიძლება 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის არქივებში, რომელიც დასრულდა ქუჩიუკ–კაინარჯის ზა-

ვით. ამ ზავმა დაადგინა რუსეთის საზღვრები ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მდინარე ყუბანის გასწვრივ. იგი ითვალისწინებდა ოსმალეთის იმპერიისგან ყირიმის სახანოს ჩამოშორებას, რომელიც დამოუკიდებლად გამოცხადდა, და რუსეთისთვის საზღვაო სანაპიროს ნაწილის დათმობას ქერჩის, ენიკალეს, კინბუნის ციხე-სიმაგრეების ჩათვლით; რუსეთის შემადგენლობაში დიდი და მცირე ყაბარდოს შენარჩუნებას, რუსებს ეძლეოდათ უფლება სავაჭრო ხომალდებით შეუფერხებლივ გასულიყვნენ შავ ზღვაში და შავი ზღვის სრუტეებში; ეძლეოდა ავტონომია მოლდავეთს და ვალახეთს, და ეს სამთავროები რუსეთის მფარველობის ქვეშ გადაეცემოდა.

ამრიგად, არანაირ ოსეთზე — არც ერთიანზე და არც ორად გაყოფილზე, ლაპარაკი არ არის. არის დიდი და მცირე ყაბარდო, რომელშიც, როგორც უკვე ითქვა, შედიოდა ოსებით დასახლებული მიწების ნაწილიც. ასე რომ, უწიგნურობის ლიკვიდაციის გაკვეთილების ჩატარება საქართველოს სახელმწიფოს მინისტრის მოადგილესთან, მეტი რომ არ ვთქვათ, ზედმეტია. ახლა ასეთი კითხვა დავსვათ: რა გაკვეთილი მისცა ბატონმა ჩოჩიევმა ქართველ ოპონენტს? თუ გადავხედავთ ბორის ჩოჩიევის ბიოგრაფიას მის ოფიციალურ საიტზე, შეიძლება გაგვიკვირდეს, თუ სად და როდის გაეცნო იგი ასე დეტალურად საქართველოს და ოსი ხალხის ისტორიას. ამ ერთი გოჯი თვითაღიარებული ტერიტორიის „ვიცე-პრემიერმა" თავისი კარიერა დაიწყო მუშად და საოლქო კომუნალური მეურნეობის სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს კომკავშირის კომიტეტის მდივნად, შემდეგ მუშაობდა ალკკ საოლქო კომიტეტში, პარალელურად ეუფლებოდა საბუნებისმეტყველო მეცნერებებს სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე, ამის შემდეგ კი — სსრ კავშირის დაშლამდე—იგი პარტიულ მოღვაწეობას ეწეოდა პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის აპარატში. ამ საქმიანობის არც ერთი ზემოაღნიშნული სფერო არ ითვალისწინებდა და არც მოითხოვდა ისტორიის ღრმა ცოდნას — მით უმეტეს, საქართველოს ისტორიის. თანაც, ასეთი მუშაობისას, ადამიანს ძალზე მცირე დრო უნდა ჰქონოდა ისტორიის შესასწავლად, მაგრამ ყველაფერი ხდება. მოდით ვიფიქროთ, რომ ბატონი ჩოჩიევი პოულობდა დროს და ისტორიას თვითონ დაეწაფა. თანაც, იმდენად ღრმად და დეტალურიად შეისწავლა, რომ ახლა სხვებსაც ასწავლის. მაინც, რაში შეიძლება გაგვანათლოს ჩოჩიევმა ჩვენ?

ბატონი ჩოჩიევი ჩვენს დამოძღვრას იწყებს ს. რობაქიძის—1917 წელს გამოცემული საქართველოს გეოგრაფიის სახელმძღვანელოს ავტორის ციტატით, რომლის თანახმადაც, „ოსეთი არ არის საქართველოს ნამდვილი ნაწილი“. რთულია სათანადოდ შევაფასოთ საუკუნის წინათ დაწერილი პროვინციული სასკოლო სახემძღვანილოდან მოყვანილი ეს ციტატა, რომელიც ამოგლეჯილია კონტექსტიდან. მაგრამ თუ გადავხედავთ საქართველოს ისტორიის შესახებ ფუნდამენტურ ნაშრომებს, მაგალითად, ვ. ალენის, დ. ლანგის, ან თვით პ. იოსელიანის, ან თვალს მაინც გადავავლებთ საქართველოს ადმინისტრაციულ რუკებს 1801 წლამდე რუსეთთან ამ ქვეყნის შეერთებამდე და მისი შეერთების შემდეგ, მერწმუნეთ, ვერ ნახავთ ვერანაირ „სამხრეთ ოსეთს“ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. თანაც, 1801 წლისთვის საქართველოს სახელმწიფოს განლაგება და თბილისის გუბერნიის ადმინისტრაციული საზღვრები გადიოდა დაახლოებით იქვე, სადაც 1918 წლის შემდეგ გაიარა დამოუკიდებელი საქართველოს საზღვარმა, 1921 წლის შემდეგ კი— საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა. აქვე გადის თანამედროვე ოფიციალურად აღიარებული საქართველოს საზღვრიც. საზღვრის ოდნავი გადაადგილება შეინიშნებოდა მხოლოდ დვალეთ-თუალიაში, რომლის უმეტესი ნაწილიც, ბოლოს და ბოლოს, მოხვდა ჯერ თერგის ოლქის, მოგვიანებით კი გორსკის და ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკის შემადგენლობაში. მაგრამ ამ ტერიტორიებზე დღევანდელი საქართველო პრეტენზიას არ აცხადებს. კარგად გვაქვს შეგნებული, რომ წარსულში გამოცემული სამეცნიერო ნაშრომები და რუკები ძალზე უშლიან ხელს იმათ, ვისაც სურს შექმნას ახალი წარსული ისტორიის ხელახლა გადაწერის გზით, მაგრამ, მაინც უნდა განვაცხადოთ, რომ თვით იმ შემთხვევაშიც კი, თუ ზემოთ დასახელებულ ნაშრომებს და რუკებს გაანადგურებენ მთელს რუსეთში, ისინი შენარჩუნებული იქნება მსოფლიოს სხვა კუთხეებში.

შემდეგ ბატონი ჩოჩიევი გვთავაზობს ერთ ძველ ჰიპოთეზას ქართველების წარმოშობის შესახებ, რომლის თანახმადაც, მათი წინაპრები სამხრეთ კავკასიაში მესოპოტამიიდან მოსულან. რა თქმა უნდა, ამ ჰიპოთეზასაც აქვს არსებობის უფლება — ისევე, როგორც ბალტების, გერმანელებისა და სლავების ინდოეთიდან მოსვლის შესახებ ვარაუდს. მაგრამ ეს მართლაც ასეც თუ იყო, უკვე ძალზე დიდი დროა გასული და ამას არანაირი მნიშვნელობა აღარ ენიჭება. საინ-

ტერესოდ მიგვაჩნია ფრაზაც, რომელიც ბატონმა ჩოჩიევმა მოიტანა 1917 წელს დაბეჭდილი რომელიღაც გაზეთიდან: ახლო აღმოსავლეთიდან მოსულ ქართველებს ალანებმა გაუზიარეს კულტურა და შეასწავლეს სამხედრო საქმე. საინტერესოა სწორედ იმიტომ, რომ იმ შემთვევაშიც კი, თუ ქართველთა წინაპრები ისტორიამდელი მიგრანტები იყვნენ, იმ პერიოდში „ალანებზე" ლაპარაკი, მეტი რომ არ ვთქვათ, არაპროფესიულად მიგვაჩნია. წინაპრებიდან ჩრდილოეთ კავკასიაში იმ დროს სახლობდნენ არა ალანები, არამედ სკვითები და სარმატები. ეს ტომები მაშინ, ჩრდილოეთი კავკასიის გარდა, აკონტროლებდნენ ასევე თანამედროვე სამხრეთ რუსეთის მნიშვნელოვან ნაწილს და მთელ უკრაინას და სკვითებიც, მართალია, ჩასახლდნენ სამხრეთ კავკასიაში სხვა ხალხების წარმომადგენლებთან ერთად, მაგრამ მათ არასდროს არ გაუკონტროლებიათ რაიმე ტერიტორიები კავკასიის დიდი ქედის სამხრეთ ნაწილში. და საერთოდ, ხალხების გადასახლება მსოფლიოში გამუდმებით ხდებოდა, მაგრამ ტერიტორიაზე ამა თუ იმ ტომის წარმომადგენელთა ყოფნა როდი ნიშნავდა იმას, რომ ეს ტომები გაბატონებულიყვნენ აღნიშნულ მიწებზე. ასეა თუ ისე, ძველი ქართული სახელმწიფოები კოლხეთი და ივერია სამხრეთ კავკასიაში არსებობდნენ, რასაც ჯერ კიდევ რომაელი ისტორიკოსები ადასტურებდნენ, რომლებმაც საკმაოდ დაწვრილებით აღწერეს მათი საზღვრები და ისიც აღნიშნეს, რომ მეზობლად ბინადრობდნენ სხვა ქართველი ტომები, რომლებიც, არ შედიოდნენ ქართულ სახელმწიფოთა შემადგენლობაში. ძველ მემატიანეთაგან არავინ არ წერს, რომ არსებობდა რაიმე სკვითური სახელმწიფო წარმონაქმნი ამჟამინდელი „სამხრეთ ოსეთის" რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რომელიც იმ დროისთვის იყო ივერიის ნაწილი. შემდეგ ჩოჩიევი კვლავ მოძღვრავს მკითხველს, შეახსენებს რა ოსების როლს საქართველოს ისტორიაში—ადრეული შუასაუკუნეებიდან XVIII საუკუნის დამლევამდე. მოდით, ნუ ჩავულრმავდებით ჩოჩიევის მიერ მოყვანილი იმ ქართველი მხედართმთავრებისა და რიგითი მეომრების ბიოგრაფიებს, რომლთა გმირობის წყალობითაც საქართველო გახდა ზესახელმწიფო აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში XII საუკუნის პირველი მეოთხედიდან, აგრეთვე, რომელთა თავდადებამაც გადაარჩინა საქართველო უფრო მოგვიანებით, ამ ქვეყნის ისტორიის ტრაგიკულ მომენტებში, როცა საქართველოს სახელმწიფოებრიობა და თვით ქართველი ერის ფიზიკური არსებობა, როგორც იტყვიან, ბეწვზე ეკი-

და. საქართველოს ამა თუ იმ ეროვნული გმირის ეთნიკური წარმომავლობით სპეკულირება სიმდაბლეა, ხოლო ის, რომ სამასივე არაგველი ერთი ხელის დაკვრით ოსებად შერაცხეს, — კიდევ უფრო მეტი, სისულელეა. ალბათ, ქართველ გმირთა შორის მრავლად იყვნენ ოსური წარმომავლობის ადამიანები და ეს გასაკვირიც არ არის, რადგან, კავკასიის სამხრეთ ფერდობებზე ჩამოსახლებული ოსები დროთა განმავლობაში ქართული საზოგადოებრიობის ორგანული ნაწილი ხდებოდნენ.

მახსენდება პოლონეთის ამღორძინებლის, მარშალ პილსუდსკის ერთ-ერთი სიტყვა, რომელიც მან 1920 წელს წარმოთქვა. მარშალი იხსენებს პოლონელი ხალხის ბრძოლებს, რომლებშიც მონაწილეობდნენ გერმანული, ებრაული, უნგრული, უკრაინული, ლიტვური, თათრული და სხვა წარმოშობის ხალხები, და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ისინი ყველა იყვნენ შვილები პოლონეთის, ქვეყნისა, რომელიც მათ უნდა უმადლოდეს თავის არსებობას. განა არ შეიძლება იგივე ფრაზა მივაკუთვნოთ საქართველოს სხვადასხვა ერის შვილებს, მათ შორის, ოსებსაც, რომელთათვის საქართველო გახდა სამშობლო და რომლისთვისაც ისინი ხშირად სიცოცხლესაც კი სწირავდნენ? მაგრამ ბატონ ჩოჩიევის მიმართ შემწყნარებლობა უნდა გამოვიჩინოთ: ამ ადამიანის ბრალი ნამდვილად არ არის ის, რომ საბჭოურ პერიოდში კომკავშირული და პარტიული ფუნქციონერების მომზადების პროგრამებში არ შეჰქონდათ პილსუდსკის და საბჭოთა ხელისუფლების სხვა მტრების სიტყვები.

გვსურს ყურადღება გავამახვილოთ კიდევ ერთ ფაქტზე: ოსტორიიდან ჩანს, რომ თანამედროვე ოსების წინაპრები თავიანთ შვილებს გზავნიდნენ საქართველოში იმისთვის, რომ ერთგულად ემსახურათ, დაეცვათ და განემტკიცებინათ იგი. რატომ ხდება, რომ იმავე გმირების თანამედროვე შთამომავლები ასე გააფთრებით იბრძვიან იმავე საქართველოს დაშლისათვის?

ბატონი ჩოჩიევი კიდევ ერთ „ისტორიულ“ განცხადებას აკეთებს: „საქართველოსთვის ძნელბედობის ჟამს რუსეთთან შეერთება მოხდა ნებაყოფლობით, სსრ კავშირის შემადგენლობაში შესვლაც უბრალო ხალხის სურვილი იყო, თუმცა, დღევანდელი „პატრიოტები“ ამას „ანექსიას“ უწოდებენ. ვერ დაგეთანხმებით, პატივცემულო ბორის, იჭნებ, მაინც გაცნობოდით თქვენი სამშობლოს ისტორიის საფუძვლებს. არადა, ჩოჩიევს ეს რომ გაეკეთებინა, შეიტყობდა, რომ

რუსეთის იმპერიამ უხეშად დაარღვია გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები, როცა ჯერ ასაოხრებლად შეატოვა ხელში ირანს აღმოსავლეთი საქართველო, შემდეგ კი დაიპყრო დასუსტებული სამეფო. შეიტყობდა იმასაც, თუ რა გააფრთებულ წინააღმდეგობას უწევდნენ რუსეთის იმპერიას დასავლეთ საქართველოს პატარ-პატარა წარმონაქმნები. შეიტყობდა, რომ მოხდა არა ერთი სახალხო აჯანყება და ქართველების გადასახლება ციმბირში. და ბოლოს, იმასაც გაიგებდა, რომ საბჭოთა რუსეთი 1921 წელს დაესხა თავს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, თუმცა, სულ ცოტა ხნის წინ ამ ორ ქვეყანას შორის დადებული იყო საზავო ხელშეკრულება; გაიგებდა, რომ ქართველთა ჯარები და სახალხო მოლაშქრეები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ ყოველი მხრიდან შემოჭრილ წითელ ურდოებს და ქემალისტური თურქეთის ჯარებს. დიახ, სანამ ამას არ გაიგებს, ჩოჩიევს, ალბათ, ძალზე გაუჭირდება „ისტორიაში უწიგნურობის ლიკვიდაციის“ გაკვეთილების გამართვა.

და ბოლოს, ბატონი ჩოჩიევი უკვე საქართველოს უახლეს ისტორიაზე გადადის. იხსენებს რა, წარსულის ქართველ განმანათლებლებს, ჩოჩიევი წერს, რომ ისინი „კოშმარულ სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენდნენ, რომ მათი სამშობლო დამპყრობლურ ომებს განახორციელებდა უცხო მიწებზე და ეცდებოდა იქაური ხალხების თავისუფლების დათრგუნვას, საუკუნეობრივი შულლის გაღვივებას“. როცა ამას ვკითხულობთ, გაკვირვება გვეუფლება: ვის წინააღმდეგ აწარმოებს თანამედროვე საქართველო დამპყრობლურ ომს? ვისი თავისუფლების დათრგუნვა სურს? ნებისმიერ შემთხვევაში, ესეც, რა თქმა უნდა, პარალელურ სამყაროებში ხდება, რადგან 1989 წლიდან დაწყებული, საქართველო ჩათრეული იყო რამდენიმე ომში, მათ შორის, სამოქალაქოშიც, მაგრამ ყველა ეს დაპირისპირება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე ხდებოდა და არა მის ფარგლებს გარეთ.

ბატონი ჩოჩიევი წერს, რომ მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულის საქართველომ დაამკვიდრა ფაშისტური ლოზუნგი – „საქართველო ქართველებისთვის!“ და აუმხედრდა ისტორიულად ერთგულ ოსებს. ეს ლოზუნგი, რომელსაც ასე ხშირად ახსენებენ ხოლმე ანტიქართული ისტერიის დროს ზოგიერთი ქვეყნების გაზეთების ფურცლები და ტელევიზია რომ წალეკა, უსაფუძვლოა მივიჩნიოთ ოფიციალურად და განვაცხადოთ, თითქოს მას საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა იზიარებდეს. დიახ, ეს ლოზუნგი გამოთქვა ფანა-

ტიკოსების ან პროვოკატორების (რაც უფრო სარწმუნოა) მცირერიცხოვანმა ჯგუფმა, მსგავსად ლოზუნგისა „რუსეთი რუსებისთვის!“ სადღეისოდ სულ უფრო ხშირად რომ ისმის თანამედროვე რუსეთის ფედერაციაში, რომელთანაც მიერთებასაც ცდილობენ „სამხრეთ ოსეთის“ ბელადები ქართული ტერიტორიის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ნაწილთან ერთად. ამავე დროს, ჩოჩიევს ავიწყდება ის, რომ სწორედ მაშინდელი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელებმა (1921 წელს ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ იგი შეიქმნა გორის და დუშეთის მაზრების, აგრეთვე, რაჭის და შორაპნის მაზრების ტერიტორიებისგან) უღალატეს ისტორიულ ერთგულებას, უკანონოდ წამოჭრეს „ავტონომიის სტატუსი“, ამის შემდეგ კი გამოაცხადეს, რომ გადიოდნენ საქართველოს შემადგენლობიდან. ბუნებრივია, რომ ამ და მრავალი სხვა პროვოკაციის შემდეგ მოხდა სისხლისღვრა, რადგან საქართველო ცდილობდა შეენარჩუნებინა თავისი ტერიტორიული მთლიანობა, როგორც ამას გააკეთებდა ნებისმიერი სახელმწიფო ნებისმიერ დროს“.[1]

ძნელია რაიმე დაამატო პროფესორ ენდრიუ ანდერსენის მიერ გაკეთებულ ანალიზს 1774 წელს ვითომ ერთიანი ოსეთის რუსეთთან შეერთების შესახებ. ეს საკითხი, ვიდრე იგი პოლიტიკურ ელფერს შეიძენდა, არავის გაუხდია სადაოდ. ცნობილი რუსი მეცნიერების ნაშრომებსა და ავტორიტეტულ გამოცემებში ყველგან მითითებულია, რომ 1774 წელს არავითარი ერთიანი ოსეთი, უფრო მეტიც, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმონაქმნი, არ არსებობდა და ამ წელს რუსეთს შეუერთდა მხოლოდ ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები ოსების რამდენიმე თემი. რაც შეეხება საქართველოში მცხოვრებ ოსებს, 1801 წელს, როდესაც რუსეთმა უხეშად დაარღვია 1783 წელს რუსეთისა და საქართველოს შორის დადებული გეორგევსკის ტრაქტატის პირობები და შეიერთა საქართველო, ცხადია, ისინიც რუსეთის შემადგენლობაში აღმოჩნდნენ. ცნობილი რუსი მეცნიერი ს. ბრუკი წერს: „XIII საუკუნეში თათარ-მონღოლთა და XIV საუკუნის ბოლოს თემურლენგის ურდოების შემოსევების შედეგად შევიწროებული ოსები მთის ხეობებში დასახლდნენ და დანაწილებული იქნენ დიგორის, ალაგირის, ქურთათისა და თაგაურის საზოგადოებებად. ჩრდილო ოსეთი 1774 წელს ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს.

---

[1] „საქართველოს რესპუბლიკა“, 7 აპრილი, 2006 წ.

სამხრეთ ოსეთი – 1801 წელს".[1] ასეთივე აზრია გატარებული ერთ-ერთ სოლიდურ გამოცემაშიც: „1774 წელს ჩრდილო ოსეთი, ხოლო 1801 წელს სამხრეთი (საქართველოს შემადგენლობაში) ნებაყოფლობით შევიდნენ რუსეთის შემადგენლობაში".[2] ამ მოსაზრების ავტორი ოსი მეცნიერი ბ. კალოევი გახლავთ. სხვა ფუნდამენტურ გამოცემებშიც, რომელთა ავტორები რუსი და ოსი მეცნიერები არიან, ანალოგიური აზრია გამოთქმული. კერძოდ. ბ. კაბულოვი აღნიშნავს: „მონღოლ–თათართა (XIII საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს) და თემურ ლენგის (XIV საუკუნის ბოლოს) შემოსევებმა ოსები აიძულეს თავი შეეფარებინათ კავკასიონის ქედის მთის ხეობებში, საიდანაც მათ დაიწყეს დასახლება მთის სამხრეთ კალთებზე, თანდათანობით დაიკავეს საშუალომთიანეთისა და წინამთიანეთის ზონა, რომელიც აკრავს ქართლის ბარს... სამხრეთ ოსეთი შედიოდა ფეოდალური საქართველოს შემადგენლობაში და 1801 წელს საქართველოსთან ერთად ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთის იმპერიას".[3] ბ. კაბულოვის მოტანილი ციტატიდან ნათლად ჩანს, რომ მტრის მიერ შევიწროებულმა ოსებმა კავკასიონის ქედის მთის ხეობებში შეაფარეს თავი და აქედან შემდეგ თანდათანობით დაიწყეს დასახლება ქართლის მთიანეთში, რომელიც „აკრავს ქართლის ბარს". ამიტომ საუბარიც კი ზედმეტია აღმოსავლეთ საქართველოში და, კერძოდ, შიდა ქართლში სამხრეთ ოსეთის არსებობის შესახებ. ოსებს გამოყოფილად, ცალკე არასოდეს უცხოვრიათ და ისინი ყოველთვის ქართლის ფეოდალთა მიწებზე ცხოვრობდნენ ხიზნებად.

ზემოთ აღნიშნული საკითხები არც ოს და არც რუს მეცნიერებს საკამათოდ არასოდეს გაუხდიათ. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება კიდევ ცნობილი ოსი მეცნიერის გ,თოგოშვილის მოსაზრებაც მოვიყვანოთ: „1801 წ. ქართლ-კახეთი რუსეთს შეუერდა. ამ გარემოებამ ოსთა ცხოვრების ყველა მხარეს ღრმა კვალი დაამჩნია. ჩრდილო ოსეთი, დაწყებული 1774 წლიდან, მჭიდრო ურთიერთობაში შევიდა რუსეთთან, შეუერთდა მას, თუმცა, ეს საბოლოოდ მაშინვე არ გაფორმებულა და მხოლოდ XIX საუკუნის 30-იანი წლებისათვის დამთავრდა ეს პროცესი. სამხრეთ ოსები 1801 წლიდან რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდნენ, როგორც ქართლ-კახეთის სამე-

---

[1] С. Брук. Население мира. М., 1986, с. 170.
[2] Народы мира. М., 1988, с. 350.
[3] Демографический энциклопедический словарь. М., 1985, с. 545.

ფოს ორგანული ნაწილი".[1] შეერთების შემდეგ ოსები ჩრდილოეთ კავკასიის ველებზე სახლდებიან, სადაც საარსებო პირობები გაცილებით უკეთესია, ვიდრე კავკასიონის ქედის ღრმა ხეობებში. ეს რუსეთსაც აწყობდა, რადგან ამით იგი ანხორციელებდა კონტროლს რეგიონის ცენტრალურ ნაწილში. „ამ სივრცის შიგნით ფართოვდება რუსეთის იმპერიის მიმართ უფრო ლოიალურად განწყობილი ოსური საზოგადოებების დასახლება".[2]

ტერმინი „სამხრეთ ოსეთი" რუსეთის ცარიზმის მიერ გამიზნულად მკვიდრდება XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან და ამ პერიოდიდან გამოსულ ენციკლოპედიებსა თუ ლექსიკონებში ოსეთის განმარტების დროს ტერმინ „სამხრეთ ოსეთსაც" ხმარობენ, თუმცა იძულებულნი არიან მიუთითონ იმის შესახებაც, რომ ოსები გადმოსახლდნენ ჩრდილო კავკასიიდან და დასახლდნენ ჯერ ქართლის მთიანეთში, ხოლო შემდეგ თანდათანობით ქართლის ბარსა და მთელ საქართველოში, როგორც ეს, მაგალითად, ბ. კაბულოვის ციტატაშია აღნიშნული. მხოლოდ ამჟამად, როდესაც რუსი სეპარატისტული ძალების პოლიტიკური მიზნები ფარავს ისტორიულ სინამდვილეს, ისტორიულ ფაქტებს, ზეპირი განცხადებების ნაცვლად უკვე წიგნებშიც ცდილობენ ამ ნაყალბევის დამკვიდრებას. ისინი აღნიშნავენ: „როდესაც ოსეთი 1774 წელს შევიდა რუსეთის შემადგენლობაში, მეოთხედი საუკუნის შემდეგ, 1801 წელს, რუსეთს შეუერთდა საქართველოც. არ იყო არავითარი „სამაჩაბლო" და „შიდა ქართლი"... როდესაც მეზობელმა ქართველმა ფეოდალებმა განაცხადეს თავიანთი უფლება ამ ტერიტორიაზე... 1918 წელს საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა და სამხრეთ ოსეთი, რომელიც 1774 წლიდან რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა, აღმოჩნდა სახიფათო მდგომარეობაში. მაშინ, ისე როგორც 1989 წელს, სამხრეთ ოსეთმა გააკეთა არჩევანი რუსეთის სასარგებლოდ, ამით აიხსნება ბოლშევიკებზე ორიენტაცია — მხოლოდ ასე შეიძლებოდა ჩრდილო ოსეთთან გაერთიანება რუსეთის შემადგენლობაში... სამხრეთ ოსეთი რუსეთისათვის გადაიქცა ქართულ სეპარატიზმზე ზემოქმედების ბერკეტად".[3] მოკლედ, როგორც უნდათ

---

[1] გ. თოგოშვილი. ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა 1801-1921 წწ. თბ., 1969, გვ. 16.

[2] А.Цуциев. Атлас этнополитической истории Кавказа (1774-2004) М., 2006, с. 17.

[3] И.Кочиева, А.Маргиев. Грузия. Этнические чистки в отношении осетин. М., 2005, с. 8.

ისე ჭრიან და ისე კერავენ. ერთი რამ ცხადია: „სამხრეთ ოსეთი“ რუსეთისათვის გადაიქცა საქართველოზე ზემოქმედების ბერკეტად, ისე როგორც რუსეთმა სხვა ყოფილ რესპუბლიკებზე ზემოქმედების სხვადასხვა, ძირითადად მაინც ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, ბერკეტი გამონახა. რაც შეეხება ჩრდილოეთ ოსეთს, რუსეთმა ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში იქ შექმნა რამდენიმე გამაგრებული პუნქტი. „ამით ჩრდილოეთ ოსეთის ნაწილი გათავისუფლდა ყაბარდოელ მთავართა ბატონობისაგან და რეალურად აღმოჩნდა რუსეთის მფარველობაში, ოსებს გზა გაეხსნათ .მოზდოკისაკენ... ჩრდილოეთ ოსეთში ფეხის მოკიდებით რუსეთმა გათიშა ყაბარდოელი მთავრები და იქ მოქმედი თურქეთის აგენტები ჩეჩენ-დაღესტნელებისაგან. ეს კი გზას უხსნიდა რუსეთს ხსენებულ რაიონებში დამკვიდრებისაკენ“.[1]

ოსი სეპარატისტი მეცნიერები იმის მაგივრად, რომ ფუნდამენტური ნაშრომების (ასეთი ნაშრომები კი მრავალია), არსებული, საიმედო სტატისტიკური მონაცემების მიხედვით შეაფასონ ისტორიული მოვლენები და პროცესები, იქექებიან პროვუნციულ სახელმძღვანელოებსა და ნაწერებში, რათა მათთვის რაიმე სასურველი აზრი გამოადნონ.

„სამხრეთ ოსეთის“ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცეპრემიერი ბორის ჩოჩიევი დიდი აღტაცებით გვმოძღვრავს იმის შესახებ, რომ ქართველი ავტორის ს. რობაქიძის 1917 წელს ქუთაისში გამოცემულ საქართველოს გეოგრაფიის სახელმძღვანელოში ერთიან ოსეთზეა საუბარი. ს. რობაქიძე არის სასკოლო სახელმძღვანელოს „სამშობლოს აღწერა“ შემდგენელი და გამომცემელი. იგი მართლაც აღნიშნავს: „ოსეთი საქართველოს ნამდვილ ნაწილს არ შეადგენსო“.[2] ეს ციტატა მოაქვს ბ. ჩოჩიევს კონტექსტიდან ამოგლეჯილად. ს. რობაქიძე სახელმძღვანელოში იმ აზრს ატარებს, რომ ოსები გადმოსახლებულნი არიან ჩრდილოეთიდან. იგი წერს: „ხიზანი ოსები დღესაც ბლომად არიან საქართველოს მთიან ადგილებში“.[3]

ბუნებრივია, მთიან ადგილებში ოსები ხიზნებად არ არიან გადასული საქართველოს ბარის რაიონებიდან. საყოველთაოდ ცნობილია,

---

[1] გეორგიევსკის ტრაქტატი. ვ. მაჭარაძის გამოკვლევა და დოკუმენტები. თბ., 1983, გვ. 23.

[2] სამშობლოს აღწერა. შედგენილი და გამოცემული ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებლის ს.რობაქიძისგან. ქუთაისი, 1917, გვ. 81.

[3] იქვე გვ. 82.

რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოს მთიანეთში გადმოსახლებული ოსები, სადაც მიწის დიდი სიმცირე იყო, ყოველმხრივ ცდილობდნენ შემდეგში ბარში გადასახლებას. ს. რობაქიძე აღნიშნავს: „ისინი ესახლებოდნენ ქართველ მემამულეების მიწებზე განსაზღვრული პირობით და ამ გვარათ ხდებოდნენ საქართველოს მკვიდრ მცხოვრებლებათ. ეს განსაზღვრული პირობები იმდენად ხელსაყრელი იყო უმიწაწყლო ოსებისათვის, რომ სრულიად არ ერიდებოდნენ სხვის მამულზე დასახლებას“.[1] საერთოდ, კი სწორად მიუთითებს პროფესორი ენდრიუ ანდერსენი, რომ არ შეიძლება საუკუნის წინათ დაწერილი პროვინციული სასკოლო სახელმძღვანელოდან მოყვანილი ციტატის მიხედვით, რომელიც ამოგლეჯილია კონტექსტიდან, ვიმსჯელოთ ერთიანი ოსეთის შესახებ. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ ს. რობაქიძე არის სახელმძღვანელოს შემდგენელი და არა ავტორი, რომელიც სარგებლობს იმ პერიოდში რუსეთში გამოცემული ენციკლოპედიებით, სადაც, უმრავლეს შემთხვევაში, რუსეთის იმპერიის პოლიტიკური მიზნებიცაა გათვალისწინებული. რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა კარგად იცოდნენ, რომ ჩრდილოეთ ქართლში ოსებით დასახლებული ტერიტორია საქართველოს მიწა-წყალია, რასაც იმდროინდელი დოკუმენტებიც ცხადყოფენ. დოკუმენტებში ხშირად ნახმარია „ტერმინები: „საქართველოს ოსეთი“, „ჩრდილოეთ ქართლის ოსეთი“ და სხვ. მათ ისიც კარგად იცოდნენ, რომ აქ ხიზნად მოსული ოსების გარდა ცხოვრობდა მკვიდრი ქართველი მოსახლეობა, მაგრამ ქართველი ხალხის ინტერესები მათთვის არავითარ მნიშვნელობას არ წარმოადგენდა, ისინი რუსეთის იმპერიის მიზნებით ხელმძღვანელობდნენ და, ესეც რომ არ ყოფილიყო, მათთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა რა ერქმეოდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილს. ისინი ისედაც დაუკითხავად ახდენდნენ ქართული მიწების კოლონიზაციას. უფრო მეტიც. საქართველო რუსეთის ერთგული მოკავშირე იყო საუკუნეების განმავლობაში და 1783 წელს რუსეთის იმპერიისა და საქართველოს შორის დადებული მფარველობითი ხელშეკრულების მიუხედავად რუსეთმა საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა გაუუქმა, სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ქართულ ენას და სამართალი შეუცვალა. რაღა გასაკვირია, რომ საქართველოში ოსების ჩამოსახლების ისტორიულ რეა-

[1] ს. რობაქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 81.

ლობას რუსეთის უზარმაზარი იმპერია ანგარიშს არ უწევდა – საბოლოოდ ყველა ეს მიწა იმპერიის საკუთრებად მიაჩნდათ. ამიტომაც მათთვის როგორც საქართველოში, კერძოდ შიდა ქართლში, ისე ჩრდილოეთ კავკასიაში ოსების განსახლების არეალი ერთი მთლიანი ოსეთია. სწორედ ასეთი ინტერპრეტაცია ეძლეოდა ხშირად ოსეთის განმარტებასაც ენციკლოპედიებსა თუ საცნობარო ლიტერატურაში. ამიტომ არის, რომ, ერთის მხრივ, ს. რობაქიძე აღნიშნავს, ოსეთი საქართველოს ნამდვილი ნაწილი არ არისო, მაგრამ, მეორეს მხრივ, იცის რა, რომ არ არსებობს არავითარი სამხრეთ ოსეთი საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, მიუთითებს: ოსები გადმოსულები არიან ჩრდილოეთ კავკასიიდან და ხიზნებად არიან დაახლებული ქართველ მემამულეთა მიწებზეო.

ოსების მიერ ქართული მიწა-წყლის დასაკუთრებისა და ამ მიზნით ოსი სეპარატისტების მიერ წამოწყებული სისხლისღვრის გასამართლებლად, რუსეთის რეაქციული ძალების უშუალო დახმარებით, გამოინახა ისტორიის სახელდახელოდ გამყალბებლები, რომლებიც სცემენ სქელტანიან წიგნებს რუსეთში და „ამტკიცებენ“, რომ ოსები საქართველოში ჩვენს წელთაღრიცხვამდეც კი ცხოვრობდნენ ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში და ისინი დომინირებდნენ კიდეც მოსახლეობის საერთო რაოდენობაშიო. უფრო მეტიც, ისინი შიდა ქართლს სამხრეთ ოსეთად ნათლავენ. ამ დროს კი ოსებს, როგორც ზემოთ ვნახეთ, აღმოსავლეთ საქართველოში მე-17 საუკუნემდე არასოდეს უცხოვრიათ. მართალია, მე-12 საუკუნეში ოსები შემოყვნენ მონღოლებს, როგორც მოთარეშე რაზმები და გარკვეულ პერიოდში ქალაქი გორიც დაიკავეს, მაგრამ მალე ქართველებმა მონღოლების ბატონობისაგან თავის დაღწევის შემდეგ, ოსებიც განდევნეს საქართველოდან. სწორედ ოსების აღმოსავლეთ სასქართველოში უძველესი დროიდან ცხოვრების სასურველი იდეა გასდევს ლეიტმოტივად 1994 წელს სანკტ-პეტერბურგში და 2006 წელს მოსკოვში გამოცემულ წიგნებს „ოსეთი და ოსები“ და “სამხრეთ ოსეთი“. ეს წიგნები უფრო კურიოზების კრებულებს წარმოადგენენ, ვიდრე მეცნიერულ ნაშრომებს. მაგალითად, როგორ შეიძლება სერიოზულ ნაშრომად მივიჩნიოთ ოსი „მეცნიერის“ მარკ ბლიევის 500 გვერდიანი წიგნი „სამხრეთ ოსეთი“, როდესაც ავტორს მოაქვს სხვადასხვა წყაროდან ამოგლეჯილი ციტატები, მაგრამ არასოდეს არ უთითებს წყაროს, წიგნში ვერ შეხვდებით ვერც ერთ სქოლიოს. ამ დროს ავტორს პრეტენზია აქვს წიგნის მეცნიერულ დონეზე და მხოლოდ თავისი „ნამოღვაწარი“ მიაჩნია ერთადერთ ჭეშმარიტებად. ამას ავტორი აკეთებს შეგნებულად, რადგან მის მიერ ქართული წყაროებიდან ამოგლეჯილ ციტატებს, შემდეგ მოსდევს სულ სხვა აზრი, რასაც მ. ბლიევი უმალავს მკითხველს. ხშირად იგი მოტანილ ციტატებს უმოწყალოდ ამახინჯებს. ვერ ვხედავთ აზრს, ვუპასუხოთ მ. ბლიევის წიგნში უამრავ დილეტანტურ მოსაზრებას, მაგრამ მკითხველს რომ ნათელი წარმოდგენა შეექმნას უზნეობის ზეიმზე, მხოლოდ რამდენიმე მაგალითის მოტანით დავკმაყოფილდებით.

უძველესი ქართული წერილობითი წყაროებიდან ცნობილია, რომ ქართლის მეფემ ვახტანგ გორგასალმა (დაახლოებით V საუკუნის 40-იანი წლები – 502 წ.) ილაშქრა ოსეთში. მ. ბლიევი, რადაც არ უნდა დაუჯდეს ცდილობს დაამტკიცოს, რომ ეს ბრძოლა გაიმართა შიდა ქართლში, კერძოდ, არარსებულ სამხრეთ ოსეთში. წერილობით წყაროებს რომ თავი დავანებოთ, ამის შესახებ არც მითი და არც ლეგენდა არ არსებობს – ყველაფერი წარმოსახვით იწერება, ხდება ამ ბრძოლის შესახებ არსებული ერთადერთი ქართული წყაროების არნახული გაყალბება, ერთმანეთშია არეული ქართველი მემატიანეების ციტატები და სხვა. მ. ბლიევს მოყავს ციტატა XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ჯუანშერის V საუკუნის ამსახველი თხზულებიდან, რომელიც ეხება ვახტანგ გორგასალის მეფობას და აკეთებს აბსოლუტურად არასწორ, მხოლოდ მისთვის სასურველ დასკვნებს.

ამ ბრძოლის შესახებ მ. ბლიევი აღნიშნავს: „თვით ბრძოლა ვახტანგ გორგასალსა და ოს – ბაყათარს შორის გაიმართა სამხრეთ ოსეთში – იქ, სადაც „ერთი მთისაგან გამოვალს თავი ორთავე: ქართლისა არაგვისა და ოვსეთისა არაგვისა“.[1] მ. ბლიევი მკითხველს შეგნებულად უმალავს მოტანილი ციტატის წყაროს, რადგან იქ სულ სხვა რამ წერია და გამოგონილ სამხრეთ ოსეთზე, ან შიდა ქართლში ოსების ცხოვრებაზე სიტყვაც არ არის ნათქვამი. უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ მდინარე არაგვი აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს. საერთოდ არაგვის სისტემას ქმნის მდინარეები–მთიულეთის (თეთრი) არაგვი, გუდამაყრის (შავი) არაგვი, ხევსურეთის არაგვი და ფშავის არაგვი. როდესაც მ. ბლიევი აღნიშნავს, რომ ბრძოლა ქართველებსა და ოსებს შორის გაიმართა იქ, სადაც ერთი მთიდან იღებს სათავეს ქართლის არაგვი და ოსეთის არაგვიო, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ „ოვსეთის არაგვი“ შიდა ქართლში მოედინებოდეს და ბრძოლა თითქოს, მართლაც შუაგულ შიდა ქართლში მოხდა. ახლა ვნახოთ როგორ წერია ქართულ წყაროში. როდესაც „დაამტკიცეს ლაშქრობა ოვსეთისა. ვახტანგ მოუწოდა ყოველთა სპათა ქართველისათა; და შემოკრბეს ყოველნი და დაიბანაკეს მუხნარს და ხერკს, ამიერ და იმიერ არაგუსა“. შემდეგ „წარვიდა

[1] М.Блиев, Южная Осетия в коллизиях российско-грузинских отношений. М., 2006, с. 21.

ვახტანგ და დადგა თიანეთს. და მუნ მიერთნეს ყოველნი მეფენი კავკასიანნი. განვლო კარი დარიალანისა. შესვლად მისსა ოვსეთად იყო ვახტანგ წლისა თექუსმეტისა.

მაშინ მეფეთა ოვსეთისათა შეკრიბნეს სპანი და მოირთეს ძალი ხაზარეთით, და მოეგებნეს მდინარესა ზედა, რომელი განვლის დარიალანსა და ჩავლის ველსა ოვსეთისასა. და მასცა მდინარესა არაგვი ჰქვიან, რამეთუ ერთის მთისაგან გამოვალს თავი ორთავე: ქართლისა არაგვისა და ოვსეთისა არაგვისა"[1]

ყველაფერი რომ უფრო ნათელი გახდეს, საჭიროა აღინიშნოს, რომ დარიალის ხეობა, რომელიც მდინარე თერგის ხეობის მონაკვეთია საქართველოს უკიდურეს ჩრდილოეთში, კერძოდ სტეფანწმინდის რაიონში, ძველ ქართულ და უცხოურ წყაროებში იხსენიება როგორც დარიალანი, დარიელა, არაგვის კარი, იბერიის კარი, ზღვის კარი, კავკასიის კარი, სარმატიის კარი, ოვსთა კარი და სხვ. ხეობაზე უძველესი დროიდან გადიოდა ამიერ— და იმიერკავკასიის დამაკავშირებელი გზა, რომელიც იცავდა მთლიანად ამიერკავკასიას ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე მომთაბარე ტომთა თავდასხმებისაგან. გადმოცემის თანახმად ხეობაში პირველი სიმაგრე ძვ. წელთაღრიცხვის II საუკუნის პირველ ნახევარში ააშენა იბერიის მეფე მირიან I-მა. საჭირო ხდება კიდევ ერთი განმარტება. როგორც მოტანილი ციტატიდან ჩანს, ოსებმა ვახტანგ გორგასალთან საბრძოლველად შეკრიბეს ლაშქრი და ვახტანგს, „მოეგებნეს მდინარესა ზედა, რომელი განვლის დარიალანსა და ჩავლის ველსა ოვსეთისასა. და მასცა მდინარესა არაგვი ჰქვიან".ამრიგად, ქართლის არაგვი იმავე „მთისაგან გამოვალს", სადაც სათავე აქვს აგრეთვე მეორე მდინარეს, „რომელი განვლის დარიალანსა და ჩავლის ველსა ოვსეთისასა". ბუნებრივია, ამ „ოვსეთის არაგვს" არავითარი კავშირი არ აქვს იმ მდინარეებთან, რომლებიც არაგვის სახელითაა ცნობილი, არაგვის სისტემას ქმნიან და შიდა ქართლში მოედინებიან. „ოვსეთის არაგვი", როგორც ქართველი მემატიანის ცნობიდან აშკარად ჩანს, საქართველოში იღებს სათავეს და იმიერკავკასიაში, ოსეთის ველზე მიდინება. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ „ოვსეთის არაგვი" იგივე მდინარე თერგია. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „ამ მდინარეს ეხლა თერგი ჰქვი-

---

[1] ქართლის ცხოვრება. ტ. I, თბ., 1955, გვ. 150-151

ან, მაგრამ ძველად ქართველები მასაც არაგვს უწოდებდნენ... ძველს ქართულს მწერლობაში თერგსაც არაგვი ოვსეთისაი ეწოდებოდა".[1]

საბოლოოდ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ჯუანშერის მიხედვით, ვახტანგ გორგასალმა შეკრებილი ლაშქარი ჯერ დაბანაკა მუხნარს და ხერკს, შემდეგ დადგა თიანეთს, რომელიც შიდა ქართლის ჩრდილოეთში მდებარეობდა. აქ მას შეუერთდნენ „მეფენი კავკასიანნი". ამის შემდეგ ვახტანგმა განვლო დარიალანის კარი და გადავიდა ჩრდილოეთ კავკასიაში, „ველსა ოვსეთსასა". თავის მხრივ ოსებმა ჩრდილოეთ კავკასიაში, ოსეთში შეკრიბეს ლაშქარი, ხაზარებიც დაიხმარეს და ვახტანგს საბრძოლველად „მოეგებნეს" იმ მდინარესთან, რომელიც მიედინება დარიალის ხეობით იმიერკავკასიაში და გადის ოსეთის ველებზე. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „კავკასიის მთის ჩრდილოეთი" არის ოსთა ველი.[2]

ამრიგად, ჯუანშერის თხრობაში არსად არ ჩანს, რომ ბრძოლა ქართლში მოხდა. ისტორიკოსი გარკვევით წერს, რომ ვახტანგ გორგასალმა „განვლო კარი დარიალანისა" და ოსეთში შეეიდაო.

ახლა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველი მემატიანეებისათვის არსებობს მხოლოდ ერთი ოსეთი, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარეობს. ამას ნათლად მოწმობს საისტორიო თხზულებათა კრებული „ქართლის ცხოვრება", სადაც დაცულია უამრავი ცნობა იმის შესახებ, რომ ოსები ცხოვრობდნენ მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიაში, მათ ისტორიულ სამშობლოში — ოსეთში. მაგალითად, XI საუკუნის მოღვაწე, ისტორიკოსი ლეონტი მროველი წერს: მირიან მეფე „გარდავიდა ოვსეთს, მოტყუენა ოვსეთი და მიუწია ხაზარეთამდი, და გარდამოვლო გზა დვალეთისა და მოვიდა შინა".[3] „გარდამოვლო გზა დვალეთისა" ჩრდილო კავკასიიდან, ოსეთიდან მოსვლას ნიშნავს, ხოლო „გარდავიდა ოვსეთს" - ჩრდილო კავკასიაში გადასვლას. შიდა ქართლში რომ ოსებს ეცხოვრათ, მემატიანეს არ დაჭირდებოდა სიტყვების „გარდავიდასა" და „გარდამოვლოს" ხმარება. იგივე ავტორი აღნიშნავს: „იწყეს ოვსთა ძებნა სისხლისა მათისა სომეხთა ზედა, გარდამოვიდოდეს ქართლად და დაემეგობრნეს ქართველთა".[4] ამრიგად, ოსები გადმოვიდნენ ქართლში და ქართველებს დაუმეგობრდნენ

---

[1] ი. ჯავახიშვილი. თხზ. თორმეტ ტომად. ტ. II, თბ., 1983, გვ. 25-26, 45.
[2] ქართლის ცხოვრება. ტ. IV, თბ., 1973, გვ. 632.
[3] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 68.
[4] იქვე. გვ. 47.

სომხების წინააღმდეგ საბრძოლველად. ოსებს რომ ქართლში ეცხოვრათ, თუნდაც მცირე რაოდენობით, მაშინ ისინი, უპირველეს ყოვლისა, თვისტომებთან გამონახავდნენ საერთო ენას. ლეონტი მროველთან ასეთი ადგილები მრავლად გვხვდება: „გარდამოვიდეს ოვსნი. გზასა დვალეთისასა. ხოლო ვერ იგრძნა ამაზასპ გარდამოსლვა ოვსთა ვიდრე გარდამოვლამდე მთისა";[1] „ასფაგურ განუხუნის კარნი კავკასიანთანი და გამოიყვანნის ოვსნი, ლეკნი და ხაზარნი";[2] „განუხუნეს კარნი კავკასიანთანი, და გამიყვანნენ ოვსნი და ლეკნი, და წინააღუდგნენ სპარსთა"[3]

როგორც ზემოთ ითქვა, ანალოგიურ აზრს ანვითარებს ოსეთის მდებარეობისა და ოსების საცხოვრისის შესახებ ისტორიკოსი ჯუანშერიც. ამის თაობაზე ზემოთმოყვანილი ციტატის გარდა ჯუანშერს თხზულების სხვა ადგილასაც აქვს აღნიშნული. კერძოდ, ოსებმა, ისარგებლეს რა ვახტანგ მეფის მცირეწლოვანებით, გადმოლახეს კავკასიონის ქედი, ააოხრეს ქართლი, და გამარჯვებულნი დარუბანდის გავლით დაბრუნდნენ ოსეთში: „ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა ათისა, გრდამოვიდეს ოვსნი ურიცხუნი და მოტყუენეს ქართლი... განვლეს კარი დარუბანდისა... და შევიდეს ოვსეთს გამარჯუებულნი".[4] ქართველი მემატიანე ჟამთააღმწერელი, XIII საუკუნის პირველ მეოთხედში რუსუდან მეფის ხანის აღწერის დროს, აღნიშნავს. რუსუდანმა გააღო, „განუხუნა კარნი დარიალისანი და გარდმოიყვანა ოსნი, დურძუკნი... და წარავლინა... ბრძოლად ხვარაზმელთა", ხოლო XVIII საუკუნის მოღვაწე ვახუშტი ბატონიშვილი ქართველების თემურლენგთან ერთ-ერთი ბრძოლის შესახებ აღნიშნავს: „გიორგი მეფემან პირველვე გამოიყვანა დარიელიდამ ოვსნი დიდძალნი და კავკასნი. და დაჰხუდა თემურს შეკრებული სპითა თვისითა".[5] ამასთან, თემურ ლენგის ლაშქარმა განვლო „დარუბანდი, ლეკეთი და მივიდნენ ოვსეთს",[6] გასათვალისწინებელია ისიც, რომ უამრავი ანალოგიური ფაქტი გვხვდება არა მარტო ძველ ქართულ ისტორიკოსთა თხზულებებში, არამედ ქართულ ლიტერატურულ, აგიოგრაფიულ ნაწარმოე-

---

[1] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 55.
[2] იქვე. გვ. 59.
[3] იქვე. გვ. 136.
[4] იქვე. გვ. 145-146.
[5] ქართლის ცხოვრება, ტ. IV,გვ. 269.
[6] იქვე. გვ. 272.

ბებშიც. მაგალითად, იოვანე საბანისძის ნაწარმოებში „ჰაბოს წამება“, რომელიც დაწერილია VIII საუკუნის 80-90-იან წლებში, აღნიშნულია: ნერსე ერისთავმა „განვლო. კარი იგი ოვსეთისაი, რომელსა დარიალან ერქმის“.[1]

ქართველი მეფეები აქტიურად იყენებდნენ უცხო ძალას დამპყრობლების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამიტომ მათ ჩრდილოეთ კავკასიიდან დარიალის გზით ხშირად გადმოჰყავდათ ოსები, ლეკები და ხაზარები, რომლებიც შემდეგ ნადავლით დატვირთულები ბრუნდებოდნენ უკან. ამავე დროს, ქართველი მეფეები იმაზეც ზრუნავდენნ, რომ ჩრდილოეთიდან არ შემოსულიყვნენ მომთაბარე მარბიელი ტომები. ამ მიზნით ისინი ამაგრებდნენ დარიალის ხეობას, რათა მათი ბრძანების გარეშე ოსები, ყივჩაყები და ხაზარები ველარ გადმოსულიყვნენ. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ჯერ კიდევ მეფე მირვანმა (ძვ. წელთაღრიცხვის II საუკუნე) „შეაბა კარი და ქმნა სიმაგრე ხაზართა და ოვსთათვის, რათა უმისოდ ვერაღარა ვიდოდნენ“. მაშასადამე, ეს კარი განკუთვნილი იყო ოსებისა და ხაზარებისათვის გზის შესაკრავად“.[2] შემდეგში ვახტანგ გორგასალმა, როდესაც დაიმორჩილა ოსები და ყივჩაყები, როგორც ჯუანშერი აღნიშნავს, „შექმნა კარნი ოვსეთისანი, რომელთა ჩვენ დარიანისად უწოდთ. და აღაშენა მას ზედა გოდოლნი მაღალნი, და დაადგინნა მცველად მახლობელნი იგი მთეულნი. არა ხელეწიფების გამოსვლად დიდთა მათ ნათესავთა ოვსთა და ყივჩაყთა თვინიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა“.[3] ამრიგად „კარნი ოვსეთისანი“, რომელიც უძველეს ქართულ წერილობით წყაროებშია მოხსებული, იმას ნიშნავს, რომ ოსებს შიდა ქართლში შემოსასვლელი გზა გადაკეტილი ჰქონდათ.

ძველ ქართულ წყაროებში მინიშნებასაც კი ვერ შევხვდებით იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ოსებს მე-17 საუკუნემდე სადმე, თუნდაც მცირე რაოდენობით, ეცხოვრათ, მაშინ როდესაც სხვა ეროვნების შესახებ მრავალი ასეთი ცნობაა დაცული. ერთადერთი ცნობა ოსების საქართველოსი ჩამოსახლების შესახებ გვხვდება XI საუკუნის ქართველი ანონიმური ავტორის თხზულებაში „მატიანე ქართლისა”, რომელშიც გადმოცემულია VIII-XI საუკუნეე-

---

[1] ქართული პროზა, წიგნი I. თბ., 1981, გვ. 127.
[2] ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. XII, თბ., 1998, გვ. 464.
[3] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 156.

ბის საქართველოს ისტორია. ამ თხზულების მიხედვით არაბთა ლაშქარი ბუღა-თურქის მეთაურობით ორჯერ შემოესია საქართველოს (853-854 წლებში) თბილისის საამიროს დასამორჩილებლად და სამხრეთ კავკასიაში ხალიფის ძალაუფლების აღსადგენად. ბუღა თურქმა მეორედ შემოსევის დროს, 854 წელს საქართველოში, კერძოდ, ქვემო ქართლში ჩამოიყვანა ოსების ასი კომლი და დაასახლა ისინი დმანისში: „დარიალანით გამოიყვანნა ოვსნი ვითარ სახლი ასი, და დასხნა იგინი დმანისს".[1] შეიძლება ყოველგვარი დაეჭვების გარეშე ითქვას, რომ ოსთა ჩამოსახლებას საქართველოში სხვა დროსაც რომ ჰქონოდა ადგილი მცირე და მით უმეტეს დიდი რაოდენობით, ეს პროცესი აუცილებლად აისახებოდა უამრავ ძველ ქართულ და შემდგომი პერიოდის ისტორიულ და ლიტერატურულ წყაროებში. მაგრამ საქართველოში მათი ჩამოსახლებისა და ცხოვრების შესახებ მე-17 საუკუნემდე ქართული წერილობითი წყაროები მეტს არაფერს გვეუბნება. აღნიშნული ოსთა ასი კომლი კი, რა თქმა უნდა, მაშინვე გაითქვიფა დმანისის მოსახლეობაში.

ამრიგად, ძველ ქართულ წყაროებში არსად რჩება ადგილი იმის შესახებ, რაც უფლებას მოგვცემს აღვნიშნოთ, რომ ოსებს აღმოსავლეთ საქართველოში უცხოვრიათ, მით უმეტეს სრული უაზრობაა საუბარი ორად გაყოფილ ოსეთზე, რომლის ერთი ნაწილი თითქოს შიდა ქართლში მდებარეობდა სამხრეთ ოსეთის სახით, რის მტკიცებასაც ასე გულმოდგინედ ცდილობენ ოსი დილეტანტი მეცნერები. სამხრეთ ოსეთის ოლქის ხელოვნურად შექმნის დროს არსებობდა მხოლოდ ერთი ოსეთი, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარეობდა. ყოველივე აღნიშნულის გამო უაზრობაა მ. ბლიევთან კამათი. იგი საქართველოში მომხდარ ისტორიულ მოვლენებს განიხილავს ცალკე საქართველოსა და ცალე არარსებეული სამხრეთ ოსეთისათვის, თითქოს საქართველო და სამხრეთ ოსეთი თანაბარი დონის სუბიექტები იყვნენ. მაგალითად, მ. ბლიევი წერს, რომ 1830-იან წლებში პეტერბუგი მზად იყო განემტკიცებინა საქართელოსა და სამხრეთ ოსეთში ადმინისტრაციული გარდაქმნები, რომელიც დაიწყო გრაფმა პასკევიჩმა;[2] საქართველოში და სამხრეთ ოსეთში საგლეხო რეფორმის გატარების მთელი დოკუმენტაცია გაკეთდა უკლებლივ ქართველი თავადების ძალებით;[3] 1812 წელს კახეთში, აღმოსავლეთ და სამხრეთ

---

[1] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 256-257.
[2] М. Блиев. დასახ. ნაშრომი, გვ. 160.
[3] იქვე, გვ. 268.

ოსეთში მოხდა აჯანყება;[1] აღმოსავლეთ ოსეთის სამხრეთ ნაწილზე მდინარე არაგვის აუზში პრეტენზია ჰქონდათ აგრეთვე ქართველ თავადებს - ერისთავებს და სხვ. მ. ბლიევი ისეა დაბრმავებული ქართველი ხალხის სიძულვილით, რომ მეფის რუსეთს გამოუსწორებელ შეცდომად უთვლის თბილისის კავკასიის ცენტრად გამოცხადებას.[2] მისივე აზრით, 1803 წელს სამხრეთ ოსეთის მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 50 სოფელი) გადაეცათ მფლობელობაში ქართველ თავადებს—ერისთავებს, ხოლო სამხრეთ-ოსეთის ტერიტორიის დაბლობის მცირე ნაწილი მაჩაბლების ქართულ ფეოდალურ საგვარეულოს,[3] რომლებიც თურმე შეიარაღებული გზით ცდილობდნენ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის მიტაცებას,[4] მაშინ როდესაც XVII საუკუნიდან იწყება ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში გადმოსული ოსების სწორედ მაჩაბლებისა და ერისთავების კუთვნილ მიწებზე ხიზნებად დასხლება. ასეთი ზღაპრებითაა სავსე მ. ბლიევის, და არა მარტო მისი, წიგნი.

ჩვენ ასევე საჭიროდ ჩავთვალეთ თამარ მეფის მეორე ქმრის დავით სოსლანის შესახებ ოს ავტორთა მიერ აბსოლუტურად ცრუ, შეთხზული შეხედულების მკითხველისათვის გაცნობა. წიგნში „ოსეთი და ოსები“ არის ასეთი თავი: „სოსლან დავითი და ვეფხისტყაოსანი“, სადაც ავტორი „ამტკიცებს“, რომ „ვეფხისტყაოსანი” დაწერა დავით სოსლანმა, ხოლო მ. ბლიევის აზრით, ოსი დავით სოსლანის მეშვეობით საქართველოს მეფე თამარი გახდა ამიერკავკასიის დიდი ნაწილის მფლობელი, რომლის საბრძოლო მიღწევებმა მსოფლიო დიდება მოუტანა თამარ მეფეს. დავით სოსლანმა შექმნა ამიერკავკასიაში უძლიერესი ქართული სამეფო.[5] მ. ბლიევის მსჯელობა იმდენად მიამიტურია, რომ აღნიშნავს: ოსური ლიტერატურის კლასიკომა სეკა გადიევმა, „აღწერა რა დავით სოსლანის ცხოვრება, რომელმაც ფაქტობრივად თვით ოსების ჯარით შექმნა უძლიერესი სახელმწიფო, წუხს, რომ თავისი ტალანტი და მონდომება დავით სოსლანმა საქართველოს მისცა, აამაღლა იგი ოსეთზე, თუმცა შეეძლო თავისი ქვეყანა - ოსეთი, „დაეყენებინა“ თუ არა უფრო მაღლა, საქართველოსთან თანაბარ რანგში მაინც“.[6]

---

[1] М. Блиев. დასახ. ნაშრომი, გვ. 57.
[2] იქვე, გვ. 39.
[3] იქვე, გვ. 43.
[4] იქვე, გვ. 54.
[5] იქვე, გვ. 23-24.
[6] იქვე, გვ. 24.

რამდენადაც უხერხული არ უნდა იყოს ამ ზღაპრებზე პასუხის გაცემა, როგორც ჩანს, მაინც საჭიროა აღინიშნოს, რომ სანამ დავით სოსლანი თამარ მეფის ქმარი გახდებოდა, საქართველო უკვე იყო უძლიერესი სახელმწიფო მცირე აზიასა და მახლობელ აღმოსავლეთში. ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელმა 1121 წელს დიდგორთან დაამარცხა თურქ-სელჩუკთა მრავალრიცხოვანი კოალიციური არმია. ამ ბრძოლაში ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმეს და უძლეველობის სახელი დაიმკვიდრეს. ამის შემდეგ უკვე საქართველოს ძლევამოსილება დიდ შეშფოთებას იწვევდა მახლობელ აღმოსავლეთში. სწორედ დავით აღმაშენებლის დროს მნიშვნელოვნად ფართოვდება საქართველოს საზღვრები. მისი აქტიური საგარეო პოლიტიკის შედეგად თურქ-სელჩუკები სამხრეთ კავკასიიდან განიდევნა, შემოიერთეს განთავისუფლებული სომხეთისა და შირვანის მნიშვნელოვანი ნაწილი. ქართული მიწები ერთ სახელმწიფოში გაერთიანდა.

მემატიანე დავით სოსლანს ახასიათებს როგორც ზნეობრივი და რაინდული თვისებებით შემკულ ადამიანს, მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ „ლაშქრობდა დავით ბრძანებითა და გამორჩევითა თამარ“,[1] ე.ი. დავით სოსლანი თამარის რჩევითა და ბრძანებით ლაშქრობდაო.

ამჟამად მეცნიერებაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად დავით სოსლანი იყო ოსეთში დამკვიდრებული ქართული სამეფო გვარის ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი, რომელიც მომდინარეობს გიორგი I-ისა და ალანთა ტომის ასულის ალდე დედოფლის ვაჟის დემეტრესაგან. ქართველი მემატიანეების მიხედვით დავით სოსლანი მათი შთამომავალი იყო, რომელიც გაზარდა თამარ მეფის მამიდამ რუსუდანმა. ვახუშტის მიხედვით დემეტრეს „ანაკოფიას აფხაზეთს დაშთა ძე“, რომელმაც „იქორწინა ოვსთა მეფის ასულსა ზედა და ძე იგი მისი ოვსეთს მყოფი მამულით იწოდა მეფედ ოვსთა და ძის-ძე დიმიტრისა, და ამ დავითის მამა შერთეს რუსუდანს. ხოლო ქმარსა ამისსა სხუას ცოლთან ესუა ძე დავით, რომელი წარმოიყვანა ამან რუსუდან და აღზარდა ძედ თვისად“.[2] ამრიგად, რუსუდანის ქმარი ოყო დემეტრე ბაგრატიონის შთამომავალი, მაგრამ ვინაიდან „რუსუდან უშვილო იყო“[3], მან მოიყვანა აღსაზრდელად თავისი ქმრის „სხუას ცოლთან“ გაჩენილი შვილი დავითი. ბაგრატიონთა

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 55.
[2] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 176..
[3] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 46, 121

შთამომავლადაა მიჩნეული დავით სოსლანი ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანისა („თამარის ქმარი იყო დავით ოვსთ მეფე, ტომი ბაგრატიონთა“)[1] და ბასილი ეზოსმოძღვარის (დავით სოსლანი იყო „ჯუარადცა ბაგრატოანი“)[2] თხზულებებშიც. რაც მთავარია, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებს, დავით სოსლანის ბაგრატიონთა ჩამომავლობას მოწმობს კარსნის ხევში არსებული მცირე ეკლესია, სადაც „დახატული არიან და დაწერილნი ზედ დიმიტრი და ძე მისი დავით, ძე დავითისა ათონ, ძე ათონისა ჯადარონ, ძე ჯადარონისა სოსლან დავით, რომელი იყო ქმარი თამარისა. ვინაიდან ოვსეთს მკვიდრობდნენ: მუნებური გვარი ახსენა და არღარა დიმიტრით ბაგრატიონობა“.[3] სწორედ ბაგრატიონობის გამო განაცხადა თანხმობა თამარ მეფემ დავით სოსლანის ცოლობაზე: „რადგან ბაგრატიონობა სცნა, არღარა უარ-ჰყო თამარ, ვითარცა სხვანი ყოველნი“.[4]

ოსმა სეპარატისტებმა ყველაფერი იღონეს ოსების ეროვნული პატრიოტიზმის დეფომაციისათვის. ეროვნული ქედმაღლობისა და უპირატესობის შესახებ გაივსო ოსური პრესა. ლამის ყველა ქართული გვარი ოსურად მოიაზრეს; ქართული ფეოდალური საგვარეულოს ერისთავების წარმომადგენლები ოსებად გამოაცხადეს,[5] ხოლო ცნობილი ქართული გვარი წერეთელი ოსური წარმოშობის გვარად მიითვალეს, მაშინ როდესაც იგი სადაურობის აღმნიშვნელი ელ-სუფიქსით არის ნაწარმოები გორის რაიონის სოფელ წერეთიდან. ბევრი გამოჩენილი ქართველი მოღვაწეც ოსად მონათლეს. საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე გიორგი საakაძე (1570-1629) და თვით სტალინიც კი წარმოშობით ოსად მიიჩნიეს, ხოლო „ვეფხისტყაოსნის“ ავტორად ოსი გამოაცხადეს.[6] როდესაც რეაქციული და სეპარატისტული ძალები ჭეშმარიტების დათრგუნვას შეეცადნენ, უპირველეს ყოვლისა, დაიწყო უცერემონიოდ შეჭრა ქართულ კულტურაში მისი მითვისების მიზნით.

1994 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოცემულ წიგნში „ოსეთი და ოსები“ სიტყვასიტყვით ასე წერია: „მემკვიდრეობით მიიღო რა

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 369.
[2] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 121
[3] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 177
[4] იქვე.
[5] М. Блиев დასახ. ნაშრომი, გვ. 27.
[6] Осетия и Осетины. Санкт-Петербург, 1994, с. 104.

თავისი ალანი წინაპრებისაგან ცოდნისადმი მისწრაფება. დავით სოსლანმა, რომელიც ღვთის განგებით მოხვდა საქართველოში, გააგრძელა იქ თავისი ქვეყნის კულტურული ტრადიციები. ჭკუის სასწავლებლად მეფე დავითმა ორმოცი ახალგაზრდა ქართველი საბერძნეთში გააგზავნა. დავით სოსლანის კალამს ეკუთვნის საგმირო პოება „ვეფხისტყაოსანი", ავტოგრაფიული ხასიათის ნაწარმოები."[1] ფაქტი, რომ დავით სოსლანმა 40 ქართველი ახალგაზრდა საბერძნეთში სასწავლებლად გაგზავნა, მის ოსურ წარმომავლობაზე სრულებითაც არ მეტყველებს. მაგრამ მთავარი ის არის, რომ სომეხი ისტორიკოსის ვარდან დიდის ცნობის თანახმად (სხვა ასეთი ცნობა კი არ არსებობს —ა. თ.) 40 ბავშვი საბერძნეთში გააგზავნა არა დავით სოსლანმა, არამედ საქართველოს მეფემ დავით აღმაშენებელმა, რათა მათ „ესწავლათ ენები, შეესრულებინათ თარგმანები და ჩამოეტანათ, რაც მათ გააკეთეს. კიდევაც სამი ამათგანი შემდეგში ცნობილი გახდა თავისი მოღვაწეობით".[2]

ასეთ მარტივ მსჯელობებს მეცნიერებასთან საერთო არაფერი აქვს. წიგნში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა ამ სულელური მოსაზრებების მტკიცებას და ერთ-ერთ საბუთად მოაქვთ ის, რომ თურმე ქართველები არავითარ ინტრესს არ იჩენდნენ ირანული კულტურის მიმართ, რასაც ვერ ვიტყვით ოსებზეო. მთელი ეს ვაკხანალია თავდება „მშვიდობისმოყვარე ოსი ხალხის შეხსენებით აგრესორი მეზობლისადმი, რომ ვეფხის ტყავის ქვეშ ცემს ალანი რაინდის მგზნებარე გული. რომელმაც თავისი შუქით გააბრწყინა ოდესღაც ბნელით მოცული იბერია". [3] მართალია, სამშობლოს ბოლიც ტკბილია, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი. ეს საზღვარი კი წაიშალა. როგორც გაზეთ „სოვეტსკაია ოსეტიაში" (21 დეკემბერი, 1989 წ.) აღნიშნავდნენ: ოს ხალხს აქვს უძველესი, ვიდრე ბევრ სხვა მეზობელ ხალხს, ისტორია, ისინი სკვითების უშუალო შთამომავლები არიანო. ამავე დროს, როგორც ამ დარგის რუსი სპეციალისტი ა. სმირნოვი მიუთითებს, „სკვითებს არ დაუტოვებიათ პირდაპირი მემკვიდრეები, მაგრამ მათმა ხელოვნებამ ბევრი ხალხის კულტურაზე მოახდინა გავლენა. ერთ-ერთი მემკვიდრენი ჩვენცა ვართ. სკვითების როლის შეფასებისას არ უნდა დავივიწყოთ, რომ სწორედ მათ პირველად ჩა-

---

[1] Осетия и Осетины. Санкт-Петербург, 1994, с. 104.
[2] Вардан Великий, Всеобщая история Вардана Великого. М., 1861. с. 157.
[3] Осетия и Осетины. с. 105.

აყენეს ჩვენი ქვეყნის მრავალრიცხოვანი ხალხები ერთიანი განვითარების კალაპოტში. აზიარეს ისინი მაშინდელ მოწინავე კულტურას."[1] ამასთან, ნართები, რომელსაც ოსურ ეპოსად აცხადებენ, მონუმენტური კავკასიური ეპოსია, კავკასიის ხალხთა საზიარო ქმნილებაა.

მკითხველისათვის რომ კიდევ უფრო ნათელი გახდეს ოსი დილეტანტი მეცნიერების მიერ შეთხზული ზღაპრები და ამ ზღაპრების რეალური შემკვეთის ვინაობა, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ერთ მეტად მნიშვნელოვან ფაქტს— ზუსტად ანალოგიურ პრეტენზიებს უყენებენ ქართველ ხალხს და ასევე უმოწყალოდ ამახინჯებენ საქართველოს ისტორიას სომეხი ვაიმეცნიერები. ეს საკითხი განხილული გვაქვს ჩვენს წიგნში (სომხი ვაიმეცნიერების ანტიქართული ისტერია, თბ., 2005) სათანადო წყაროების მითითებით, ამიტომ აქ მხოლოდ ზოგადი მსჯელობით დავკმაყოფილდებით.

სომეხმა „მეცნიერებმა" (აკადემიკოსმა ს. აივაზიანმა და სხვ.) მსოფლიო პოეზიის მწვერვალი, შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი" არაქართულ ნაწარმოებად მონათლეს (Газ. „мецамор" Ереван, 2004. №6). ისინი აცხადებენ, რომ „ვეფხისტყაოსანი" სომეხმა დაწერა და შემდეგ თურმე ქართველებზე მზრუნველმა ისევ სომეხმა, ვიღაც „აშოტმა იზ რუსთავი" მაშინვე გამოართვა სომეხ ავტორს დედნის ერთადერთი ეგზემპლარი და პოემა თარგმნა ქართულად. მადლობის მაგივრად ქართველებს თურმე სომხური დედანი დაუწვავთ. შესანიშნავი ლოლიკაა. ასეთი ცნობა კი ბუნებაში არ არსებობს. მათივე აზრით, ყველა ქართველი თავადი სომხური წარმომავლობისაა, დიდი ქართველი მხედართმთავარი გიორგი სააკაძე სომეხია; დედით და მამით სომეხია სტალინი; ასევე სომეხია მე-19 საუკუნის დიდი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი. თუ ოსები აღნიშნავენ, რომ უძველესი დროიდან აღმოსავლეთ საქართველოში ოსები ცხოვრობდნენ და მათი „სამხრეთი საზღვარი გადიოდა უშუალოდ სომხეთის მეზობლად (გაზ. „Ир", №6, 1990), სომხები მთელ საქართველოს გვედავებიან — ყველაფერი ჩვენ აგიშენეთ, ჩვენ შევქმენით საქართველო და თბილისიც, სომხეთის საზღვარი უშუალოდ თბილისზე გადიოდაო. მოკლედ, დღისით, მზისით ითვისებენ, ჩვენს ტერიტორიას, ჩვენს კულტურას. ისე გამოდის, რომ „ქართველთა კუთვნილება საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ მდინარე მტკვარი ყოფილა" (თ. მიბჩუანი). იქნებ იმაზე მა-

[1] А. Смирнов, Скифы, М., 1966, с. 184.

ინც გვიპასუხონ მეზღაპრეებმა, თუ საქართველო როგორ არის ერთდროულად ოსისა და სომეხის საკუთრება, ან საკაძე, წერეთელი და სტალინი როგორ არიან ერთდროულად ოსებიც და სომხებიც, ან „ვეფხისტყაოსანი“ ერთდროულად როგორ დაწერა ოსმაც და სომეხმაც? იქნებ უმჯობესია ერთმანეთში გაარკვიონ თავიანთი ამბიციები და მოასვენონ ქართველები გაუთავებელი პრეტენზიებისაგან. მაგრამ არა—ისინი ორთავენი მართლები არიან, მტყუანია მხოლოდ ქართველი ხალხი—ასე ისურვეს მათი ზღაპრების რეალურმა ავტორმა—რუსეთის რექციულმა ძალებმა. ამიტომ გავს მათი სულელური მოთხოვნები ერთმანეთს წვიმის ორი წვეთივით, ამიტომ უშვებენ ქართველი ხალხის სიძულვილით გაჯღენთილ მათ დიდტანიან წიგნებს უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე პანტა-პუნტით მოსკოვში და შემდეგ დიდი ზარ-ზეიმით რუსეთის სატელევიზიო არხები ამ წიგნის პრეზენტაციას უჩვენებენ. მათ შესანიშნავად იყენებენ „ჯიუტი“ ქართველების მოსათოკად, რომ შემდეგ კავკასიაში გაბატონდნენ. კავკასიაში გაბატონება კი საქართველოს გარეშე შეუძლებელია. დედამიწის ყველაზე სახიფათო ადგილას არსებობისა (ი. გოგებაშვილი) და გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო ასეთი არის ქართველი ხალხის ხვედრი. ეს ყველაფერი ორასი წლის წინათაც შესანიშნავად იცოდნენ. ჯერ კიდევ გენერალი პასკევიჩი რუსეთის იმპერატორს ნიკოლოზ პირველს არწმუნებდა, რომ კავკასიის საბოლოო დაპყრობა შესაძლებელია მხოლოდ შავი ზღვის სანაპიროების დაპყრობისა და კოლონიზაციის შემდეგო. იმავე ხანებში, 1820-იან წლებში საფრანგეთის კონსული თბილისში ჟაკ ფრანსუა გამბა რუსეთის მთავრობას მოძღვრავდა: გაგრის ადგილმდებარეობა ძლიერ მოხერხებულია, რუსეთის მთავრობამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ ადგილს და მისი ხელში ჩაგდება უპირველესი მნიშვნელობის ამოცანად უნდა დაისახოს, თუკი კავკასიის ხალხების საბოლოო დაშოშმინება და დამოჩილება სურს. მაგრამ რუს მოხელეებს გამბას გარეშეც ყურადღება ჰქონდათ მიქცეული ამ ადგილისათვის. მეტად საინტერესოა ამ მხრივ „კავკასიის დიქტატორის“ ა. ერმოლოვის 1820 წელს დაწერილი წერილი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრისადმი. ამ პერიოდში რუსეთის გარნიზონში მაღალი მოკვდაობისა და დიპლომატიური სიძნელეების გამო რუსეთის საგარეო სამინისტროში დაისვა სოხუმისა და აფხაზეთის თურქებისათვის გადაცემის საკითხი. ა. ერმოლოვი საგარეო საქმეთა მინისტრს წერდა იმის შესახებ, რომ სოხუმი წარმოადგენდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რუ-

სეთის დასაყრდენს. იგი გადადგომით იმუქრებოდა, თუკი სოხუმს თურქებს დაუბრუნებდნენ. სამინისტრომ დააკმაყოფილა ა. ერმოლოვის მოთხოვნა. ასევე ევროპელი მოგზაურები ერთხმად მიუთითებენ სამხრეთ და საერთოდ კავკასიაში რუსეთის გაბატონებისათვის საქართველოს განსაკუთრებულ როლზე. მაგალითად, ინგლისელი რეზიდენტი ჩერქეზეთში ო. სპენსერი, რომელმაც 1836 წელს იმოგზაურა კავკასიაში, აღნიშნავს: საქართველო „თავისი ადგილმდებარეობით დანარჩენი ამიერკავკასიის სამფლობელოებისაკენ ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს". ო. სპენსერის აზრით, რუსეთს საქართველოში მყარად ფეხის მოკიდებამდე, „დღემდე ვერ გაუბედავს თავისი თვითმპყრობელური მანქანის ამუშავება და სახაზინო და საპასპორტო სისტემის დანერგვა. მათ ჯერჯერობით ვერ შეძლეს ამ ქვეყნისათვის მოხელეთა არმიის მისვა, რომ ძალმომრეობით გაეტარებინათ აქ თავისი დადგენილებები და კანონები. რუსეთი ხომ ჩვეულებრივ ასე იქცევა თავისი ბატონობის ქვეშ მყოფი ხალხების მიმართ".[1]

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ვიკითხოთ: საერთოდ ოდესმე არსებობდა თუ არა საქართველო ან სად მდებარეობდა ეს ქვეყანა? ქართველ ხალხს რაიმე კულტურული ფასეულობა შეუქმნია თუ არა? ალბათ, ბედის დაცინვაა— შთამომავლები იმ წინაპრებისა, რომლებიც თავის დროზე შეიხიზნა საქართველომ, ერთმანეთს ახლა საქართველოს ტერიტორიას ეცილებიან. მართლაც, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. პათოლოგიური აზრებით შეპყრობილი ცრუ მეცნიერები შემთხვევას ხელიდან არ უშვებენ ჩირქი მოსცხონ ქართველ ხალხს და მიკერძოებულად, ფაქტების არნახული დამახინჯებით წარმოაჩინონ საქართველოს ისტორიის საკითხები. განდიდების მანიით შეპყრობილნი მხოლოდ სათავისოდ განიხილავენ ყველა მოვლენას და უსაფუძვლო განცხადებებით შეცდომაში შეჰყავთ გაუცნობიერებელი საზოგადოებრიობა. თუ დიდ რუს კრიტიკოსს ბ. ბელინსკის დავესესხებით, „მრწამსი ძვირაფასი უნდა იყოს მხოლოდ იმიტომ, რომ ის ჭეშმარიტია და არა იმიტომ, რომ იგი ჩვენია".

მართალია, მათი ნააზრევი, მათ მიერ მოყვანილი ფაქტები სრულიად უსაფუძვლოა და მათი გაბათილებაც არ არის ძნელი, მაგრამ ისინი უკვე წარმოითქვა მილიონობით მკითხველის წინაშე და

---

[1] კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თბ., 1981, გვ. 141-142.

ახლა მათ ნაჯახითაც ველარ ამოძირკვავ. ასე რომ, „პიესა დადგმულია, სპექტაკლი გათამაშებულია“. პუბლიკაციებმა უკვე შეასრულეს თავიანთი როლი ქართველი ხალხის საზიანოდ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აუცილებელია იმ ფაქტს აღნიშვნაც, რომ XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოში მრავალი მისიონერი ჩამოვიდა და ევროპელი მოგზაური გვესტუმრა. მათ ნაშრომებში ვერსად შეხვდებით ცნობას იმის შესახებ, რომ შიდა ქართლი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიას წარმოადგენდეს. ისინი აღწერენ ოსების დამახასიათებელ თვისებებს, ცხოვრების პირობებს, მაგრამ შიდა ქართლს ყოველთვის უპირობოდ, ყოველგვარი დაეჭვების გარეშე ქართლ-კახეთის სამეფოს განუყოფელ ტერიტორიად მიიჩნევენ. მაგალითად, XVIII საუკუნის გერმანელი მოგზაური იაკობ რაინეგსი, რომელიც 1778-1781 წლებში ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის კარზე იმყოფებოდა, აღნიშნავს: „პროვინცია ქართლი. . . ჩრდილოეთით გადაჭიმულია კავკასიონის უმაღლეს მთებამდე“.[1] გერმანელი მოგზაური ი. გიულდენშტედტი კი, რომელმაც 1772 წელს იმოგზაურა საქართველოში, შიდა ქართლის ჩრდილოეთ საზღვრად კავკასიონის ქედს ასახელებს.[2]

სწორედ ზემოთ აღნიშნულის გამო, რუსულმა მმართველობამ აღმოსავლეთ საქართველოს ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის დროს ცხინვალის რეგიონი მიაკუთვნა თბილისის გუბერიის გორის მაზრას, სადაც ცხინვალი საპოლიციო უბანს წარმოადგენდა. „სამხრეთ ოსეთის“ ოლქი შეიქმნა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დამოუკიდებელ საქართველოს არსებობისათვის უნდოდათ შეექმნათ რეალური საფრთხე, რასაც მიაღწიეს კიდეც. ჯერ 1920 წლის 28 ოქტომტერს რუსეთის კომპარტის (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ განიხილა საკითხი “სამხრეთ ოსეთისათვის ავტონომიის მინიჭების თაობაზე“, ხოლო შემდეგ 1922 წლის 7 აპრილს უძველესი ქართული პროვინცია ცხინვალის რეგიონი საქართველოს ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტის საფუძველზე ყოველგვარი სამართლებრივი ნორმების უგულებელყოფით „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქად“ გამოცხადდა. აღსანიშნავია, რომ ოსებით კომპაქტურად დასახლებული შიდა ქართლის ჩრდილოეთი ტერიტორიის ნა-

---

[1] იაკობ რაინეგსი. მოგზაურობა საქართველოში. თბ., 2002, გვ. 145.

[2] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ.I, თბ., 1962, გვ. 185, 267.

წილი იმდენად პატარა იყო, რომ იქ ავტონომიურ წარმონაქმნის შესაქმნელად არავითარი საფუძველი არ არსებობდა. ამიტომ ავტონომიური ოლქის შექმნისათვის გამართლება რომ მოეძებნათ, მას მიუერთეს ქართველებით დასახლებული მიწა-წყალი, მათ შორის ქალაქი ცხინვალიც, რომელიც ოლქის დედაქალაქი გახდა. ამ მიწა-წყალზე კი ოსებს არასოდეს უცხოვრიათ. ამრიგად შიდა ქართლის ტერიტორიაზე „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი" ხელოვნურად იქნა შეკოწიწებული, მაშინ როდესაც შიდა ქართლი ისტორიულად ქართველ ტომთა კონსოლიდაციის ცენტრს წარმოადგენდა.

ეს საზღაური გაღებულ იქნა ოსი ბოლშევიკების სამსახურისათვის — მათ 1918-1920 წლებში სამჯერ მოაწყვეს აჯანყება საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დასამხობად. გარდა ამისა, „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" შექმნით რუსეთს ყოველთვის შეეძლო ზეწოლა მოეხდინა საქართველოზე, რამაც შესანიშნავად გაამართლა 70 წლის შემდეგაც კი — დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პირობებში. რუსეთის რეაქციული ძალების მხარდაჭერით ოსმა სეპარატისტებმა შუაგულ საქართველოში, შიდა ქართლში გამოაცხადეს სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი, სუვერენული რესპუბლიკა. ოსი ხალხისათვის საკმაოდ დიდმა, ჯანსაღმა ნაწილმა მაშინვე იგრძნო და დაგმო ერთი მუჭა ოსი სეპარატისტების ყოვლად უაზრო და დაუფიქრებელი მოქმედება. საქვეყნოდ ცნობილმა ოსმა მეცნიერმა ვ. აბაევმა, რომელიც მოსკოვში მოღვაწეობდა, გამოაქვეყნა სტატია „სამხრეთ ოსეთის ტრაგედია". მან ისტორიულ რეალობებზე დაყრდნობით ობიექტურად შეაფასა 1990-იანი წლების დასაწყისში „სამხრეთ ოსეთში" მიმდინარე პროცესები. იგი აღნიშნავდა: „მინდა ვიყო ობიექტური და გავარკვიო იყო თუ არა ოსების მხრიდან რაიმე ნაჩქარევი, მოუფიქრებელი მოქმედებები, რომლებმაც პროვოკაციის მოწყობით გაამწვავეს დაპირისპირება და უნდა გამოვტყდე, რომ ასეთი მოქმედებები იყო. მხედველობაში მაქვს სუვერენიტეტის გამოცხადება, რომელიც მთლიანად ორიენტირებული იყო მოსკოვზე პერსპექტივაში სამხრეთი და ჩრდილოეთი ოსეთის გაერთიანებით. სამხრეთელი ოსების მისწრაფება თავის ჩრდილოელი თვისტომებისაკენ ადამიანურად გასაგებია, მაგრამ გეოპოლიტიკური პლანით ეს შეცდომაა. კავკასიის მთავარი ქედი — ბუნებრივი საზღვარია საქართველოსა და ოსეთს შორის, და ამ საზღვრის მოშლის ყოველგვარი მცდელობა გამოიწვევს პერმანენტულ კონფლიქტურ მდგომარეობას ქართველებსა და ოსებს შორის. იმისათ-

ვის, რომ აღვადგინოთ ტრადიციული მეგობრული ურთიერთობები ორ ხალხს შორის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა დავამთავროთ საუბარი საქართველოდან სამხრეთ ოსეთის გამოყოფის შესახებ. საქართველოს არც ერთი ხელისუფლება ამას არასოდეს შეურიგდება და მართალიც იქნება". მისივე აზრით, სამხრეთ ოსეთი უნდა განთავისუფლდეს ბუტაფორული „სუვერენიტეტისაგან".[1]

ახლა ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტის შესახებაც უნდა ითქვას, რომლის შესახებ ყურადღება გაამახვილა სწავლულმა იურისტმა ი. ფუტკარაძემ.[2] მას შემდეგ, რაც შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და დაცხრა თავსმოხვეული ვნებათა ღელვა, ოსები უკვე მხოლოდ საქართველოს შემადგენლობაში ხედავენ თავიანთი თვითმყოფობის შენარჩუნების, თავიანთი ეროვნული ინტერესების დაცვის შესაძლებლობას. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ 1925 წლის იანვარში ჩრდილოეთ ოსეთის, ხოლო ამავე წლის 25 მარტს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოების ყრილობებმა მიიღეს დადგენილებები, რომლებშიც გამოთქმული იყო ჩრდილოეთ ოსეთისა და სამხრეთ ოსეთის გაერთიანების სურვილი — ისინი ერთიანდებოდნენ ერთ ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკად და შედიოდნენ საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში. სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა (ცაკი) ამის შესახებ წინასწარ თანხმობა განაცხადა. საქართველოს ცაკის სესიამ ღია კენჭისყრით ერთხმად დადებითად შეაფასა გაერთიანებული ოსეთის საქართველოს შემადგენლობაში შესვლა და გადაწყდა ეს საკითხი რსფსრ-ის ცაკს საბოლოო გადაწყვეტისათვის სსრ კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში დაეყენებინა. საკითხის განხილვამ გამოავლინა ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება — ოსებისა და ქართველების ტრადიციულად ურღვევი კავშირურთიერთობა. ძალუმად იჩინა თავი იმ არსებითმა ფაქტორმა, რომ, როგორც დოკუმენტებში ეწერა, „ოსეთის ხალხი ისტორიულად დაკავშირებული იყო საქართველოსთან", ნათლად წარმოჩნდა საქართველოში მცხოვრები ოსების სულისკვეთება. აღინიშნა, რომ სამხრეთ ოსეთი „გადაჭრით მოითხოვს ჩრდილოეთ ოსეთისაგან, რომ... გაერთიანება მოხდეს საქართველოს ფარგლებში". საქვეყნოთ ითქვა, რომ ჩრდილოეთ ოსეთი „სურვილს აცხადებს რსფსრ-ს ჩამოშორდეს და შევიდეს საქართველოს

---

[1] В. Абаев, Трагедия Южной Осетии: путь к согласию. «Независимая газета», от 22 января 1992, №13.

[2] ი. ფუტკარაძე, საღი ძაძილი, გაზ. „კომუნისტი", 13 დეკემბერი, 1989.

სსრ-ს შემადგენლობაში". ამ გადაწყვეტილებას ჩრდილოეთ ოსეთის ოლქის თავმჯდომარე ტაკოევი იმით ასაბუთებდა, რომ „ოსეთი არსებობდა და მხარდამხარ ვიდოდა საქართველოს რესპუბლიკასთან. ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის მშრომელნი, და მით უფრო პასუხისმგებელი მომუშავენი, თვალნათლივ ჰხედავენ, რომ საღი ნაციონალური პოლიტიკა ისე მიზანშეწონილად არსად არ ხორციელდება, როგორც საქართველოს რესპუბლიკაში". ამ გარემოებამ, ტაკოევის თქმით, ყველა დაარწმუნა, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის კულტურული და ეკონომიკური განვითარებისათვის საჭიროა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში შესვლა. ამას გარდა... სამხრეთ-ოსეთი კატეგორიულად აყენებს საკითხს, რომ იგი მხოლოდ მაშინ გაუერთიანდება ჩრდილოეთ ოსეთს, უკეთუ ეს უკანასკნელი თანახმა იქნება საქართველოს ს.სრ-ს შედგენილობაში შესვლაზე". მართლაც, კულტურული და ეკონომიკური განვითარებისათვის ჩვენთან მცხოვრებ ოსებს კარგი პირობები ჰქონდათ, ისინი იმასაც კარგად ამჩნევდნენ, რომ საქართველოში საღი ნაციონალური პოლიტიკა ტარდებოდა. კარგი იქნება, თუ წარსულის ამ მნიშვნელოვან დოკუმენტებს მოსკოვში სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის წარმომადგენელი დიმიტრი მედოევი გაეცნობა, რომელიც ათასგვარ ცილს სწამებს ქართველ ხალხს ოსებთან ურთიერთობაში.

ამჟამად როგორც იქნა, ე.წ. სამხრეთ ოსეთში მიმდინარე კონფლიქტს თავისი სახელი დაერქვა. საქართველოს პრეზიდენტმა გარკვევით აღნიშნა, რომ ახლა რეალურად საქართველოს შიდა კონფლიქტის ნაცვლად, საქართველოსა და რუსეთს შორის დაპირისპირებას აქვს ადგილი. ამ კონფლიქტში მეორე მხარე მოსკოვია და არა ცხინვალი. ეს ქართულ-რუსული ურთიერთობის საკითხია.

მ. ბლიევის წიგნთან დაკავშირებით საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ „ნაშრომში" მთლიანად გაყალბებულია ისტორიული მოვლენები, ფაქტები და იგი არავითარ მეცნიერულ ღირებულებას არ წარმოადგენს. ხუთასგვერდიან წიგნს, სადაც არც ერთი წყარო მითითებული არ არის, არ შეიძლება მეცნიერული პრეტენზია ჰქონდეს. ოსი სეპარატისტი და დილეტანტი მეცნიერები ქართულ წერილობით, და არა მარტო წერილობით, წყაროებს კითხულობენ უაღრესად ტენდენციურად, თავიანთი სამრეკლოდან. მათი მიზანი ერთია: ამტკიცონ აღმოსავლეთ საქართველოში და, კერძოდ, შიდა ქართლში უძველესი დროიდან არარსებული „სამხრეთ ოსეთის" არსებობა. ამით ცდილობენ გაამართლონ თავიანთი უსაფუძვლო მოთხოვნები საქარ-

თველოდან გამოყოფის შესახებ, დაადანაშაულონ ქართველი მხარე იმ სისხლისღვრაში, რაც მოჰყვა მათ მიერ საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის ხელყოფას.

უკანასკნელ ხანს მომრავლდა ბლიევისმაგვარი მეცნიერები, რომელთა წიგნებს სიამოვნებით ბეჭდავენ მოსკოვში. ეს წიგნები მიმართულია ქართველი ხალხისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ. მაგალითად, ი. კოჩიევასა და ა. მარგიევის წიგნში[1] აღწერილია ათი ისტორია, სადაც მოთხრობილია შესაბამისი კომენტარებით თუ ქართველები რა საშინლად ეპყრობოდნენ ოსებს, როგორ ხოცავდნენ მათ და ერეკებოდნენ საქართველოდან. მაგრამ სამაგიეროდ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ორივე მხრიდან სისხლისღვრა, მსხვერპლი და ლტოლვილები ოსური სეპარატიზმის შედეგია, რომელიც აწყობდა მესამე ძალას. არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ როგორ უმოწყალოდ აწამებდნენ, ხვრეტდნენ და თავიანთი საცხოვრებელი ადგილიდან, თავიანთი მიწა-წყლიდან აძევებდნენ ქართველებს. იმის შესახებაც დუმან ოსი ავტორები, რომ პირველად სწორედ ქართველების სისხლი დაიღვარა ოსების მიერ. წიგნის წინასიტყვაობის ავტორი, ვინმე ა. კასაევი აღნიშნავს: თუ წარმოვიდგენთ, რომ მომავალში ინტერნეტი არ იქნება, მაშინ ჩვენ თანამედროვეობას შთამომავლები შეისწავლიან ბიბლიოთეკებში არსებული წიგნების მიხედვით, როგორც ეს ხდებოდა ძველად. ეს წიგნი გვიჩვენებს დრამატულ მოვლენებს, რომლებიც დაკავშირებულია ევროპისა და აზიის ერთ-ერთი უძველესი ხალხის – ოსების თანამედროვე ისტორიასთან. ისე როგორც ოსმალეთის იმპერიაში გენოციდი განიცადა სომხებმა, გერმანიაში ებრაელებმა და ბოშებმა, კამბოჯაში კამბოჯიელებმა, საქართველოშიც ოსების გენოციდს ჰქონდა ადგილი, რაც საქართველოს არ დაუგმია.[2] თურმე ქვეყნის ტერიტორიის მთლიანობის, ისტორიული ტერიტორიების დაცვა ფაშისტობა ყოფილა. ასე ხომ მსოფლიოში ვერც ერთი ერი ვერ ასცდება ამ ეპითეტის მიკერებას. ასეთი კონფლიქტები და შეტაკებები ხომ საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდში ძირითადად რუსეთის რეაქციული ძალების ხელშეწყობით მრავალ რეგიონში მოხდა. საინტერესოა, როგორი ეპითეტით მონათლავენ ოსი დილეტანტი მეცნიერები ჩეჩნეთში მიმდინარე გაცილებით სისხლისმღვრელ ბრძო-

---

[1] И.Кочиева, А.маргиев. Грузия. Этнические чистки в отношении осетин. М., 2005.

[2] И.Кочиева, А.маргиев. დასახ. ნაშრომი. გვ. 3-5.

ლებს. მაგრამ ეს მათ არ აწუხებთ, მთავარია მტრის ხატი დახატონ ქართველების სახით. ა. კასაევი ისევ გვმოძღვრავს: „საინტერესოა, რომ ოსეთის რუსულ ნაწილში, სადაც საუკუნეებია ათასობით ეთნიკური ქართველი ცხოვრობს, არასოდეს და არავის თავში აზრად არ მოსვლია თავის სამშობლოდ საქართველო გამოეცხადებინა... თითოეულის სამშობლო იქაა, სადაც ის ცხოვრობს, იქ, სადაც ის დაიბადა, იქ, სადაც მათი წინაპრები ცხოვრობდნენ.[1] თუ მხედველობაში არ მივიღებთ წინასიტყვაობის ავტორის სეპარატისტულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ოსეთი ორი ნაწილისაგან შედგება, რომლის ერთი ნაწილი რუსეთში მდებარეობს, ხოლო მეორე – საქართველოში, მაშინ საკამათო არაფერი რჩება. ბუნებრივია, საქართველოში დაბადებული ოსისათვის სამშობლო საქართველოა, ისე როგორც რუსეთში დაბადებული ქართველისათვის – რუსეთი. მაგრამ თუ რუსეთში დაბადებული ქართველები იარაღით ხელში ეცდებიან ის ტერიტორია, სადაც ისინი ცხოვრობენ, საქართველოს შემოუერთონ, მაშინ საშინელ სისხლისღვრას ვერ აცდება იქ მცხოვრები ქართველები.

ი. კოჩიევასა და ა. მარგიევის წიგნიც სიყალბისა და ფაქტების დამახინჯების არნახულ ნიმუშს წარმოადგენს. მაგალითად, წიგნის გარეკანზე აღნიშნულია: „სსრ კავშირის მოსახლეობის 1989 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, საქართველოში 164 ათასი ოსი ცხოვრობდა. 2002 წლისათვის საქართველოში დარჩა 38 ათასი ოსი“. ავტორები მკითხველებს უმალავენ იმ ფაქტს, რომ 1989 წელს 164 ათასი ოსი ცხოვრობდა მთლიანად საქართველოში, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქის ტერიტორიის ჩათვლით, ხოლო 2002 წელს საქართველოში 38 ათასი ოსი ცხოვრობდა ამ ოლქის ტერიტორიის გარეშე. ეს მათ სჭირდებათ იმისათვის, რომ აჩვენონ, თითქოს საქართველოდან კონფლიქტის შედეგად ოსების დიდი უმრავლესობა წავიდა და ოსები საქართველოში 126 ათასი კაცით შემცირდა. საქართველოში მთლიანად 2002 წელს 82 ათასი ოსი ცხოვრობდა, მათ შორის, ყოველ სამხრეთ ოსეთის ოლქში – 46 ათასი.

ი. კოჩიევასა და ა. მარგიევს მოყავთ საქართველოში მცხოვრები ოსების ნაამბობი იმის შესახებ, თუ ეთნიკური კონფლიქტის დროს ოსები, რომლებიც ჩრდილო კავკასიაში გადასახლდნენ, როგორ მძიმე პირობებში ცხოვრობენ. ისინი ვერ ეგუებიან საერთო საცხოვრებლებს,

---

[1] И.Кочиева, А.маргиев. დასახ. ნაშრომი. გვ. 6

სადაც უსუფთაობა, სივიწროვე, ხმაური და სიღარიბეა.[1] სამაგიეროდ ოსი ვაიმეცნიერები არაფერს ამბობენ იმის შესახებ, თუ ქართველებს ყოფილი სამხრეთ ოსეთიდან, რომელიც მათი ისტორიული სახლვრებელი ადგილია და სადაც მათი წინაპრები ათასეული წლები ცხოვრობდნენ, როგორი სისასტიკით აძევებდნენ ოსები. რატომ ჰგონიათ მათ, რომ თავიანთ მიწაზე ლტოლვილი ქართველები შესანიშნავად ეგუებიან საერთო საცხოვრებლებს და იქ არც სივიწროვეა, არც ხმაური და არც სიღარიბე. ახლა იმის შესახებაც უნდა ითქვას, თუ როგორ კარგად ცხოვრობდნენ ოსები არა მარტო ყოფილ სამხრეთ ოსეთში, არამედ საქართველოს ყველა რაიონში. მეათე ისტორია, რომელიც ი. კოჩიევასა და ა. მარგიევს მოყავთ აღნიშნულ წიგნში, მათდა უნებურად, სწორედ ამის დადასტურებაა. საქართველოს ბორჯომის რაიონის სოფელ მიტარბში მცხოვრები ოსი ეროვნების ი. კუმარიტოვი აღწერს კონფლიქტის პერიოდში თავის ისტორიას: „მთელი ჩემი დიდი ოჯახი — მე, მეულლე, დედა, ორი ვაჟიშვილი, რძალი და შვილიშვილი — ვცხოვრობდით ერთად სოფელ მიტარბში. ყველანი საბჭოთა მეურნეობაში ვმუშაობდით. გვქონდა დიდი ხის სახლი, დიდი ბოსტანი. შევისყიდეთ საშენი მასალები, ვაპირებდით ახალი, უფრო დიდი სახლის აშენებას. მეურნეობა არც თუ მცირე გვქონდა: 11 სული მსხვილი რქოსანი პირუტყვი, 25 — წვრილი, მრავალი ფრინველი და ღორი, მანქანა - „Газ-69“. ვცხოვრობდით შეძლებულად, ბაზარში ვყიდდით ყველს, მატყლს, ყოველგვარ ფრინველს. როდესაც ცხოვრება ქართველებთან შეუძლებელი შეიქმნა... გავემგზავრეთ (ჩრდილოეთ ოსეთში — ა.თ.) ხელცარიელი, დოკუმენტებიც დავკარგე.

ჩამოსვლისთანავე მივხვდი, რომ დიდხანს ვერ გავატანდი. საქმე ისაა, რომ ვცხოვრობდით ტურბაზაში სხვის კუთხეში. ასთმით ვარ დაავადებული. ყველაზე შესაფერი ადგილი ჩემთვის დედამიწის ზურგზე მშობლიური სოფელი მიტარბია, სადაც თავს ვგრძნობდი ადამიანად. დავთანხმდი უკან დაბრუნებაზე, რომ ერთხელ კიდევ მესუნთქა მშობლიური ჰაერი. მართალი გითხრათ, ვფიქრობდი ბარემ დამებრუნებინა ჩემი სახლი და გამეფორმებინა იგი ქალიშვილზე, ხოლო შემდეგ უკან ჩამოვსულიყავი და აქ დამესრულებინა სიცოცხლის დარჩენილი დღეები.

ზენთა ბესტაევამ ჩვენ ჩაგვიყვანა მიტარბში, იქ კი გვიცდიდა მ. საკაშვილი ჟურნალისტებთან ერთად, წარმოთქვა სიტყვა. ჩემს

---

[1] И.Кочиева, А.маргиев. დასახელებული ნაშრომი, გვ. 139.

სახლში ცხოვრობდა ვიღაც ქართველი, იგი მაშინვე გამოასახლეს, ბინა მთლიანად გაარემონტეს. მაშინვე მივიღე პასპორტი და სააკაშვილის ბრძანებით, როგორც გამონაკლისი, საქართველოს მოქალაქეობა. დაგვპირდნენ 5 ათას დოლარსაც, მაგრამ მივიღე 4 ათასი ლარი (ორი ათასი დოლარი),ისიც ერთ თვეში. მოგვცეს ყველაზე აუცილებელი ავეჯი, ბროხა ხბოთი. სოფელში ამ დროს სინათლე იყო. ვცდილობდი სახლის გაყიდვასაც და დავრჩი იქ დეკემბრამდე. სინათლეს აღარ გვაძლევდნენ, ზამთარში გზა არ არის. ცხოვრება იქ ამჟამად ძალიან ძნელია. დავბრუნდი უკან, სახლში დავტოვე ნათესავი. გამოვიზამთრე აქ, ისევ დაიწყო ძალიან დიდი სიცხეები და ისევ მომინდა მიტარბში წასვლა, რათა დამესვენა ჩემი დაავადებისაგან და მომენახულებინა სახლი. მაგრამ პასპორტი დამეკარგა ჯერ კიდევ 1991 წელს. გასულ წელს საზღვარი გადავლახე ლტოლვილის მოწმობით, ახლა იგი ჩამომართვეს, ხოლო ქართული პასპორტით საზღვარზე უკვე არ გამიშვებენ"[1].

წერილიდან ნათლად ჩაის, რომ ი. კუმარიტოვი საქართველოს ბორჯომის რაიონის სოფელ მიტარბში ცხოვრობდა საკმაოდ შეძლებულად და თავს გრძნობდა ადამიანად. აუცილებლად უნდა ითქვას იმის შესახებ, რომ კომუნისტური მმართველობის პერიოდში ოჯახი, რომელსაც ყავდა 11 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 25-წვრილი, მრავალი ფრინველი და ღორი, ითვლებოდა უმდიდრეს ოჯახად. ი. კუმარიტოვს ჰქონდა საკმაოდ დიდი ხის სახლი (ბორჯომის რაიონის სოფლებში ტრადიციულად ხის სახლებია გავრცელებული), მაგრამ იგი კიდევ უფრო დიდი სახლის აშენებას აპირებდა და ამისათვის მას საშენი მასალებიც შეძენილი ჰქონდა. ეს არ იყო ერთეული შემთხვევა. საქართველოში ოსები, მართლაც, შეძლებულად, შეიძლება ითქვას, ყველაზე კარგად ცხოვრობდნენ და ამის დამამტკიცებელ შესაბამის ობიექტურ, ოფიციალური მონაცემებსაც ქვემოთ მოვიყვანთ. ამიტომ სრულიად ალოგიკურია დ. მედოევისა და სხვათა დაჩივლება იმის შესახებ, რომ ოსების სოციალური მდგომარეობა საქართველოში მძიმე იყო. სწორედ საქართველოში ი. კუმარიტოვი „თავს გრძნობდა ადამიანად". აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ ი. კუმარიტოვის წერილში, რომელიც ქართველების საწინააღმდეგოდ მოყავთ წიგნის ავტორებს, როგორც ჩანს, ეს ადგილი გაეპარათ, ასე

---

[1] И.Кочиева, А.Маргиев. დასახ. ნაშრომი, გვ. 137-138.

ვთქვათ, მაინც გაჟონა სიმართლემ. ამასთან, როდესაც ოსი სეპარატისტების მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის შედეგად ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობები გართულდა, ოსები თავისუფლად გადაადგილდებოდნენ საქართველოს რაიონებში, მაშინ როდესაც თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში ქართველის ჩასვლა შეუძლებელი იყო, ქართველს იქ ჩასვლა შეიძლება სიცოცხლის ფასად დაჯდომოდა. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებასაც, რომ საქართველოს პრეზიდენტის პროგრამა ითვალისწინებს ოსების უკან, საქართველოში დაბრუნებას და მათთვის შესაბამისი საცხოვრებელი პირობების შექმნას და არა მათ მიერ ფულის კეთებას, სახელმწიფოს მიერ მოწყობილი სახლკარის გაყიდვას. უკან დაბრუნებულ ი. კუმარიტოვს, როგორც თვითონვე აღნიშნავს, ყველაფერი გაუკეთეს სოფელ მიტარბში ცხოვრებისათვის. როდესაც ქვეყანა ეკონომიკურად მოძლიერდება, შეიძლება კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ოსებსაც და ქართველებსაც ყველაფერი აუნაზღაურონ, მანამდე კი, გარდამავალ პერიოდში, უშუქობა, უგზოობა და ძნელი ცხოვრება აწუხებს მთელ საქართველოს და არა მარტო ოსებით დასახლებულ სოფელ მიტარბის მოსახლეობას.

ი. კოჩიევა და ა. მარგიევი ასე ცალმხრივად, უაღრესად ტენდენციურად აშუქებენ მოვლენებსა და პროცესებს. ისინი დუმან იმის შესახებ, რომ დაპირისპირება და კონფლიქტი ქართველებსა და ოსებს შორის გამოიწვია რუსეთის იმპერიული ძალებისა და ოთხი უდანაშაულო ქართველის ჩაცხრილვამ და, რაც მთავარია, რუსების კარნახით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებამ, საქართველოს შუაგულში თვითნებურად სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის გამოცხადებამ, რაც ფაქტობრივად საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაშლის ტოლფასია. სწორედ ამიტომ იმპერიული ჟინით შეპყრობილი რუსეთის რეაქციული ძალები, ოსი სეპარატისტები ცდილობენ არაერთი ამაზრზენი დანაშაულის ჩადენის დაფარვას, სიმართლის მიჩქმალვას, თავიანთი მზაკვრული გეგმების შენიღბვას. ამავე დროს მათ მიერ ქართველი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯის, დატყვევების, აბუჩად აგდების, დახოცვის, არაადამიანური, შუასაუკუნეობრივი მეთოდებით წამების უამრავი შემზარავი დოკუმენტი არსებობს. ჯერ კიდევ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნამდე ქართული სოფლების მოსახლეობა იძულებულია ერთობლივი განცხადებით (1921 წლის 25 აპრილი) მიმართოს ხელისუფლებას: „... გვაქვს მეტად ცუდი მდგომარეობა. დღეს ჩვენ ვიმყოფებით ლტოლვილებად, ვართ ჩვენს სახლებს მოწყვეტილნი,

ოსების შემოსვლის შემდეგ, გვიხდება 3 თვე, რაც გამოქცეული ვართ სახლებიდან. ცხინვალში დაგვიწვეს 78-80 სახლი და რაც გადარჩა საქონელი და ავეჯი და ჭირნახული, წაიღეს ჯავის რაიონისაკენ... როცა ვთხოვეთ, ცემითა და მუქარით გვიპასუხებენ. ამ დროს ამოხოცეს 32 კაცი, მათში ზოგი დაწვეს და ზოგიც ცემით დახოცეს, გააუპატიურეს ქალები, დიდები, პატარები..."[1] ქართული სოფლების მოსახლეობა ქალაქ ცხინვალისა და ქართული სოფლების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის გადაცემის სასტიკი წინააღმდეგი იყო. ამ მიზნით ქართული სოფლების წარმომადგენელთა არა ერთი და ორი კრება გაიმართა. ერთ-ერთი ასეთი კრების ოქმში, რომელსაც 230 კაცი აწერდა ხელს, აღნიშნულია: „კრებამ ერთხმად, კატეგორიულად პროტესტი განაცხადა ქ. ცხინვალისა და მისი რაიონის სამხრეთ ოსეთზე გადაცემის შესახებ... ქ. ცხინვალი ითვლებოდა და ითვლება კიდეც, როგორც გეოგრაფიული მდებარეობით, აგრეთვე მის გარსშემორტყმული ქართველებით გასახლებული სოფლებით, ქართლის შუაგულ კუთხედ. ამისათვის განმეორებით დიდ იმედს გამოვთქვამთ, რომ მუსურ-გლეხური მთავრობა ანგარიშს გაუწევს ხალხის სამართლიან მოთხოვნილებას და მოსალოდნელ ჩვენ და ოსებს შორის ეროვნული შუღლის თავიდან ასაცილებლად ქ. ცხინვალს თავისი რაიონით დასტოვებს სს რესპუბლიკის მართვა-გამგეობის ფარგლებში".[2] ოსების თარეშის გამო ქართული სოფლების მცხოვრებნი აცხადებდნენ (1921 წლის 25 დეკემბერი): „როდემდის უნდა ვიყოთ მოქცეულნი ოსეთის ფარგლებში ...მთავრობამ მაშინ მოგვცეს ბინა და გადაგვასახლოს შორს სადმე, რომ ჩვენს თვალსა და ყურს ვერ მოსწვდებოდეს ჩვენი ადგილების კვნესა და არ ატირებდნენ ჩვენ ძველად განთქმულ გულგმირულ ჩვეულებას".[3] ასეთი საარქივო მასალების მოტანა უხვად შეიძლება როგორც ადრინდელი ისე თანამედროვე პერიოდის მოვლენების შესახებ, მაგრამ უმჯობესია ი.კოჩიევასა და ა.მარგიევის მიერ მსგავსი წიგნების წერის ნაცვლად, რომლებიც კიდევ უფრო აღვივებენ და ძაბავენ ურთიერთობებს ქართველებსა და ოსებს შორის, მათი მშვიდობიანი თანარსებობის გზებსა და საშუალებებზე ვიფიქროთ.

---

[1] ნ.ხუციშვილი. შიდა ქართლი – ისტორია და თანამედროეობა. საარქივო დოკუმენტები გვამცნობენ. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 20 იანვარი, 1990 წელი.

[2] ნ. ხუციშვილი. დასახ. ნაშრომი.

[3] ციტირებულია: ლ.თოიძე. ოსური ავტონომიის შექმნა საქართველოში. იხ. წიგნი: ოსთა საკითხი. გვ. 329.

ცალმხრივად დანახული მოვლენები და „დაჩაგრული“ ოსები

ფართომასშტაბიანი კონფლიქტი, სისხლისღვრა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ცხინვალის რეგიონში, შეუძლებელი იქნებოდა შესაბამისი იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული მანქანის ამუშავების გარეშე. ასეთ შემთხვევაში მასების დამუშავება ხდება მოტყუებისა და დემაგოგიის გზით. ოსი სეპარატისტები ამისათვის არაფერს იშურებდნენ. უპირველეს ყოვლისა, ისინი თამაშობდნენ ეროვნულ გრძნობებზე, რაც ისტორიაში საკმაოდ ცნობილი ხერხია. ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ერი, რომ ოსები განსაკუთრებული ხალხია, ატყუებდნენ თავიანთ თვისტომთ, რომ ქართველები ავიწროვებდნენ მათ ენასა და ლიტერატურას, თითქოს შიდა ქართლის ტერიტორიაზე ისტორიულად მხოლოდ ოსები ცხოვრობდნენ და ეს მათი მიწა-წყალია.

განსაკუთრებით ცოდავდა რუსული მედია, რომელიც, ობიექტური ინფორმაციის გავრცელების ნაცვლად, მოვლენებს უაღრესად ცალმხრივად აშუქებდა — ყველაფერში დამნაშვედ ქართულ მხარეს მიიჩნევდა. რუსეთის მხრიდან ინფორმაციულმა ომმა მნიშვნელოვნად გააღრმავა კონფლიქტი, სისხლისღვრა. მათი პრესა, განსაკუთრებით საომარი მოქმედებების დროს, აქცენტს დაღუპულთა ეროვნულ კუთვნილებაზე აკეთებდა, ფართოდ აშუქებდა ოსების მხრიდან დანაკარგებს, თითქოს ისინი გადამთიელები იყვნენ და არა საქართველოს მოქალაქენი, თითქოს ამ ძმათამკვლელ ომში ერთი ქართველიც არ დაღუპულიყოს. დაცვის ნაცვლად ფეხქვეშ ითელებოდა ზნეობრივი პრინციპები, სამართლიანობა, ადამიანური ღირსება. რუსული მედია, ვნებათა ღელვის რაც შეიძლება დაძაბვისათვის, ყველა ფაქტს, ყველა მოვლენას უმოწყალოდ ამახინჯებდა, თუმცა რეალური ვითარება მან შესანიშნავად იცოდა. მოკლედ, მის მიერ წარმოებული ინფორმაციული ომი, მხოლოდ სისხლისღვრას მოუხმობდა და საბოლოოდ იმპერიული მიზნების განხორციელებას ემსახურეობდა. მხოლოდ ამ პოზიციიდან შუქდებოდა „ცუდი ქართველებისა“ და „კარგი ოსების“ პრობლემები, რომლებიც სინამდვილეში მათ არანაირად არ აღელვებდათ.

1990 წელს საკავშირო ჟურნალ „დიალოგში“ (№13) დაიბეჭდა ვინმე ა. ტაუსოვას სტატია „წინადღე“, რომელიც სპეციალურად შეკვეთითაა დაწერილი. იგი აშკარად ცილისმწამებლური პიოზიციე-

ბიდან ადანაშაულებს ქართველ ხალხს აფხაზებთან, ოსებთან, სომხებთან და აზერბაიჯანელებთან ურთიერთობაში. სტატიამ ხელი შეუწყო ისედაც დაძაბული სიტუაციის გაუარესებას, მეტად არასწორი წარმოდგენა შეუქმნა მაშინდელ საკავშირო მკითხველსა და მსოფლიო საზოგადოებრიობას საქართველოში არსებულ რეალურ ვითარებაზე. მაგალითად, ა. ტაუსოვა სტატიაში აღნიშნავდა: „ოსები ორადაა გაყოფილი და ქმნიან ავტონომიურ წარმონაქმნებს ორ მოკავშირე რესპუბლიკაში — საქართველოსა და რუსეთში". საქმის არსში გაუთვითცნობიერებელ მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ თითქოს ვილაცამ შეგნებულად გაყო ერთიანი ოსეთის მიწა, თითქოს ეს ისეთივე მოვლენა იყო, როგორც ორად გაყოფილი გერმანია ან კორეა. მკითხველისათვის დაფარულია ჭეშმარიტება, მოვლენის მთავარი არსი, კერძოდ, ის, რომ ოსები არც ისე დიდი ხნის წინათ გადმოსახლდნენ თავიანთ საშობლოდან — ოსეთიდან საქართველოში და ამის შემდეგ ცხოვრობენ აქ ქართველებთან ერთად. ეს ზუსტად ისეთივე შემთხვევაა, სომხებმა რუსეთში, კერძოდ, როსტოვის ოლქში რომ მოითხოვონ ავტონომია, სადაც ისინი საკმაოდ მრავლად და დიდი ხანია ცხოვრობენ. ასეთ შემთხვევაში ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ 2002 წელს რუსეთში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით, სომხები რუსეთში დიდი რაოდენობით ცხოვრობენ. რუსეთში ამჟამად ცხოვრობს შვიდი ეროვნების ხალხი, მაშ შორის სომხები, რომელთა რაოდენობა ცალ-ცალკე აღებული ერთ მილიონს აჭარბებს. კერძოდ, თუ 1989 წელს რუსეთში სომხების რაოდენობა 532 ათას კაცს უდრიდა, 2002 წელს მათმა რაოდენობამ 1130 ათასი კაცი შეადგინა. ამავე წლებში რუსეთში 131 და 198 ათასი ქართველი ცხოვრობდა, აზერბაიჯანელი კი — 336 ათასი და 621 ათასი.[1] ამდენად, 13 წლის განმავლობაში რუსეთში სომხების რაოდენობა 598 ათასი კაცით, აზერბაიჯანლების — 285 ათასით, ქართველებისა კი მხოლოდ 67 ათასი კაცი გაიზარდა. მიუხედავად ამისა რუსეთის მაღალი რანგის პოლიტიკოსები და პარლამენტარები მხოლოდ იმას აღნიშნავენ, რომ რუსეთში თითქოს მილიონი ქართველი ცხოვრობდეს და იქ მუშაობის შედეგად 1,5 მილიარდ დოლარს უზგავნიდნენ თავიანთ ოჯახებს საქართველოში, რაც მტკნარი სიცრუეა. თვით რუსული წყაროს მიხედვით, რომელიც ეყრდნობა მსოფ-

[1] Основные итоги всероссийской переписи населения 2002 года. М., 2003. с. 13.

ლიო ბანკის, გაეროს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და საექსპერტო შეფასებებს, რუსეთის ფედერაციიდან შრომითი მიგრანტების (გასტარბაიტერების) მიერ წლის განმავლობაში საქართველოში გატანილი თანხა 210 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს, სომხეთში – 320 მილიონს, ხოლო აზერბაიჯანში – 1780 მილიონ დოლარს. ეს თანხები პროცენტობით შესაბამისი ქვეყნის მთლიან შიდა პროექტთან 3,6; 6,5 და 14,2 პროცენტს უდრის.[1]

სომხების რაოდენობა რუსეთში დღითიდღე იზრდება. რუსეთის მთელ რიგ რაიონებში ისინი რუსების შემდეგ რაოდენობით მეორე ადგილზე იმყოფებიან. მაგალითად, ყუბანში სომხები მოსახლეობის 10 პროცენტს შეადგენენ. ისინი ძირითადად კომპაქტურად დაფუძნდნენ შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქებში: სოჭში – მოსახლეობის 14,6 პროცენტი, ტუაფსეში – 12 პროცენტი, ადლერში – 38 პროცენტი, ანაპაში – 7,3 პროცენტი, აგრეთვე აფშერონის რაიონში – 8 პროცენტი, არმავირში - 7 პროცენტი. ადრე ყუბანში რუსების შემდეგ რაოდენობით უკრაინელები ყველას ჭარბობდნენ. სომხების სწრაფი რაოდენობრივი ზრდა მეტად დაძაბულ ვითარებას ქმნის რუსებსა და სომხებს შორის. როგორც მოსკოვის პოლიტიკური და სამხედრო ანალიზის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ს. მარკედონოვი აღნიშნავს, 1992 წელს ანაპაში, კრასნოდარში, არმავირში, ტიმაშევსკში აღინიშნა თავდასხმები სომხებზე. 1993 წლის ზაფხულში სომხებსა და რუსებს შორის დაფიქსირდა ინციდენტი ანაპაში, 1994 წლის მარტში კი – კრასნოდარის ყუბანისპირეთის რაიონში. 1997 წელს კორენოვსკში მასობრივ მიტინგზე ისმოდა მოთხოვნა სომხების გასახლების შესახებ. ამავე წელს რუსულ-სომხური ინციდენტი მოხდა სლავიანსკში. 1999-2001 წლებში სომხების მასობრივი დარბევები მოტივირებული იყო სომხური თემის წარმომადგენელთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებით.[2] ამ დროს რუსეთში ქართველების კანონიერი მოთხოვნები უკვირთ.

---

[1] В.Агламищьян, М. Хмелев. Рассия зарабативает на мигрантах. „финансовые Известия“ , 10 апреля, 2006 г.

[2] С. Маркедонов. Этнополитические процессы в Ростовской области Краснодарском и Ставропольком краях. Проблемы, противоречия, перспективы. Жур. „Центральная Азия и Кавказ“. №2, 2005.

ტენდენციურობისა და ფაქტების უაღრესად დამახინჯების ნიმუშს წარმოადგენს გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში“ (31 იანვარი 1991 წ.) გამოქვეყნებული საკუთარი კორესპონდენტის ფ. სიზის წერილი: „სახლი ფანჯრებით ომისაკენ“. იგი ცხინვალში იმყოფებოდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, ინტერნაციონალურ ოჯახში ცხოვრობდა. და აი, ამ ოჯახის ფანჯრიდან იგი მხოლოდ იმას ხედავს, თუ როგორ ხოცავენ ქართველები ოსებს, როგორ აწიოკებენ ქართველები ცხინვალის მოსახლეობას და როგორ ძარცვავენ ისევ ქართველები მაღაზიებს, არბევენ საზოგადოებრივ შენობებს და სხვა. მას არ უნდა მოვლენებს თავისი ნამდვილი სახელი უწოდოს. იგი სიტყვასაც არ ძრავს იქ დახოცილი ქართველი მოსახლეობისა და ქართველი მილიციელების შესახებ, მილიონობით მკითხველს შეგნებულად უმალავს უამრავი ქართველი ლტოლვილის ბედს, რომლებიც იძულებულნი გახდნენ სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით აყრილიყვნენ ძირძველი ქართული მიწა-წყლიდან.

კიდევ ერთ სტატიას უნდა შევეხოთ, რომელიც ჟურნალისტმა ს. ჩერიომინმა გამოაქვეყნა გაზეთ „ტრუდში“ (16 და 17 მაისი, 1991 წ.). ეს დაკვეთილი სტატია, რომლის სათაურია „დაპირისპირება“, ჩვენ მოგვაქვს როგორც ნიმუში იმისა, თუ როგორ ცხებდა განზრახ ჩირქს რუსული პრესა ქართველ ხალხს. თავის დროზე უამრავი ასეთი სტატია გამოქვეყნდა, თუმცა მათთვის საჭირო მომენტში არც ამჟამად გვაკლია ანალოგიური ხასიათის სტატიები. უფრო მეტიც, ამჟამად მნიშვნელოვნად გაიზარდა ცილისმწამებლური პუბლიკაციები საქართველოს წინააღმდეგ, როგორც აღვნიშნეთ, მარტო 2006 წლის განვლილ პერიოდში მოსკოვში რამდენიმე სქელტანიანი წიგნი გამოიცა, სადაც მთლიანად გაყალბებულია საქართველოს ისტორია, სამაგიეროდ შეთხზულია არარსებული სამხრეთ ოსეთის ისტორია უძველესი დროიდან. შეიძლება ითქვას, დღე არ გავა, რომ ინტერნეტში მოთავსებული არ იყოს ქართველი ხალხის დამამცირებელი და მისი ისტორიის ცალკეული პერიოდებისა და მოვლენების აბსოლუტურად არასწორი ინტერპრეტაციის შესახებ პუბლიკაცია. ამის სანიმუშო მაგალითად გამოდგება ვინმე დ. მედოევის სტატია: „სამხრეთ ოსეთი: უფლება თავისუფლებაზე“. ამ სტატიაში მოყვანილი ყველა სტატისტიკური მონაცემი ყალბია, ავტორის მიერ არის შეთხზული. მას წარმოდგენაც არა აქვს ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტატისტიკურ კრებულებზე და ჰგონია, შეუძლებელია მის მიერ მო-

გონილი მონაცემების გადამოწმება. იგი ასკვნის: 70 წლის განმავლობაში იმყოფებოდა რა საქართველოს სსრ შემადგენლობაში როგორც ავტონომიური ოლქი, სამხრეთ ოსეთმა განიცადა კოლონიური ჩაგვრა, რის გამოც მისი სოციალური განვითარების მაჩვენებლები და ოსი ხალხის ცხოვრების დონე უაღრესად დაბალი იყო. დ. მედოევი იმდენად უტიფარია, რომ იგი 1937–1939 წლების ცნობილ ამბებს, რომლებიც ისევე შეეხო ოსებს, როგორც ქართველებს, ადგილობრივ მოვლენად მიიჩნევს. ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ მოსკოვში გამოცემული სტატისტიკური კრებულების მონაცემების თანახმად, უმრავლესი და ძირითადი სოციალური მაჩვენებლის მიხედვით ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქი საბჭოთა კავშირში ყველა რესპუბლიკასა და ავტონომიურ ფორმირებებს შორის პირველ ადგილზე იმყოფებოდა. ახლა ისიც აღსანიშნავია, რომ ამ წლების განმავლობაში რუსულმა მასმედიამ ერთი სტატიაც ვერ გაიმეტა, სადაც ობიექტურად იქნებოდა გაშუქებული საქართველოში ეროვნებათაშორისი ურთიერთობები. ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენებ ს. ჩერიომინს წინასწარ აკვიატებული აზრები იმდენად აწუხებს, რომ მკითხველი ადვილად ხედავს აშკარად შენიღბულ ზრახვებს, ხელოვნურად შეთითხნილ ვერსიებსა და ფაქტებს. როგორც მოსალოდნელი იყო, იგი უაზრობისა და ულოგიკობის ტყეობაში აღმოჩნდა. ამდენად, ს. ჩერიომინსა და გაზეთ „ტრუდის“ რედაქციასაც მონდომებამ უქმად ჩაუარა, რადგან „დათხუპნული, დახატული არაა“. ავტორს ისე მოუვიდა, როგორც ერთ დაღესტნელს, რომელმაც შეყვარებული ნაბადში გაახვია და ისე მოიტაცა, მაგრამ ნაბადი რომ გახსნა, თავისი შეყვარებულის უკბილო ბებია შერჩა ხელში.

ს. ჩერიომინი ცინიკურად შენიშნავს, რომ ქართველი მეცნიერები იქექებიან არქივებში წინაპრების ვინაობის დასადგენად, მაგრამ მათ ამობრავებთ არა მეცნიერული ინტერესები, არამედ იმის სურვილი, დაამტკიცონ, რომ ქართულ მიწაზე ოდითგან მცხოვრები ხალხები აქ „სტუმრები“, „უცხოელები“ არიან. აქვე ს. ჩერიომინი ისევ აგრძელებს ქილიკს: თავისთავად „ბინადრობის ცენზის“ შესახებ კამათი და ლაპარაკი სქოლასტიკური ოინბაზობაა. მას დიდ ცოდვად მიიჩნია ქართველი მეცნიერების მიერ წინაპრების ვინაობის დადგენა, მაგრამ როდესაც თვითონ, მართლაც, აბსურდულ სტატიებს აქვეყნებდნენ თავიანთი წინაპრებისა და მათი ვინაობის შესახებ, არავის ეყო მათგან მეცნიერული სინდისი ეთქვა სიმართლე. აი რას წერდა, მაგა-

ლითად, ჟურნალი „ ტეხნიკა მოლოდიოჟი“ (№8, 1977 წ.) სამი ათეული წლის წინათ: „ჩვენს წელთაღრიცხვამდე II ათწლეულის ბოლოს და I ათასწლეულის დასაწყისში კიმერიულ-სლავიანური რაზმები თრაკიისა და ბოსფორის გავლით იჭრებოდნენ მცირე აზიაში, ხოლო სამხრეთ რუსეთიდან დარიალის ხეობით ამიერკავკასიაში შედიოდნენ მალე ურარტუს სათავეში მოექცა მეფე რუსა I (მე-8 საუკუნე ჩვ. წელთაღრიცხვამდე). კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთით თბილი წყაროების ახლოს დაარსდა საყრდენი პუნქტი ტეპლიცე, შემდგომში ტიფლისი (ამჟამად თბილისი). შემდეგ სლავებმა აღმართეს სამეგრელოში ციტადელი, რომელმაც მიიღო გორდას სახელწოდება („გოროდ“-იდან, „გრად“-იდან)“. ამრიგად, გამოდის, რომ თბილისი და გორდა სლავებს დაუარსებიათ. კომენტარები აქ, მართლაც, ზედმეტია. განა თბილისი ქართულად თბილს არ ნიშნავს? მათ იქნებ მოკლე, უვადო ხმლის ქართული სახელწოდების „გორდას“ ან კახეთის სამეფოს ძველი დედაქალაქის „გრემის“ ეტიმოლოგიაც გაარკვიონ. ეს უკანასკნელი, თუ მათ მსჯელობას მივყვებით, არ არის გამორიცხული, რომ რუსული სიტყვა „გრემეტ“-იდან იყოს წარმოშობილი.

ახლა გავეცნოთ ს. ჩერიომინის მიერ მოტანილ მთლიანად არაფრის მთქმელ მონაცემებს, რომლებიც, მისი აზრით, თითქოს გვიჩვენებენ თუ როგორ ცუდად ცხოვრობენ და იჩაგრებიან ოსები საქართველოში. არავინ არ არის ისეთი გულუბრყვილო, რომ იფიქროს ს. ჩერიომინს, მართლაც, გული შესტკიოდეს ოს ხალხზე, მას მხოლოდ იმპერიული ინტერესები ამოძრავებს, იგი ცდილობს ასეთი პუბლიკაციებით დაუბნელოს ოს ხალხს გონება, მოწამლოს მათი ცნობიერება, დააყენოს ისინი აგრესიის გზაზე და დაუპირისპიროს ქართველ ხალხს. მაგალითად, ს. ჩერიომინი ერთმანეთს ადარებს რესპუბლიკაში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ოლქში მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიურ ხელფასსა და კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებას და აკეთებს აშკარად არასწორ დასკვნებს — სამხრეთ ოსეთის ოლქში ოსების ინტერესები ილახება, რადგან საშუალოთვიური ხელფასი 29,2 მანეთით, ხოლო კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება 13 მანეთით ნაკლებია საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელთან შედარებითო. მაშინ საინტერესოა როგორ ახსნის ს. ჩერიომინი იმ უტყუარ ფაქტს, რომ 1989 წელს საქართველოს რესპუბლიკაში მუშა-მოსამსახურეთა საშუალოთვიური ხელფასი 197,7 მანეთს შეადგენდა,

ყოფილ საბჭოთა კავშირში - 240,4 მანეთს (42,7 მანეთით მეტს), ხოლო ესტონეთში – 270,1 მანეთს, ან კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება რატომ უდრიდა შესაბამისად 169,9; 200,8 და 317,6 მანეთს? ეს ყველაფერი იმ უბრალო მიზეზით აიხსნება, რომ საშუალოთვიური ხელფასის დონეს მნიშვნელოვნად განაპირობებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის თავისებურებანი. კერძოდ, მრეწველობის პროდუქციის საერთო მოცულობის 60 პროცენტზე მეტი საქართველოში მსუბუქ და კვების მრეწველობაზე მოდის, მაშინ როცა ყოფილ საბჭოთა კავშირში ანალოგიური მაჩვენებელი 30 პროცენტს ოდნავ აღემატებოდა. ამ დარგში კი სატარიფო განაკვეთები და შესაბამისად მომუშავეთა საშუალოთვიური ხელფასი სხვა დარგებთან შედარებით ნაკლებია, რამაც, ბუნებრივია, განაპირობა რესპუბლიკის მთელ სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა საშუალოთვიური ხელფასის დაბალი დონე. ანალოგიურ ვითარებასთან გვქონდა საქმე ყოფილ სამხრეთ ოსეთშიც, რასაც ისიც ემატება, რომ აქ მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები მნიშვნელოვნად ვერ სრულდებოდა, რაც აბრკოლებდა საშუალოთვიური ხელფასის გადიდებას.

ამჟამად ზუსტად ანალოგიურ პრეტენზიებს აყენებს დ. მედოევიც. მისი აზრით, 1980-იანი წლების ბოლოს სახალხო მეურნეობაში მუშა-მოსამსახურეთა საშუალოთვიურმა ხელფასმა სამხრეთ ოსეთში ძლივს მიაღწია 180 მანეთს, მაშინ, როდესაც ყოფილ საბჭოთა კავშირში და საქართველოს სსრ-ში მან 250 მანეთს გადააჭარბაო. ასეთი მონაცემები არ არსებობს და იგი დ. მედოევის ფანტაზიის ნაყოფია. 1989 წლის მონაცემები ჩვენ უკვე მოვიტანეთ, ამიტომ ახლა, სურათი რომ უფრო ნათელი გახდეს, 1988 წლის მონაცემებსაც გავეცნოთ. მუშა- მოსამსახურეთა საშუალოთვიური ხელფასი ამ წელს ყოფილ სამხრეთ ოსეთში არა 180 მანეთს, არამედ გაცილებით ნაკლებს – 148,1 მანეთს უდრიდა, საქართველოში – 186,9, ხოლო ყოფილ საბჭოთა კავშირში – 219,8 მანეთს.[1] ხელფასებს შორის განსხვავება ზემოთ აღნიშნული მიზეზებითაა გამოწვეული, მაგრამ მთავარი აქ ის არის, რომ დ. მედოევი მონაცემებს თავისი შეხედულების მიხედვით როგორც უნდა ისე თხზავს.

---

[1] Статистические материалы об экономическом и социальном развтии союзных и автономных республик, автономных областей и округов. М., 1989, с. 31-32.

მოსახლეობის შემოსავლები მარტოოდენ ხელფასზე როდია დამოკიდებული, მართალია, ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში საშუალოთვიური ხელფასი შედარებით დაბალი იყო, მაგრამ სამაგიეროდ მოსახლეობის ერთ სულზე ანაბრის საშუალო სიდიდე ოლქში გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე ყოფილ საბჭოთა კავშირსა და მოკავშირე რესპუბლიკებში. მაგალითად, ეს მაჩვენებელი საბჭოთა კავშირში 1035 მანეთს, რუსეთში 1147, საქართველოში 1160, ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – 1289, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 1534 მანეთს უდრიდა.[1]

რადგან ს. ჩერიომინს წინასწარ აკვიატებული აზრები აწუხებს, იმასაც გვდებს ბრალად, რომ მოსახლეობის ერთ სულზე საქონელბრუნვა ანუ საქონლის შესაძენად გაწეული ფულადი დანახარჯები სამხრეთ ოსეთში უფრო დაბალია, ვიდრე საშუალოდ რესპუბლიკაში. არადა, ასეთი მოვლენა სავსებით კანონზომიერია. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ სოფლის მცხოვრებთა ხვედრითი წილი ყოფილ სამხრეთ ოსეთში უფროა მაღალი იყო, ვიდრე შესაბამისი რესპუბლიკური მაჩვენებელი. ამასთან, სოფლის მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი ნაკლებია, რადგან სოფლებში მაღალია ნატურალური მოხმარების დონე, რაც ძირითადად პროდუქციის წარმოებაში პირადი დამხმარე მეურნეობის დიდი ხვედრითი წილით იყო განპირობებული. ქალაქად და განსაკუთრებით თბილისში, სადაც რესპუბლიკის მოსახლეობის ყოველი მეოთხე კაცი ცხოვრებს, მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილება სასურსათო და არასასურსათო საქონელზე ძირითადად ვაჭრობის მეშვეობით ხდება. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ საკურორტო მეურნეობა საქართველოს სხვა რეგიონებში უფრო განვითარებული იყო, ვიდრე ყოფილ სამხრეთ ოსეთში, საქონლის შესაძენად დამსვენებელთა მიერ გაწეული ფულადი დანახარჯები კი საქონელბრუნვის რესპუბლიკურ მაჩვენებელში აისახებოდა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ: როკის გვირაბის აშენების შემდეგ, ყოფილი სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა თვის ისტორიულ სამშობლოში – ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში იძენდა დიდი რაოდენობით სასურსათო და არასასურსათო საქონელს, და, ბუნებრივია, მათ მიერ გაწეული ფულადი დანახარჯებიც ჩრდილოეთ ოსეთის საქონელბრუნვის მოცულობაში აისახებოდა.

ს. ჩერიომინი არ ცხრება და კვლავ აგრძელებს ყოვლად უსაფუძვლო მონაცემების მოტანას, კვლავ ცდილობს თვალებში ნაცარი

---

[1] Статистические матерпалы.... с. 43-44.

შეაყაროს მკითხველს. როგორც ჩანს, იგი ვერ ერკვევა მოვლენებსა და პროცესებში. მაგალითად, იგი აღნიშნავს, რომ 1987 წელს ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდავობამ ყოველ ათას დაბადებულზე საქართველოს რესპუბლიკაში 24,3, ხოლო ყოფილ სამხრეთ ოსეთში - 27 ბავშვი შეადგინა. თუ ავტორს ამით იმის თქმა სურს, რომ სამხრეთ ოსეთში უფრო მაღალია ბავშვთა მოკვდავობის დონე და ამას არავითარი ყურადღება არ ექცევაო, მაშინ ერთი წლის მონაცემების მოტანა უბრალოდ უხერხულია. ამას ისიც ადასტურებს, რომ წინა წლებში სრულიად საპირისპირო მოვლენას ჰქონდა ადგილი. კერძოდ, 1981 წელს ყოველ ათას ახალშობილზე ერთ წლამდე ასაკში ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 24,7 ბავში გარდაიცვალა, აფხაზეთში – 29,9; აჭარაში – 58,6; ხოლო რესპუბლიკაში – 29,7 ბავშვი. ასევე წლების განმავლობაში თბილისში გაცილებით მაღალი იყო ბავშვთა მოკვდავობის დონე, ვიდრე ყოფილ სამხრეთ ოსეთში. მაგალითად, 1989 წელს ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ერთ წლამდე ასაკში ყოველი ათასი დაბადებული ბავშვიდან 22,5 ბავშვი გარდაიცვალა, ხოლო თბილისში – 24,2 ბავშვი. საინტერესოა ამ მონაცემებს როგორ კომენტარს გაუკეთებდა ს. ჩერიომინი?

ასეთი და გაცილებით მწვავე სიტუაციები, რომლებიც ვნებათა ღელვის გაძლიერებასა და უშუალოდ სისხლისღვრას უწყობდა ხელს, ზედიზედ იბეჭდებოდა რუსულ პრესაში. მაგალითად „იტარ-ტასსის" კორესპონდენტი ვ. შანაევი აღნიშნავდა, რომ ცხინვალიდან ნანგრევები დარჩა - ქართულმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა ცხინვალში გაანადგურეს და დაწვეს საცხოვრებელი სახლებისა და ადმინისტრაციული შენობების 80 პროცენტიო.[1] ამის მსგავსი კი არაფერი მომხდარა.

სამწუხაროდ, ასეთი გამოხდომები და ცილისწამებები დღემდე გრძელდება, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სიყალბის მასშტაბები ფართოვდება. ამჟამად უკვე ბუნებაში არარსებული და თანაც სრულიად არარეალური მონაცემები მოაქვთ და ცდილობენ დაამტკიცონ, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად ყოფილ სამხრეთ ოსეთში შობადობისა და მოკვდავობის მხრივ თითქოს კატასტროფული მდგომარეობა იყო. დ. მედოევი აღნიშნავს: „არ არის გასაკვირი აგრეთვე, რომ საქართველოში სწორედ სამხრეთ ოსეთში აღინიშნა მოკვდავობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (10 კაცი მოსახლეობის ყოველ 1000 სულზე), მაშინ როდესაც მოსახლეობის ყოველ 1000 სულზე 8 ბავშვი იბადებოდა (1988 –

[1] Российская газета, 23 июня 1992 года.

1989 წლების მონაცემები)". ასეთ მონაცემებს ვერცერთ სტატიკურ კრებულში ვერ შეხვდებით. ავტორი ვერ დაასახელებს წყაროს, სადაც აღნიშნული იქნება, რომ ყოველ 1000 კაცზე ყოფილ სამხრეთ ოსეთში 1988 – 1989 წლებში მოკვდაობა 10 კაცს, ხოლო შობადობა 8 ბავშვს უდრიდა. ამ მხრივ ყოფილ სამხრეთ ოსეთში ისეთივე ვითარება იყო, როგორც მთლიანად საქართველოში, ხოლო ზოგიერთ წლებში – უკეთესი. დ. მედოევს თვითნებურად, თავისი სასურველი მოსაზრების განსამტკიცებლად მოყავს შეთხზული მონაცემები, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში შობადობის დონე გაცილებით დაბალი იყო ქართველებში, ვიდრე აქ მცხოვრებ მთელ რიგ ეროვნებებში, მათ შორის, ოსებშიც. მაგალითად, ჯერ კიდევ 1959 წელს შობადობის ზოგადი კოეფიციენტი ქართველებში - 21,8 პრომილეს უდრიდა; სომხებში - 28,8; აზერბაიჯანელებში – 43,9; აფხაზებში – 22,3; ოსებში – 25,5 პრომილეს; შემდგომ წლებში შობადობა ყველა ეროვნებაში შემცირდა, მაგრამ თანაფარდობა შობადობის დონეებს შორის, თითქმის უცვლელი დარჩა.[1]

შობადობა, მოკვდაობა და მოსახლეობის ბუნებრივი მატება საქართველოში
(მოსახლეობის ყოველ 1000 კაცზე)

	1970წ.	1985წ.	1986წ.	1987წ.	1988წ.	1989წ.
საქართველო						
შობადობა	19.2	18.7	18.7	17.9	17.3	16.7
მოკვდაობა	7.3	8.8	8.8	8.8	9.0	8.6
ბუნებრივი მატება	11.9	9.9	9.9	9.1	8.3	8.1
თბილისი						
შობადობა	18.0	16.0	16.1	15.1	14.7	14.4
მოკვდაობა	8.0	8.2	8.2	8.0	8.2	8.2
ბუნებრივი მატება	10.0	7.8	7.9	7.1	6.5	6.2
ყოფილი სამხრეთ ოსეთის ა.ო.						
შობადობა	19.0	19.2	18.3	19.0	18.1	16.7
მოკვდაობა	6.9	9.0	9.9	9.8	9.1	8.7
ბუნებრივი მატება	12.1	10.2	8.4	9.2	9.0	8.0

წყარო: Демографический ежегодник СССР 1990. М., 1990, с. 152.
Население СССР 1988. Статистический сборник. М., 1989, с. 96-97.
Население СССР 1987. Статистический сборник. М. 1988, с. 164-167.

[1] М. Тухашвили. Социально-демографические проблемы населения третьего возраста в Грузинской ССР. В кн. „Население третьего возраста", М., 1986, с. 226.

ჯანმრთელობის დაცვის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და მთლიანად საქართველოს რესპუბლიკაში. მაგალითად, მოსახლეობის ათი ათას სულზე ყოფილ სამხრეთ ოსეთის ოლქში 134,3 საავადმყოფო საწოლი მოდიოდა, 67,4 ყველა სპეციალობის ექიმი და 143,4 საშუალო სამედიცინო პერსონალი. საქართველოს რესპუბლიკის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად დაბალი იყო და შესაბამისად 110,6, 58,0 და 124,9-ს უდრიდა. აღსანიშნავია ისიც, რომ 1988 წელს ყოფილ საბჭოთა კავშირის ყველა მოკავშირე რესპუბლიკასთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებლები ოლქს გაცილებით უკეთესი ჰქონდა (საავადმყოფო საწოლებით უზრუნველყოფის გარდა).

მოსახლეობის უზრუნველყოფა ექიმებით, საშუალო სამედიცინო პერსონალითა და საავადმყოფო საწოლებით 1988 წელს საბჭოთა კავშირსა და საქართველოში მოსახლეობის ყოველ 10 000 კაცზე გაანგარიშებით

	ექიმები	საშუალო სამედიცინო პერსონალი	საავადმყოფო საწოლები
საბჭოთა კავშირი	43.8	116.9	131.3
მათ შორის ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა	68.7	120.4	129.6
საქართველო	58.0	124.9	110.6
მათ შორის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	47.3	127.1	119.0
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	45.4	116.6	109.8
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	67.4	143.4	134.3

წყარო: Статистические материалы об экономическом и социальном развитии союзных и автономных республик, автономных областей и округов. Государственный комитет СССР по статистике. М., 1989, с. 127-131.

მუდმივი სკოლამდელი დაწესებულებებით ბავშვთა უზრუნველყოფის დონეც უკეთესი იყო ოლქში, ვიდრე საშუალოდ საქართველოს რესპუბლიკაში. კერძოდ, 1988 წელს მუდმივი სკოლამდელი დაწესებულებებით ყოფილ ავტონომიურ ოლქში უზრუნველყოფილი იყო შესაბამისი ასაკის ბავშვთა 53 პროცენტი, საქართველოს რესპუბლიკაში – 46, მათ შორის: აფხაზეთში – 39, ხოლო აჭარაში – მხოლოდ 28 პროცენტი.

სოციალური განვითარების ზოგიერთი მაჩვენებელი საბჭოთა კავშირსა და საქართველოში 1988 წელს

	მოსახლეობის საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფა ერთ მცხოვრებზე (საერთო ფართობი, კვმ)	ანაბრის საშუალო მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე (მანეთებში)	მასობრივი ბიბლიოთეკების რიცხვი მოსახლეობის 10000 კაცზე	საკლუბო დაწესებულებების რიცხვი მოსახლეობის 10000 კაცზე	მუზეუმების დამთვალიერებელთა რიცხვი საშუალოდ მოსახლეობის 1000 კაცზე	თეატრალურ წარმოდგენებზე დამსწრეთა რიცხვი საშუალოდ მოსახლეობის 1000 კაცზე
საბჭოთა კავშირი	15.7	1035	5	5	704	393
მათ შორის ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა	15.9	1289	3	3	557	410
საქართველო	18.8	1160	8	5	1217	715
მათ შორის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	17.3	1126	6	5	1561	373
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	17.3	907	10	5	556	458
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	21.3	1534	16	11	1522	788

წყარო: Статистические материалы об экономическом и социальном развитии союзных и автономных республик, автономных областей и округов. Государственный комитет СССР по статистике. М., 1989, с. 43-45; 76-78; 109-116.

ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოსახლეობა ასევე გაცილებით უკეთ იყო უზრუნველყოფილი საცხოვრებელი ბინის საერთო ფართობით, ვიდრე ყოფილი საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებისა თუ ნებისმიერი ავტონომიური ფორმირების მოსახლეობა. ამრიგად, ამ მაჩვენებლითაც ოლქი პირველ ადგილზე იმყოფებოდა ყოფილ საბჭოთა კავშირში. რეგიონის მოსახლეობას მნიშვნელოვანი რაოდენობით ჰყავდა პირად საკუთრებაში მსუბუქი ავტომობილებიც. მაგალითად, ოლქის მოსახლეობის ყოველი ათასი კაციდან 59 კაცს ჰყავდა მსუბუქი ავტომობილი, ხოლო ყოფილ საბჭოთა კავშირში – 53 კაცს[1].

კიდევ ერთი მაჩვენებლით იდგა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი პირველ ადგილზე საბჭოთა კავშირში – ყოველ ათი ათას მოსახლეზე ბიბლიოთეკების რაოდენობით. ამასთან, მოსახლეობის საკლუბო დაწესებულებებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი 2-ჯერ და მეტად ჭარობდა მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის მაჩვენებელს. ყოველივე აღნიშნულთან ერთად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მოსახლეობის ყოველ 10 ათას კაცზე გაცილებით მეტი სტუდენტი და მოსწავლე მოდიოდა, ვიდრე საშულაოდ საქართველოში და მის ავტონომიურ რესპუბლიკებში–აფხაზეთსა და აჭარაში. ოლქში ასევე მაღალი იყო მუზეუმების დამთვარიელებელთა რიცხვი, ხოლო თეატრალურ წარმოდგენებზე დამსწრეთა რიცხვი ყველაზე მაღალი-საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებსა და ავტონომიურ წარმონაქმნებთან შედარებით მოსახლეობის 1000 კაცზე გაანგარიშებით.

მართალია, ბიბლიოთეკების რიცხვით მოსახლეობის 10 000 კაცზე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი პირველ ადგილზე იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში, მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, მ. ბლიევს, დ. მედოევს, ი. კოჩიევასა და ა. მარგიევს ბიბლიოთეკაში არასოდეს შეუვლიათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ამდენი სიყალბის თქმას მოერიდებოდნენ.

მოტანილი ოფიციალური მონაცემები სრულ უფლებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში და საერთოდ საქართველოში მცხოვრებ ოსებს ათეული წლების განმავლობაში ბევრად უკეთესი პირობები ჰქონდათ შექმნილი თავიან-

---

[1] Статистические данные . . . с. 57.

თი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის, ვიდრე ყოფილი საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებისა თუ რომელიმე ავტონომიური წარმონაქმნის მოსახლეობას. სწორედ ამაზე მეტყველებს ოფიციალური, ყოფილი საბჭოთა კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის არაერთგზის გამოქვეყნებული მონაცემები. რაც შეეხება მუშაობის ხარისხობრივ მაჩვენებლებს, აქ სრულიად საწინააღმდეგო ვითარებასთან გვაქვს საქმე. მაგალითად, მარცვლეულის მოსავლიანობა 1988 წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჰექტარზე საშუალოდ 17,1 ცენტნერს უდრიდა, ხოლო საქართველოში 26,2 ცენტნერს, მის ავტონომიურ ფორმირებებში, კერძოდ, აფხაზეთში – 28,9 და აჭარაში – 29,6 ცენტნერს. კარტოფილის მოსავლიანობა სამხრეთ ოსეთში ყველაზე დაბალი იყო საბჭოთა კავშირში და იგი ამავე წელს ჰექტარზე საშუალოდ 37 ცენტნერს შეადგენდა, საბჭოთა კავშირში – 103; ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – 111; საქართველოში – 109; აფხაზეთში – 72; ხოლო აჭარაში – 108 ცენტნერს. ასევე უაღრესად დაბალი იყო სამხრეთ ოსეთში ბოსტნეულისა და ყურძნის მოსავლიანობა (ამ უკანასკნელი მაჩვენებლის მიხედვით საბჭოთა კავშირში ბოლო ადგილი ეკავა). სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ერთი ძროხის საშუალო წლიური წველადობა 1109 კილოგრამ რძეს უდრიდა და ეს მაჩვენებელიც ყველაზე დაბალი იყო საბჭოთა კავშირში. ბუნებრივია, ასეთ პირობებში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამეურნეო საქმიანობის შედეგები, კერძოდ, მოგება და რენტაბელობის დონე (მოგების შეფარდება რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებასთან) ყველაზე დაბალი იყო საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებისა და ავტონომიური ფორმირებების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ყოველივე ეს შეეხება არა მხოლოდ 1988 წელს, არამედ გასული საუკუნის 70-იან და 80-იან წლებსა და უფრო ადრეულ პერიოდსაც.[1]

---

[1] Статистические материалы...с. 218, 228, 232, 248, 268, 293, 295.

სოფლის მეურნეობის ზოგიერთი პროდუქციის წარმოების მაჩვენებელი 1988 წელს

	საბჭოთა კავშირი	რუსეთი	ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა	საქართველო	სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი
მარცვლეულის მოსავლიანობა ყველა კატეგორიის მეურნეობაში (ცენტნერობით ერთი ჰექტარიდან)	17.0	15.6	32.4	26.2	17.1
კარტოფილის მოსავლიანობა ყველა კატერგორიის მეურნეობაში (ცენტნერობით ერთი ჰექტარიდან)	103	102	111	109	37
ერთი ძროხის საშუალო წლიური წველადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში (კგ)	2798	2703	2868	1935	1109
ერთი ცენტნერი მარცვლეულის თვითღირებულება კოლმეურნეობებში (მანეთობით)	9.7	10.6	8.3	9.9	26.9
ერთი ცენტნერი კარტოფილის თვითღირებულება კოლმეურნეობებში (მანეთობით)	15.8	17.8	10.1	29.2	53.1
ერთი ცენტნერი მარცვლეულის თვითღერებულება საბჭოთა მეურნეობებში (მანეთობით)	12.0	12.3	10.4	16.4	26.7
ერთი ცენტნერი კარტოფილის თვითღირებულება საბჭოთა მეურნეობებში (მანეთობით)	20.3	21.2	16.4	30.3	99.3
რენტაბელობის დონე საბჭთა მეურნეობებში (მოგების შეფარდება რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებასთან, პროცენტობით)	30.0	36.4	29.9	9.1	-7.4

წყარო: Статистические материалы... с. 218, 268, 293, 295, 303, 309.

ასეთ პირობებში სრულ ანაქრონიზმად, უაზროებად გაისმის ოსი სეპარატისტი მეცნიერების, ოსი და რუსი ჟურნალისტების — მ. ბლიევის, დ. მედოევის, ი. კოჩიევის, ა. მარგიევის, ს. ჩერიომინის,

ა. ტაუსოვას, ვ. სიზის და სხვათა „მოსაზრებები“ იმის შესახებ, თითქოს სამხრეთ ოსეთი, იმყოფებოდა რა 70 წლის განმავლობაში საქართველოს სსრ შემადგენლობაში ავტონომიური ოლქის სახით, განიცდიდა სოციალურ და კოლონიურ ჩაგვრას. ეს აბსურდული მოსაზრებები ოსი სეპარატისტებისა და მათი დამქაში და დამფინანსებელი რუსი რეაქციული ძალების ერთობლივი „ნამოღვაწარია“. თვითგამოხცადებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრობლემის გადაწყვეტა, მათი აზრით, უნდა ემყარებოდეს რეგიონში ფუძემდებლურ ისტორიულ რეალიებს, რომლებიც თითქოს იმაში მდგომარეობს, რომ სამხრეთ ოსეთი უძველესი დროიდან არსებობდა და იგი 1774 წელს ჩრდილოეთ ოსეთთან ერთად შევიდა რუსეთის შემადგენლობაში. და თუ ყველაფერი, როგორც მათ სურთ, ასეა, მაშინ, როგორც ისინი აცხადებენ, უნდა გამოვიდეთ საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური პრინციპებიდან, რომლებიც ხალხთა თვითგამორკვევის გარანტიაა. ამ გზით მათ სურთ საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტის, მისი ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა, საქართველოს შუაგული ისტორიული ნაწილის — შიდა ქართლის მისაკუთრება. ქართველი ხალხი არასოდეს შეურიგდება თავისი სახელმწიფოს დაშლას, მას ისედაც აღარ დარჩა გასაცემი მიწა-წყალი და ეს კარგად უნდა იცოდეს ოსმა სეპარატისტებმაც. ცნობილი ოსი მეცნიერი ვ. აბაევი ჯერ კიდევ 1990-იანი წლების დასაწყისში აფრთხილებდა თავის თანამემამულეებს დაფიქრებულიყვნენ და ხელი აეღოთ ასეთ უსაფუძვლო განზრახვაზე, რადგან იგი უაზრო სისხლისღვრას გამოიწვევდა.

პროფ. ვ. აბაევის წინასწარმეტყველება ასრულდა. რუსულმა პრესამ შესანიშნავი ნოყიერი ნიადაგი მოუმზადა ჩვენს მიწაზე დაღვრილ სისხლს. ამჟამადაც რუსული რეაქციული ძალები არ ცხრებიან და ახალი კონფლიქტისაკენ უბიძგებენ ჩვენს ხალხებს. ამაზე ნათლად მეტყველებს „ლიტერატურნაია გაზეტაში“ დაბეჭდილი მასალა საერთო სათაურით: „სამხრეთ ოსეთის ბედი და უბედობა,“ რომელიც შემოკლებით გადმობეჭდა გაზეთმა „საქართველოს რეპუბლიკამ“ (11 აგვისტო, 2004 წელი).

ამჯერად „ლიტერატურნაია გაზეტას“ ფურცლებზე დაიბეჭდა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ნატალია ნაროჩნიცკაიასა და სახელმწიფო სათათბიროს საკონსტიტუციო კანონმდებლობისა და სა-

ხელმწიფო მშენებლობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ალექსეი მიტროფანოვის უაღრესად ცილისმწამებლური გამოსვლები. ისინი ისეთ რამეს გვაბრალებენ და ისე ამახინჯებენ ჩვენს ისტორიას, ძნელია, კაცმა უარესი რამ მოიფიქრო და შემდეგ მისი გავრცელება იკადრო.

ნატალია ნაროჩნიცკაია აღნიშნავს: „თავის დროზე ბოლშევიკები ხშირად ავლებდნენ პოლიტიკურ მოსაზრებებზე მორგებულ საზღვრებს და მარტო რუსი ხალხი კი არ აღმოჩნდა ამ საზღვრებით დაცალკევებული, არამედ სხვა ხალხებიც. „კლასიკური მაგალითია“ ოსები. მათი ნაწილი რსფსრ-ში შევიდა, მეორე — საქართველოს სსრ-ს გადაეცა“. ნატალია ნაროჩნიცკაია ნაწილობრივ მართალია. ბოლშევიკები ხშირად ავლებდნენ პოლიტიკურ მოსაზრებებზე მორგებულ საზღვრებს, მაგრამ ამ საზღვრებით დაცალკევებული, რა თქმა უნდა, ოსები არ აღმოჩენილან. ისტორიულად სადაც ოსები ხიზნებად დასახლნენ, ან უბრალოდ, რომელ ქვეყნებშიდაც საცხოვრებლად გადავიდნენ, მათ ყველგან ავტონომიას ვერ შეუქმნიან, ან იმ ტერიტორიას რუსეთს ვერ შეუერთებენ. რაც შეეხება საქართველოში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნას, იგი, მართლაც, პოლიტიკურ მოსაზრებებზე მორგებული საზღვრის ფარგლებში, თავის დროზე ყოველგვარი სამართლებრივი ნორმების დარღვევით შეიქმნა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ყოველივე ეს იმას ჰგავს, რომ რუსები, რომლებიც რუსეთის ფედერაციის გარეთ, პოსტსაბჭოთა სივრცეში ასიათასობით ცხოვრობენ, დაცალკევების მომიზეზებით, საზღვრების გადასინჯვას შეუდგნენ და რუსებით დასახლებული ადგილების რუსეთთან შეერთება მოითხოვონ. თუმცა შენიღბული ქმედებებით არც ამაზე ამბობენ უარს. არიგებენ რუსულ პასპორტებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში და შემდეგ ხმამაღლა აცხადებენ: ჩვენი მოქალაქეები საქართველოში უნდა დავიცვათ და მათ მიერ დასახლებული ტერიტორიები უნდა შევიერთოთო.

შესანიშნავი ლოგიკაა, როგორც ჩანს, აღარ უშლიან.

კიდევ უფრო აბსურდულია თავის კოლეგასთან შედარებით ალექსეი მიტროფანოვის მსჯელობა: „ორასი წლის წინათ ფაქტობრივად საქართველოს გამო წამოიწყეს ომი კავკასიაში იმ ერთმორწმუნთა გადასარჩენად, რომელთა რიცხვი გეორგიევსკის ტრაქტატამდე (1783 წლამდე) სულ რაღაც 75 ათასი იყო. ახლა ქართველთა რაოდენობა მილიონობით მოითვლება. ოღონდ ამისათვის ჩვენი წინაპ-

რები წინასწინა საუკუნეში 40 წელიწადს ებრძოდნენ მთიელებს". მიტროფანოვი ჰაიჰარად რომ მსჯელობს, იქიდანაც ჩანს, რომ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა ასეთი მცირე — 75 ათასი არასოდეს ყოფილა, ბუნებაში ასეთი მონაცემები არ არსებობს და იგი მიტროფანოვის ფანტაზიის ნაყოფია.

ახლა გვინდა, შევეკითხო ალექსეი მიტროფანოვს, ორასი წლის წინათ რუსეთმა რომელი ომი წამოიწყო კავკასიაში საქართველოს გულისათვის. პირიქით, მეფის რუსეთმა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში სწორედ თავისი იმპერიული მიზნების გამო არ შეასრულა ხელშეკრულებებით დადებული ვალდებულებები, მათ შორის გიორგევსკის ხელშეკრულებაც და საქართველო რამდენჯერმე პირისპირ შეატოვა მრავალრიცხოვან მტერს. სწორედ იმის გამო, რომ ერეკლე მეორემ არ შეასრულა ირანის მმართველი წრეების მოთხოვნა — გაეწყვიტა რუსეთთან კავშირი და მისი მფარველობიდან გამოსულიყო, 1795 წელს თბილისი საშინლად აოხრა მტერმა, უფრო ადრე კი ამავე მიზეზით ოსმალეთისაგან აოხრებას ვერ გადაურჩა ქვემო ქართლიც. გვინდა, ისიც შევეკითხოთ ალექსეი მიტროფანოვს, რომ ამ ორასი წლის განმავლობაში რა შეიცვალა საქართველოსთან დამოკიდებულებაში. მაშინაც და ახლაც — 200 წლის შემდეგ — რუსეთს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ბატონობა მიაჩნდა და მიაჩნია საქართველოსა და მთელ კავკასიაზე ზეწოლის, თავისი იმპერიული მიზნების რეალიზაციის შესანიშნავ საშუალებად.

რუსი მოღვაწე ი.კანადპევი, რომელმაც 20 წელი იცხოვრა კავკასიაში, 1902 წელს პეტერბურგში გამოცემულ თავის წიგნში წერდა: „ბურჟუაზია, როგორც ისტორია გვიჩვენებს, ყოველთვის იმარჯვებს თავადაზნაურთა კლასზე. ეს სწორია, მაგრამ უნდა დავუმატოთ, რომ ეკონომიკური ევოლუცია არსად არ დამთავრებულა ისე სავალალოდ თავადაზნაურობისათვის, როგორც აქ... განა მთავრობამ უნდა დაუშვას, რომ დაილუპოს ქართველი თავადაზნაურობა, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია რუსეთს მასთან საქართველოს შეერთების დროიდან? არ უნდა დავივიწყოთ ის ფაქტი, რომ იგი იყო ორი ერთმორწმუნე ხალხის ერთიანობის იდეის მატარებელი და ერთი სამეფოს მეორე სამეფოსთან ნებაყოფლობით შეერთების მთავარი მიზეზი. საქართველოს შეერთებამ უდიდესი სარგებლობა მოუტანა რუსეთს იმ მხრივ, რომ მისი საზღვრები უშუალოდ თურქეთთან და სპარსეთთან მოვიდა შეხებაში, რამაც საშუალება მისცა რუ-

სეთის მთავრობას, უშუალო გავლენა მოეხდინა ორივე სახელმწიფოზე. ამას გარდა, საქართველოს შეერთებით კავკასიის მთიელები ყოველ მხრივ გარშემორტყმული აღმოჩნდნენ, რამაც გარდაუვლად გამოიწვია მათი დამორჩილება და, შესაბამისად, ჩრდილოეთ კავკასიის მშვიდობიანი კულტურული განვითარების ხელის შემშლელი პირობების მოსპობა. დასასრულ, არ შეიძლება, უყურადღებოდ დავტოვოთ ის გარემოება, რომ რუსეთმა საქართველოს სახით შეიძინა ქვეყანა, რომელიც არაჩვეულებრივად მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, რაც რუსი ხალხის გამდიდრებას შეიძლება ემსახუროს"[1].

ალაქსეი მიტროფანოვი არ ცხრება: „საქართველოს გულისთვის, მისი რაღაც „ტერიტორიული მთლიანობისათვის" კვლავ მთელი კავკასია შეიძლება ცერცხლში გაეხვიოს. არადა, საქართველო ხომ არასოდეს ყოფილა დიდი ერთიანი სახელმწიფო, ყოველთვის სამთავროებად იყო დაქუცმაცებული, დანაწევრებული. ეგეც რომ არა, რად გვინდა ჩვენ, რუსეთს, ერთიანი საქართველო?" მართალი ბრძანდებით, თქვენ არ გინდათ ერთიანი საქართველო, მაგრამ ჩვენ, ქართველებს, გვინდა და იქნებ კმაროდეს 200 წელი თავის დანებებისათვის. თუკი „ტერიტორიული მთლიანობა" რაღაცაა, მაშინ დაუბრუნონ კურილიის კუნძულები იაპონიას, მაგრამ მიტროფანოვებზე როდია დამოკიდებული ქვეყნის ბედ-იღბალი.

ბატონი ალექსეი თავისი იმპერიული ზრახვების გამოა ჩვენს მიმართ აგრესიულად განწყობილი, თორემ შესანიშნავად იცის, რომ სამთავროებად დანაწილებას გარკვეულ პერიოდში არა თუ საქართველო, არამედ ბევრი სხვა დიდი თუ პატარა ქვეყანა ვერ გადაურჩა, მათ შორის რუსეთიც.

კერძოდ, ცნობილია, რომ სამთავროებად დანაწილებისა და ფეოდალური დაქსაქსულობის პროცესი მე-12-13 საუკუნეებში რუსეთშიც გაღრმავდა. ძველი რუსული სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, მე-12 საუკუნის პირველი მესამედიდან მას გამოეყო ვლადიმირ–სუზდალის, გალიჩ-ვოლინისა და სხვა სამთავროები, შემდეგ ძველ სამთავროებში (როსტოვის, ტვერის, ნიჟნი–ნოვგოროდის, რიაზანის და სხვ.) შეიქმნა ახალი, ე.წ. საუფლისწულო სამთავროები. ბევრ ასეთ ცნობას შეხვდება ბატონი ალექსეი, თუ წაიკითხავს დიდი რუსი ისტორიკოსის ვ.კლიუჩევსკის „რუსული ისტორიის კურსს". მაშ, რა-

[1] И.К. Канадшев. Очерки Закавкаской жизни. Баку, 1990. с. 80-81.

ტომ მაინცდამაინც ჩვენ მოგვდგა, რომელი წითელი კვერცხი ჩვენ გვნახა! საქმე ის არის, რომ იგი ისევ წარსულში იცქირება და იმპერიული სენითაა შეპყრობილი. ქვეყანა შუაზე გაგვიხლიჩა და ვითომ ოსების საკითხი აწუხებს – მათ ბედზე და უბედობაზე წერს, რომლებსაც მათ სამშობლოში – ჩრდილოეთ კავკასიაში ერთი სკოლაც კი არ გაუხსნეს მშობლიურ ენაზე.

ჩეჩნების დამოუკიდებლობის სამართლიან მოთხოვნებს ტანკები დაუპირისპირეს, აქ, შუაგულ საქართველოში კი ჩამოსული ოსების დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას უჭერენ მხარს. ერთხელაც კი არ დაუჩივლიათ იმის შესახებ, რომ უკვე დაამთავრეს კომელების, ხანტების, მანსებისა და სხვა ხალხების ასიმილაცია. სხვა რა ვუწოდოთ იმას, რომ 1926 წელს კომის ავტონომიურ რესპუბლიკაში 14 ათასი რუსი ცხოვრობდა, ხოლო 1989 წელს – 722 ათასი. ამის შედეგად კომელების რაოდენობა მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში 92,3 პროცენტიდან 23,3 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო ხანტი-მანსის ავტონომიურ ოლქში 1959-1989 წლებში რუსების რაოდენობა 90 ათასიდან 848 ათასამდე გაიზარდა, ხოლო ხანტებისა და მანსების წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში ამავე 30 წელიწადში 13,6 პროცენტიდან 1,4 პროცენტამდე შემცირდა. ამ დროს ვითომც ოსების ბედი აწუხებთ და საქართველოში რუსეთის სამხედრო ტექნიკის დაკავებასთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოს უნდა შემობრუნებოდა ერთი მუჭა ოსი სეპარატისტებისა და რუსეთის რეაქციული ძალების მხარდასაჭერად, მიტროფანოვები, ჟირინოვსკები და ნაროჩნიცკაიები უტიფრად აცხადებენ: საქართველოს ყველა ქალაქი უნდა დაგვენგრია და არც ერთი ქართველი ცოცხალი არ უნდა დაგვეტოვებინაო.

მოკლედ, ფაშისტების პროპაგანდაც კი უფერულდება მათი ფანტაზიის წინაშე. ასეთ რამეს ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის დროსაც კი ვერ გაიგონებდა კაცი. თუ ახლა რუსმა მეგობრებმა ერთი კეთილი სიტყვაც ვერ გაიმეტეს საქართველოს დასაცავად, 1887 წელს რუსი მწერალი ევგენი მარკოვი პეტერბურგში გამოქვეყნებულ წიგნში „კავკასიური ნარკვევები“ წერდა: „ჩვენ რუსებმა, არ უნდა დავივიწყოთ თავის დღეში, რომ საქართველო ხმლით არ დაგვიპყრია, რომ ჩვენ იმათი თანასწორი ძმანი ვართ და არა მძლავრი მებატონენი, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართველნი შემოვიდნენ ჩვენს ოჯახში მისთვის, რომ ქართველადვე დარჩნენ, ამიტომაც ყოველსავე ქართულს, ისტორიით მოპოვებულს, ყოველ ქართველთაგანს, ყოველ-

სავე სალოცავს ერისას და წმინდად აღიარებულს, ყოველსავე თვისებას მათსა — იმოდენად პატივი უნდა ვცეთ, იმოდენად მხარი მივცეთ და ხელი შეეუწყოთ, რამოდენადაც ყოველისფერს ჩვენს საკუთარს. კავშირი ძმათა შორის იმაში მდგომარეობს, რომ ერთი მეორეს ძმურად შეეწეოდეს, ერთი მეორეს შეემსჭვალოს, და არა იმაში, რომ ერთმა მეორე ჩაყლაპოს".[1]

საქართველოში მცხოვრები ოსებისადმი ქართველი ხალხი ყოველთვის იჩენდა პატივისცემას, მათდამი მზრუნველობას, უშურველად უწყობდა ხელს მათი სულიერი კულტურის განვითარებას.

1988 წელს „სამხრეთ ოსეთში", რომლის მოსახლეობა 6,4-ჯერ ნაკლები იყო ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობაზე, ყოველ ათი ათას მცხოვრებზე 3,5-ჯერ მეტი დასახელების წიგნი გამოდიოდა 2-ჯერ მეტი ტირაჟით, ვიდრე ჩრდილოეთ ოსეთში.[2]

ყოფილ სამხრეთ ოსეთში სრული შესაძლებლობა ჰქონდა ახალგაზრდობას განათლება მშობლიურ ენაზე მიეღო. მაშინ, როდესაც ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ, „ყაბარდო-ბალყარეთის, ყალმუხეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, ჩეჩენ-ინგუშეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში, ადიღესა და ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქებში არც ერთი ეროვნული სკოლა არ არსებობდა და მკვიდრი ეროვნების ყველა ბავშვი რუსულ ენაზე სწავლობდა",[3] საქართველოში 98 ოსური სკოლა ფუნქციონირებდა შერეული ტიპის სკოლებთან ერთად. მათ შორის, 90 სკოლა — ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ხოლო 8 სკოლა ოსებით შედარებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში — თბილისში, ლაგოდეხში, ბორჯომში, ქარელსა და ყვარელში. აღსანიშნავია, რომ საქართველოში 1921 წლამდე არც ერთი ოსური სკოლა არ არსებობდა. 1926 წლისათვის საქართველოს ხუთ მაზრაში უკვე 19 ოსური სკოლა იყო, ხოლო 1928—29 სასწავლო წელს ოსური სკოლების რიცხვი 26—მდწე გაიზარდა.[4]

ჩრდილოეთ კავკასიაში რუსულმა ენამ გაბატონებული მდგომარეობა დაიჭირა. ეროვნული ენები განიდევნა ფაბრიკებიდან, ქარხნებიდან, საცხოვრებელი კორპუსებიდან, ინსტიტუტებიდან, სკოლები-

---

[1] Е. Марков. Очерки Кавказа, С. Петербург, Москва, 1887, с. 214-215.
[2] Печать СССР в 1988 году, М. 1989, с. 129-131.
[3] Современные этнические процессы в СССР. М., 1977, с. 273.
[4] ე. ჯიოევა. ბრძოლა სამხრეთ ოსეთის მშრომელთა კულტურული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის 1921—1932 წლებში. თბ., 1971, გვ. 11.

დან. შინ და გარეთ, სამუშაოზე და ქუჩაში ყველაფერი რუსულ ენაზე „ალაპარაკდა". ასეთი ვითარება იყო მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში. სასურველ შედეგსაც მალე მიაღწიეს. ყარაჩაი–ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემების მიხედვით მშობლები შვილებთან ურთიერთობაში ნაკლებად იყენებდნენ მშობლიურ ენას. ამ აზრის იყო გამოკითხულთა 37,5 პროცენტი. 50,0 პროცენტი კი თვლიდა, რომ შვილებთან ურთიერთობაში იყენებდა როგორც მშობლიურ ენას, ისე რუსულ ენას. გამოკითხულთა 90,0 პროცენტი ქალაქად არაოფიციალური მიმოწერის დროს რუსულ ენას ხმარობდა, ხოლო 10,0 პროცენტი – ორივე ენას. მხატვრულ ლიტერატურას 45,0 პროცენტი მხოლოდ რუსულ ენაზე კითხულობდა, ხოლო პერიოდულ პრესას – 67,0 პროცენტი. ამასთან გამოკითხულთა 100,0 პროცენტი აუდიტორიის წინაშე მხოლოდ რუსულ ენაზე გამოდიოდა.[1]

ყოველივე ეს ძირითადად იმან განაპირობა, რომ იერიში მიჰქონდათ ეროვნულ ენებზე და ცდილობდნენ მხოლოდ რუსული ენის დამკვიდრებას. მაგალითად, საკმარისი აღმოჩნდა ყოფილ საბჭოთა კავშირის პირველ პირს ნ. ხრუშჩოვს ბელორუსიის უნივერსიტეტის კიბეებზე ეთქვა საკრამენტული ფრაზა: „რაც უფრო მალე ჩვენ ყველანი ვილაპარაკებთ რუსულად, მით უფრო სწრაფად ავაშენებთ კომუნიზმს", რომ არა მარტო ბელორუსიაში, არამედ უკრაინაშიც მაშინვე დაიწყეს ამ ყოველმხრივ საზიანო და ნაცოდვილარი ნააზრევის ცხოვრებაში გატარება.[2] მართალია, კომუნიზმი ვერ აშენდა, მაგრამ სამაგიეროდ ბელორუსიაში თითქმის აღარ დარჩა სკოლა მშობლიურ ენაზე. მოსწავლეთა 79,0 პროცენტი განათლებას რუსულ ენაზე იღებდა. ბელორუსული სკოლა მხოლოდ სოფლად შემორჩა. სკოლებში ბელორუსულ ენას სამჯერ ნაკლები საათები ჰქონდა დათმობილი, ვიდრე რუსულს. ბელორუსული ენის დისკრიმინაციის საქმე იქამდე მივიდა, რომ რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების შრომის ანაზღაურება უფრო მაღალი იყო, ვიდრე მათი, ვინც მშობლიურ ბელორუსულ ენას ასწავლიდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა იყო ჩრდილოეთ კავკასიაში. ცნობილი დაღესტნელი პოეტი რასულ

---

[1] Русская нация в Союзе народов СССР. Куйбышев, 1990, с. 125.
[2] „Литературная газета', 13 сентября 1989 г.

გამზათოვი წერდა: „ჩემს მშობლიურ დაღესტანში ლიტერატურა ცხრა ენაზე იქმნება. ამტკიცებენ, რომ არც ერთ მათგანს არ უწერია გაქრობა... უკანასკნელ დროს ეროვნულ ენაზე ორი ახალი ლიტერატურული ჟურნალი გამოიცა. მაგრამ გვაღელვებს საკითხი: ვის შეეძლება ეს ჟურნალები წაიკითხოს ათი, ოცი წლის შემდეგ? მახაჩკალაში არ არის არცერთი საბავშვო ბაღი, არც ერთი სკოლა, არც ერთი კლასი, სადაც ჩვენი წინაპრების ენას ასწავლიდნენ".[1] ამ დროს საქართველოში, როგორც ითქვა, 98 ოსური სკოლა ფუნქციონირებდა 90 ყოფილ სამხრეთ ოსეთში და 8 ოსებით კომპაქტურად დასახლებულ საქართველოს სხვადასხვა რაიონში. ოსი ავტორები სკოლების რაოდენობის საკითხშიც არ ერიდებიან სიყალბეს და აცხადებენ: ოსებით კომპაქტურად დასახლებულ საქართველოს ახმეტისა და ლაგოდეხის რაიონებში დაიხურა ოსური სკოლები, ხოლო ლაგოდეხის რაიონში არსებულ ერთადერთ ფონის ოსურ სკოლაში დირექტორი ქართველია. ბავშვები ძალიან ცოტაა, რამდენადაც ფონისა და გარშემო სოფლების მოსახლეობა მცირდებაო".[2] ჯერ ერთი, რვა სკოლიდან ფუნქციონირებს ხუთი ოსური სკოლა, მეორეც, რატომ არ შეიძლება ოსური სკოლის დირექტორი ქართველი იყოს, გაუგებარია. ამასთან მარტო ლაგოდეხის რაიონში სამი ოსური სკოლაა – ბოლქვის საბაზო, ფონისა და არეშფერანის საშუალო სკოლები. რაც შეეხება მოსწავლეების სიმცირეს – ესეც გასაგებია. ოსები მარტოოდენ კონფლიქტური სიტუაციის გამო საქართველოდან არ წასულან. ასი ათასობით ქართველმაც დატოვა საქართველო ეკონომიკური სიდუხჭირის გამო. რაც მთავარია, ქვეყანაში უაღრესად გაუარესდა დემოგრაფიული ვითარება, განახევრდა შობადობა. კერძოდ, თუ 1980-1989 წლებში, ათ წელიწადში საქართველოში 935 776 ბავშვი დაიბადა, 1995-2004 წლებში ანუ ისევ ათ წელიწადში დაბადებულთა რაოდენობამ 504 302 ბავშვი შეადგინა. ასეთ პირობებში მოსწავლეთა რაოდენობა ქვეყანაში მნიშვნელოვნად შემცირდა და ზოგიერთი სკოლა დაიხურა კიდეც. რა გასაკვირია, რომ სოფელ ფონაშიც მოსწავლეთა რაოდენობა შემცირებულიყო.

მოწინავე ქართველი საზოგადოება ყოველთვის ზრუნავდა ოსური კულტურის განვითარებისათვის; ისტორიული ფაქტია, რომ ჯერ

---

[1] Газ. „Известия" 29 марта 1988 г.

[2] И.Кочиева, А.Маргиев. დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

კიდევ მე-18 საუკუნეში, ერეკლე მეფის დროს საგანგებო კომისიამ ოსებს შეუქმნა პირველად დამწერლობა, მოგვიანებით კი ქართული დამწერლობის გრაფიკა დაედო საფუძვლად ოსურ დამწერლობას.

ქართველი ხალხი მე-19 საუკუნიდან მოყოლებული დღემდე ასევე ყოველთვის ზრუნავდა ოსური ენისა და ლიტერატურის განვითარებისათვის, სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლა- განათლების მიღებისათვის. ისტორიული სიმართლე მეტ პატივისცემას იმსახურებს. სიმართლე კი ის არის, რომ როგორც ჩვენი დიდი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავს, ოსებმა ისარგებლეს ქართული „დედა-ენით" და მოკლე ხანში შექმნეს ოსური „დედა-ენა". ამასთან, რადგან ფოტოსურათების დამზადება დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, მათ ითხოვეს ქართველებისაგან კლიშეები, რომლებიც უფასოდ დაეთმოთ.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ქართველი მისიონერები იღწვოდნენ ოსეთის მოსახლეობაში განათლების შესატანად. 1764 წელს ახლად დაარსებულ ციხე-სიმაგრე მოზდოკში გაიხსნა პირველი სკოლა ოსი ხალხის ისტორიაში. ეს სკოლა ერთადერთი იყო არა მხოლოდ ოსეთში, არამენ მთელ ჩრდილოეთ კავკასიაშიც. როგორც ოსი ისტორიკოსი გ. თოგოშვილი აღნიშნავს, სკოლის გახსნის „პროგრესული იდეის ავტორები ქართველი მოღვაწენი იყვნენ. მას ოსი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში ობიექტურად პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ სკოლაში აღზრდილმა ოსებმა. დადებითი როლი შეასრულეს ოსი ხალხის კულტურული განვითარების საქმეში"[1].

XIX საუკუნეში თბილისისა და გორის სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარებში მრავალი ახალგაზრდა სწავლობდა ჩრდილოეთ ოსეთიდან. ისინი შემდგომში ცნობილი საზოგადო მოღვაწენი გახდნენ და თვალსაჩინო კვალი დატოვეს თავიანთ ისტორიულ სამშობლოში სასკოლო განათლებასა და თავისი ხალხის კულტურულ ცხოვერებაში. ცნობილია, მაგალითად, რომ ერეკლე მეფის ბრძანებით საქართველოში მიიღო განათლება იოანე იალღუზიძემ, რომელიც მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ოსეთის ყველაზე ცნობილი მოღვაწე გახდა. მის მიერ შესრულებულია პირველი ოსური ხელნაწერი (1802 წ.) ქართული გრაფიკით. 1812 წელს ქართული გრაფიკის სა-

---

[1] გ. თოგოშვილი. სასქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV–XVIII სს. თბ., 1969, გვ. 241.

ფუძველზეა შედგენილი აგრეთვე პირველი ოსური ანბანი. დიდი დამსახურება მიუძღვის ოსური ხალხური ზეპირსიტყვიერების შეკრებაში ცნობილ ქართველ მწერალს დანიელ ჭონქაძეს, რომელიც, როგორც ოსური ენის კარგი მცოდნე, 1855 წლიდან თბილისის სასულიერო სემინარიაში ოსური ენას ასწავლიდა. დანიელ ჭონქაძის მიერ ჩაწერილი ოსური ხალხური შემოქმედების ნუმუშების ნაწილი 1868 წელს პეტერბურგში გამოიცა.[1] მან რამდენიმე წიგნიც თარგმნა ქართულიდან ოსურ ენაზე. როგორც ა. გაჩეჩილაძე აღნიშნავს, დ. ჭონქაძეს რუსეთის სამეცნიერო აკადემიის მიერ მინდობილი ჰქონდა რუსულ-ოსური ლექსიკონის შედგენა, მუშაობაც დაუწყია, მაგრამ ავადმყოფობის გამო ვერ დაუმთავრებია. ლექსიკონის ნაწილი ამჟამად დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში.[2]

ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ოსური ენის შესწავლასა და განვითარებაში აკადემიკოსმა გიორგი ახვლედიანმა. ოსთა სამეცნიერო კადრების უმრავლესობა მომზადდა თბილისის სამცნიერო დაწესებულებებში. 1906 წელს თბილისში დაარსებულმა „ოსური გამომცემლობის საზოგადოებამ" 1907 წელს თბილისში გამოუშვა ოსური გაზეთი „ნოგ ცარდ" („ახალი ცხოვრება"). ამ საზოგადოებამ თბილისში მცხოვრები ოსი ახალგაზრდებისათვის გახსნა სკოლა, სადაც სწავლება მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა. ამავე საზოგადოებამ ჩამოაყალიბა დრამატული წრე, რომელმაც თავისი პირველი სპექტაკლი 1906 წელს უჩვენა მაყურებელს. მეტად საგულისხმოა ისიც, რომ ქართველი ხალხის ხელშეწყობით პირველი ოსური სახელმწიფო დრამატული თეატრი დაარსდა საქართველოში 1931 წელს. მომდევნო 1932 წელს კი ცხინვალში გაიხსნა პედაგოგიური ინსტიტუტი.

მეტად ანგარიშგასაწევი და აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ მაშინ როდესაც ორჯონიკიძეში არსებობდა ჩრდილოეთ ოსეთის ისტორიის, ეკონომიკის, ენისა და ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მხოლოდ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მომზადდა ოსური ენის განმარტებითი ლექსიკონის ოთხტომეული, რომლის შედგენაში ინსტიტუტის თანამშრომლებს დიდი დახმარება გაუწია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა. აქ-

---

[1] Осетинские тексти собранные Д. Чонкадзе и В. Цороевым, записки Академии наук, т. XIV, 1868.

[2] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. III, თბ., 1969, გვ. 376.

ვე მომზადდა „ოსეთის ლიტერატურის ისტორიის" მრავალტომეული, რომლის პირველი ტომი ჯერ-კიდევ ამ 25 წლის წინათ გამოიცა. გამოცემულია აგრეთვე „ოსეთიის ისტორიის" მრავალტომეული. სამხრეთ ოსეთშივე გამოიცა ოსური ხალხური ზღაპრების რამდენიმე ტომი როგორც ოსურ, ისე ქართულ და რუსულ ენებზე და სხვ.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, ბუნებრივია, დაისვას კითხვა, თუ რამ განაპირობა დღეს არსებული ვითარება ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. უპირველეს ყოვლისა, ეს იმის შედეგია, რომ ათეული წლების მანძილზე ეროვნულ და ეროვნებათშორის სფეროში დაგროვილ მტკივნეულ პრობლემებზე ნაკლებად ვზრუნავდით, აშკარად უგულებელვყოფდით ისტორიულ ფაქტებს. ამასთან, რაც მეტად საგულისხმოა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის რეაქციული წრეები ყოველმხრივ ცდილობდნენ ზეწოლა მოეხდინათ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე და ამით მომავალშიც განეხორციელებინათ თავიანთი იმპერიული მიზნები. საქართველოში ამისათვის საჭირო იყო აფხაზეთსა და ოსეთში არსებული სეპარატისტული ძალების გამოყენება, ამ ძალების გაფართოება, მათდამი მხარდაჭერა, ანტიქართული განწყობილების გაღვივება. მათ ამ საქმეში ფართოდ გამოიყენეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. იდეოლოგიურად ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რამაც შემდეგში სისხლისღვრა და მრავალი უბედურება გამოიწვია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში.

რუსეთის რეაქციულმა ძალებმა სამხედრო ტექნიკითაც შეიარაღეს ოსი სეპარატისტები, რადგან მათ არა თუ ტანკი, ტყვიამფრქვევიც კი არასოდეს ჰქონიათ. ამჟამად მათ შეიარაღებაში აქვთ 87 ტანკი, 95 ნაღმსატყორცნი, და ქვემეხი (მათ შორის 72 ჰაუბიცი), 23 რეაქტიული სისტემა, 80-დან 100-მდე ბეტეერი, 3 შვეულმფრენი და სხვა.[1] ისინი, რა თქმა უნდა, ვერ გაბედავდენენ საქართველოს ტერიტორიის ხელყოფას, რომ მათ ზურგს არ უმაგრებდნენ რუსეთის რეაქციული ძალები.

სახელმწიფოს ტერიტორიული ცვლილებები არ შეიძლება მოხდეს ერის ინტერესების უგულებელყოფის ხარჯზე. ამასთან, ახალი პატარა სახელმწიფოების წარმოქმნა მწვავე კონფლიქტურ საომარ მოქმედებათა გარეშე თითქმის შეუძლებელია. ასეთი კონფლიქტები,

---

[1] „Независимая газета", 26 июля, 2006 г.

როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ფართო ხასიათს იღებენ და, არც ისე იშვიათდ, შორდებიან ერთი ქვეყნის საზღვრებს. ამიტომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ახალი სახელმწიფოების წარმოქმნის წინააღმდეგია და მკაცრად უჭერს მხარს ყოველი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას.

ამჟამად მსოფლიოს ხალხთა ენების რაოდენობა 4-5 ათასს აღწევს, ხოლო ხალხთა რაოდენობა დაახლოებით 3 ათასს უდრის. ადვილი წარმოსადგენია რას დაემსგავსებოდა მსოფლიო, როგორი იქნებოდა მისი მომავალი, როგორ სისხლისმღვრელ ბრძოლების ალში გაეხვეოდა ჩვენი პლანეტა ამ ხალხებმა დამოუკიდებლობა და ცალკე სახელმწიფოებრიობა რომ მოითხოვონ და თავიანთი მიზნების პრაქტიკულ განხორციელებას შეუდგნენ. მაგალითად, ინდოეთში რამდენიმე წლის წინანდელი მონაცემების მიხედვით 845 ენა და დიალექტი არსებობდა. 29 ეთნოსი, თითოეული ცალ-ცალკე, მილიონზე მეტ კაცს ითვლი, ხოლო 13 ეთნოსი — 10 მილიონზე მეტს. ასევე მრავალეროვანია ჩინეთის სახელმწიფო და ბევრი სხვა დიდი თუ პატარა ქვეყანა. ბუნებრივია, არც ინდოეთი და არც ჩინეთი არ დაუშვებს თავისი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას. სწორედ ამიტომ, მაგალითად, ინდოეთის ხელისუფლებას მეტად დიდი ბრძოლა უხდება სეპარატისტული მოძრაობის წინააღმდეგ. თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში მოთხოვნა ან მოქმედება შტატებს შორის ტერიტორიის გადანაწილების ან მათი გამოყოფის შესახებ, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ხანგრძლივი პატიმრობით ისჯება.

ნართების შესანიშნავი ეპოსი იმით მთავრდება, რომ ყველა ნართი თავისთვის საფლავს ითხრის. ასეთი ტრაგიკული აღსასრული ერგოთ ნართებს. ის, რაც დღეს „სამხრეთ ოსეთში" ხდება ოსი ექსტრემისტების მიერ, სწორედ საფლავის თხრაა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ისინი არ ინდობენ არც ქართველებსა და არც ოსებს. მათ არ უნდათ დაინახონ ისტორიული ჭეშმარიტება, ცდილობენ დაუბნელონ თავიანთ ერს გონება, მოწამლონ ერის ცნობიერება, დააყენონ ერი აგრესიის გზაზე. კოკოითი და მისი მსგავსი ადამიანები ნართების ეპოსიდან იმ ეშმაკ სირდონს მოგვაგონებენ, რომელმაც დაღუპა ნართები.

ყალბად გაგებულმა პატრიოტიზმმა ის შედეგი გამოიღო, რომ ოსი სეპარატისტული ძალები და ოსი ექსტრემისტები ყველაფერს აკეთებდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფი-

სათვის, ცდილობენ სამკვდრო-სასიცოცხლოდ დააპირსპირონ ერთმანეთს ქართველი და ოსი ხალხები. ეს იმის შედეგიც არის, რომ ჩვენც წლების მანძილზე ყურადღებას არ ვაქცევდით ეროვნული პრობლემების მეცნიერულ დონეზე გადაწყვეტას, ვერიდებოდით სიმართლის თქმას ჩვენს ტერიტორიაზე სხვა ხალხთა განსახლების ობიექტური მიზიზების შესახებ, ყველაფერს მხოლოდ და მხოლოდ ინტერნაციონალიზმის პოზიციებიდან განვიხილავდით. ამის ნათელი მაგალითია ოსური ლიტერატურის კლასიკოსის კოსტა ხეთაგუროვის აბსოლუტურად მცდარი მოსაზრება ოსეთის მდებარეობის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ოსური თემები ღრმა ხეობებში ცხოვრობდნენ და ერთმანეთთან უაღრესად შეზღუდული ურთიერთობა ჰქონდათ. ამავე დროს, მას „ახალქალაქიდან, ქუთაისიდან და გორიდან დაწყებული და მოზდოკით დამთავრებული" დანარჩენ ოსეთად მიაჩნია.[1] არა გვგონია ეს მოსაზრება, რომელსაც არაფერი აქვს საერთო რეალობასთან და ოს სეპარატისტებსაც კი არ სჯერათ, არავის წაეკითხოს, მაგრამ ყველაფრის მხოლოდ ინტერნაციონალური პოზიციიდან განხილვის გამო, მასზე სიტყვაც არავის დაუძრავს. არ შეიძლება საღი აზრი მოვლენების უბრალო შემყურე დარჩეს.

ყოველივე აღნიშნულის გამო, ოს ექსტრემისტებს გზა უნდა გადაულობოს, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ოსმა ხალხმა, რომელსაც მთელი ჩვენი თანაცხოვრების მანძილზე გათავისებული ჰქონდა ქართველი ხალხის ჭირი და ლხინი, ისევე, როგორც ქართველ ხალხს — მათი. საქართველოში მცხოვრებ და მოღვაწე „მახლობელთა ჩუენთა მთიელთა ოსთა" იურიდიული და მორალური მოვალეობაა დაიცვან ჩვენი ქვეყნის ინტერესები, ქართველ ხალხთან ერთად იბრძოლონ მისი დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და აყვავებისათვის.

---

[1] К. Хетагуров. დასახ. ნაშრომი, გვ. 235.

ის, რაც ზემოთ ითქვა, ოდნავ ეჭვსაც არ ბადებს იმის შესახებ, რომ ოსები საქართველოში XVII-XIX საუკუნეებში ჩამოსახლდნენ. ეჭვს არ ბადებს არა ამ წიგნის ავტორის რაიმე ახირებულობის გამო, არამედ იმიტომ, რომ ძველი ქართული ლიტერატურული და ისტორიული წყაროები, იტალიელი მისიონერებისა და ევროპელი მოგზაურების, ქართველი, რუსი და თვით ოსი მეცნიერების ნაშრომები, ენობრივი მასალა, ქართული და ოსური ფოლკლორი, შიდა ქართლის მთიანეთის ხუროთმოძღვრება, ეპიგრაფიკა, ტოპონიმები სხვაგვარად თქმის უფლებას არ გვაძლევს. მხოლოდ ოსი სეპარატისტებისა და მათი დამქაში რუსეთის რეაქციული ძალების პოლიტიკური ვნებების ჩასაცხრობად კი ხელახალი ისტორია ვერ დაიწერება.

ამ წიგნის ობიექტურ მკითხველს არ გაუძნელდება დარწმუნდეს, რომ ოსებს საქართველოში XVII საუკუნემდე კომფაქტურად არასოდეს უცხოვრიათ. მხოლოდ ამ საუკუნეში გადმოდიან ოსები, ისიც მცირე რაოდენობით, საცხოვრებლად საქართველოში და ისინი შიდა ქართლის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში, კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე სახლდებიან. კონიუნქტურას აყოლილი ოსი დილეტანტი მეცნიერები ცდილობენ სულ სხვაგვარი დატვირთვა მისცენ ოსების ცხოვრებას საქართველოში და ჯერ ოსთა გადმოსახლების საწყის ეტაპად XIII საუკუნის მეორე ნახევარს მიიჩნევენ, შემდეგ კი ეს თარიღი უაღრესად დააძველეს და წერილობითი წყაროების დამახინჯებული, სასურველი წაკითხვის შედეგად დაასკვნეს—აღმოსავლეთ საქართველოში, იბერიაში ოსები ჩვენს წელთაღრიცხვამდე არათუ ცხოვრობდნენ, არამედ მათ გაბატონებული მდგომარეობაც ეჭირათ და ვახტანგ გორგასალის დროსაც, V საუკუნეში შიდა ქართლი ოსებით იყო დასახლებულიო, რაც ოდნავადაც არ შეესაბამება სინამდვილეს. საკმარისია აღინიშნოს, რომ უაღრესად მდიდარ ქართულ ისტორიულ წყაროებსა და ამ პერიოდის ლიტერატურულ ნაწარმოებებში ოსების ცხოვრების კვალიც კი არსად ჩანს. ამ პერიოდის ძველ ქართულ წყაროებში, განსაკუთრებით, V—XII საუკუნეების ქართულ საეკლესიო და საერო ლიტერატურაში ფართოდ არის გაშუქებული საქართველოში ებრაელების, სპარსელების, არაბების, სომხების, ბერძნების ცხოვრების ცალკეული ეპიზოდებიც კი. ყოვლად დაუშვებელია, თუკი ოსები თუნდაც მცირე რაოდენობით საქართველოში, მართლაც,

ცხოვრობდნენ, რაიმე ფორმით ეს არ ასახულიყო ძველ ქართულ წერილობით წყაროებში. არც უცხოურ წყაროებშია რაიმე ნათქვამი მათი საქართველოში ცხოვრების შესახებ.

ოსებს საქართველოში არც XIII საუკუნეში უცხოვრიათ. ამ საუკუნის მეორე ნახევარში ოსთა მოთარეშე რაზმები შემოყვნენ მონღოლებს, რაც მონღოლთა ინტერესებშიც შედიოდა. ოსებმა დაიკავეს გორი და მისი მიმდებარე ზოგიერთი ნაწილი. მათ წინსვლას გადაეღობა სამცხის ძლიერი ფეოდალი ბექა ჯაყელი. ქართველმა მემატიანეებმა კარგად იცოდნენ, რომ ოსები ძირითადად სათარეშოდ იყვნენ მოსულები და ადრე თუ გვიან მათ საქართველოდან გააძევებდნენ. ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ „ქალაქი გორი წარტყუენეს და თვისად დაიჭირეს ოვსთა“,[1] ქართველი მემატიანეები იმას კი არ აღნიშნავენ, რომ გორში ოსები ცხოვრობდნენ, არამედ მათი იქ ყოფნის, და არა ცხოვრების, შესახებ სპეციალურ გამოთქმებს ხმარობენ: „ოსნი რომელ სხდეს გორს“, „ოვსნი გორს მსხდომნი“, „ოვსთა გორს მყოფთა“.[2] მართლაც, მალე მეფე გიორგი ბრწყინვალემ ოსები უწყალოდ განდევნა — „განასხნა და აღფხურნა“ საქართველოდან. ამის შემდეგ მთელი ორი საუკუნე ქართველი მემატიანეები ოსებს აღარ ახსენებენ.

არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი. ქართველი მეფეები მტერთან საბრძოლველად ხშირად ქირაობდნენ ოსებს, რომლებიც გადმოყავდათ ჩრდილოეთ კავკასიიდან. კერძოდ, ჯალალე-დინის წინააღმდეგ საბრძოლველად რუსუდანმა შეკრიბა ჯარი, მათ შორის, დარიალის გზით, „გარდამოიყვანნა ოსნი“, ხოლო გიორგი III-მ, „გამოასხნა ოვსნი“ სულთანის წინააღმდეგ საბრძოლველად[3] და სხვ. შეუძლებელია, რომ თუკი ოსები ცხოვრობდნენ შიდა ქართლში, მემატიანეებს ლაშქართა შეკრების დროს არ აღენიშნათ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ოსების მონაწილეობა ბრძოლებში და მხოლოდ „გარდმოყვანილი“ ოსებით დაკმაყოფილებულიყვნენ.

ვერც იმ ფაქტს უგულებელყოფს ობიექტური მკითხველი, რომ „სამხრეთ ოსეთში“ მცხოვრები ოსები ყოფილ საბჭოთა კავშირში ყველაზე კარგად ცხოვრობდნენ. ამის შესახებ წიგნში მოყვანილი

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.296.
[2] იქვე, გვ. 306, 318, 445.
[3] იქვე, გვ. 183, 11.

ოფიციალური სტატისტიკური მაჩვენებლების მიხედვით სხვაგვარი დასკვნის გაკეთება ძნელია.

ვერც იმ ჭეშმარიტებაში შეიტანს ეჭვს ვინმე, რომ საქართველოში მცხოვრებ ოსებს ყოველგვარი პირობები ჰქონდათ შექმნილი მეცნიერების, თავიანთი ენის, ისტორიის, კულტურის, მშობლიურ ენაზე სწავლებისა და, მაშასადამე, თვითმყოფობის, ტრადიციების, წეს-ჩვეულებების დაცვისა და განვითარებისათვის. თუ ზემოთ ნათქვმს გავიმეორებთ, ჩრდილოეთ ოსეთში არც ერთი სკოლა არ იყო ოსურ ენაზე, მაშინ როდესაც საქართველოში 98 ოსური სკოლა ფუნქციონირებდა. 1988 წელს, კი „სამხრეთ ოსეთში", რომლის მოსახლეობა 6,4-ჯერ ნაკლები იყო ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რეპუბლიკის მოსახლეობაზე, ყოველ ათი ათას მცხოვრებზე 3,5-ჯერ მეტი დასახელების წიგნი გამოდიოდა, 2—ჯერ მეტი ტირაჟით, ვიდრე ჩრდილოეთ ოსეთში. ეს ორი თვალსაჩინო მაგალითიც სავსებით საკმარისია საკითხის არსის გარკვევისათვის.

უკანასკნელმა ათწლეულმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ მტრობას, სისხლისღვრას, ერთმანეთის ინტერესების უგულებელყოფას სიკეთე არასდროს და არავისთვის მოუტანია. რა თქმა უნდა, დაპირისპირება სიკეთეს არ მოუტანს არც ქართველებს და არც ოსებს, რომელთანაც ჩვენ მჭიდროდ გვაკავშირებს საერთო ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, მატერიალური და სულიერი კულტურა და, რაც მთავარია, სისხლისმიერი ნათესაობა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ თბილისში ყველაზე ხშირი იყო ქართულ-ოსური ქორწინებები.[1] ასევე ხშირი იყო ასეთი ქორწინებები მთელ საქართველოში. ასეთი ქორწინებების შედეგად შექმილი ოჯახები, როგორც წესი, თანაბრად ეფუძნება ქართულ და ოსურ კულტურას. ცხადზე უცხადესია, რომ დაპირისპირება არ შედის ორი მოძმე ხალხის არც პილიტიკურ, არც ეკონომიკურ და არც კულტურულ ინტერსებში, როგორც მთლიანად საქართველო წარმოადგენს ერთიან, განუყოფელ ორგანიზმს, ისე ცხინვალის რეგიონი განუყოფელია დანარჩენი საქართველოსაგან, მისი ეკონომიკა — საქართველოს ეკონომიკისაგან, ერთიანობის გარეშე შეუძლებელია თავით ცხინვალის კეთილდღეობა.

ამ ჭეშმარიტების მოწინააღმდეგეები ქართველი და ოსი ხალხის მტერები არიან, რომლებიც ცდილობენ თავს მოხვეული პოლი-

---

[1] А.Сусоколов. Междинациональные браки в СССР, М., 1987, с.47.

ტიკური კონფლიქტი ეთნიკურ კონფლიქტშიც გადაზარდონ. ხომ ყველასათვის ნათელია, რომ ეს კონფლიქტი გარეშე რუსეთის რეაქციული ძალებისა და ერთი მუჭა ადგილობრივი სეპარატისტების მიერ არის ინსპირირებული. განა მტკიცება უნდა იმას, რომ ცხინვალის რეგიონი, რომელიც მოსახლეობის რაოდენობით, ეკონომიკური პოტენციალით საქართველოს საშუალო სიდიდის — ქარელის რაიონსაც კი ვერ უტოლდება, ვერ შეინახავს საკმარისი რაოდენობით ჯარებს, ვერ აღჭურავს მათ თანამედროვე, ძვირადღირებული სამხედრო ტექნიკით და ვერ დააშანტაჟებს საქართველოს. ცხინვალის რეგიონში ხომ 50000 კაციც არ ცხოვრობს. ამავე დროს თვითგამოცხადებული „სამხრეთ-ოსეთის რესპუბლიკის" პრეზიდენტი ე. კოკოითი და მისი მხარდამჭერები იმაზეც უნდა დაფიქრდნენ, რომ ცხინვალის რეგიონის შეერთება ოსეთთან, უწინარესად ნიშნავს დანარჩენ საქართველოში დიდი რაოდენობით მცხოვრებ თავიანთ ძმებთან სამუდამოდ კავშირის გაწყვეტას და ამდენად საქართველოში მცხოვრები ერთიანი ოსი ხალხის შუაზე გახლეჩას. ამიტომ არ არის შემთხვევითი ცხინვალის რეგიონში მცხოვრები თანამემამულეებისადმი საქართველოს ოსი ეროვნების მოქალაქეთა შემდეგი მიმართვა: „ ...თქვენც ხომ შესანიშნავად იცით, რომ ჯერ კიდევ ამ თხუთმეტი წლის წინათ ძმათა შორის დაწყებული სისხლიანი კონფლიქტი იყო არა ოს—ქართველთა დაპირისპირება, არამედ ჩვენი სამშობლოს, საქართველოს მტრების მიერ გაჩაღებული სამოქალაქო ომი, რომელმაც საბოლოოდ, თითქმის, მთელი საქართველო მოიცვა და მრავალი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა—ოსისაც, ქართველისაც და საქართველოში მცხოვრები ყველა სხვა ეროვნების მოქალაქისა...

საქართველოში მცხოვრები ოსი ეროვნების მოქალაქეები ვართ ქართველი ერის ნაწილი და ვინც ჩვენს ხელოვნურად გახლეჩას, ჩვენს შორის შუღლის ჩამოგდებას ლამობს, ქართველი და ოსი ხალხების, ჩვენი საერთო სამშობლოს დაუძინებელი მტერია... ნუ ენდობით იმ უნიჭო და ცბიერ „ისტორიკოსებს", რომლებიც „ორი ოსეთის" გაერთიანების იდეას ქადაგებენ. —ეს იდეა, უპირველეს ყოვლისა, ოსი ხალხის სრული გადაგვარებისა და განადგურებისათვის არის მოგონილი.

ცხინვალის რეგიონის (სამხრეთ ოსეთის) გარეთ მთელ საქართველოში ასი ათასზე მეტი ოსური წარმოშობის საქართველოს მოქალაქე ვცხოვრობთ. თქვენცა და ჩვენც ჩვენი შთამომავლებისათვის სი-

კეთე და ბედნიერება გვსურს. ამიტომ ჩვენო მეგობრებო, ნათესავებო, ძმებო და დებო, მოდით, ერთად ვაშენოთ ერთიანი, ძლიერი, დამოუკიდებელი საქართველოს—ჩვენი სანუკვარი სამშობლოს მომავალი".[1]

კავკასიაში მშვიდობის დამყარებაში განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლია რუსეთს და ეს როლი მან აუცილებლად უნდა შეასრულოს. პოლიტიკურმა მოტივებმა გზა არ უნდა გადაულობოს სიმართლეს. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა რამოდენიმე საუკუნეს მოიცავს. ქართველები და რუსები ერთ სარწმუნოებრივ აღმსარებლობას — მართლმადიდებლობას ვაღიარებთ და, ცხადია, ცხოვრების წესის, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების სიახლოვეც გვაკავშირებს ერთმანეთთან. ერთ სახელმწიფოებრივ სივრცეში თანაცხოვრების დროს დიდი ჭირისა და ლხინის მომსწრენიც ვიყავით, ერთად ვითავისებდით ყოველივეს, რამაც კიდევ უფრო დაგვაკავშირა ერთმანეთთან. ერთმანეთის გვერდით ვიბრძოდით საერთო მტრის წინააღმდეგ და საერთოდ, 70-წლიან პერიოდში ბედი და უფრო მეტად უბედობა კარდაკარ გვდევდა. მომსწრენი ვიყავით იმისა, თუ როგორ ვერ გაამართლა ახალი საზოგადოების აშენების—სოციალისტური წყობის მოდელმა. ეპოქის დიდი ექსპერიმენტი კრახით დასრულდა და მან თან გაიყოლა ჩვენი თაობების დიდი ტკივილები და განცდები. ძველთან გამოთხოვება და გარკვეულწილად წარსულთან დაბრუნება არც ისე იოლი აღმოჩნდა, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანდა. ბევრგან ვერ ავცდით ეთნოპოლიტიკურ დაპირისპირებებს, რაც დიდი სისხლისღვრით დამთავრდა. ამასთან საბჭოთა კავშირის ელვისებურმა დაშლამ, პოლიტიკურმა, სამართლებრივმა, სამეურნეო და სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი კონტაქტების ერთბაშად გაწყვეტამ ერთ ფუნქციონირებად სივრცეში, სამაგიერო, უმთავრესად საექსპორტო სივრცეების ძიებამ, რაც დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული თანამედროვე სამყაროში, ხალხი უკიდურეს გაჭირავებაში ჩააგდო. ეჭვი არ არის, კონფლიქტების დარეგულიერება ხალხს ამ გაჭირვებიდან გამოიყვანს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს თაობებს უაღრესად რთულ და წინააღმდეგობებით სავსე ეპოქაში მოუწიათ ცხოვრება, რუსი და ქართველი ხალხების, ჩვენი ინტელიგენციის, მეცნიერების, მწერლების, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეთა მეგობრობა სამაგალი-

[1] გაზ. „24 საათი", 20 ივლისი, 2004 წელი.

თოდ დარჩება შთამომავლობას. დღესაც, ამ დაძაბული ვითარების ჟამს, ქართველ ხალხს ვერავინ დასწამებს რუსი ხალხის მიმართ უპატივცემულობას. გვჯერა, რომ ასეთივე გრძნობითაა განწყობილი ჩვენს მიმართ რუსი ხალხი. ამიტომ დიდ იმედს ვამყარებთ რუსეთზე. საკმარისია მან გამოიჩინოს კეთილი ნება—შეუწყვიტოს სეპარატისტებს პოლიტიკური, ეკონომიკური და, რაც მთავარია, სამხედრო მხაედაჭერა, რომ კონფლიქტი უმალვე ამოიწურება და ყველაფერი მშვიდობიანად დალაგდება. ეს რუსეთის ინტერესებშიც შედის: მშვიდობიანი კავკასია ერთნაირად გვჭირდება ქართველებსაც და რუსებსაც. ბედმა გვარგუნა სამუდამოდ ერთმანეთის მეზობლად ცხოვრება და „ხსოვნის მქონე შთამომავლობას“ სიყვარული გზად და ხიდად უნდა დავუტოვოთ.

* * *

მაგრამ ავტორის ამ კეთილ სურვილებს აღსრულება არ ეწერა. რუსეთს ომი საქართველოსთან, როგორც ნათლად გამოჩნდა, დაგეგმილი ჰქონდა და მისი კარნახით ოსმა სეპარატისტებმა ქართველების პროვოცირება მოახდინეს. 2008 წლის ზაფხულში და განსაკუთრებით აგვისტოს დასაწყისში ოსები განუწყვეტლივ ქვემეხებიდან ბომბავდნენ და ტყვიებს უშენებდნენ ქართულ სოფლებს. როდესაც სხვა გამოსავალი აღარ დარჩა, წესრიგის აღსადგენად და ბოლოს და ბოლოს თავის ტერიტორიაზე იურისდიქციის დასამყარებლად ქართული საჯარისო ნაწილები ცხინვალის რეგიონში შევიდნენ. თურმე რუსეთიც ამას ელოდა.

ცნობილია, რომ რუსეთმა საქართველოს მოქალაქეებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსეთის მოქალაქეების პასპორტები დაურიგა და ახლა, ვითომც თავისი მოქალაქეების დაცვის საბაბით, ცხინვალის რეგიონში უამრავი ჯარისკაცი და სამხედრო ტექნიკა შეიყვანა და დაიწყო იქ ნამდვილი საომარი მოქმედებები. იმავდროულად რუსეთმა ცოცხალი ძალა და საომარი ტექნიკა შეიყვანა ქვეყნის სხვა რეგიონებში, დაბომბა საქართველოს თითქმის ყველა კუთხე. მისი ჯარისკაცები და ტანკები დათარეშობდნენ მთელ შიდა ქართლში. ფაქტობრივად რუსებმა დაანგრიეს ქალაქი გორი, დაბომბეს ქვეყნის

ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყნის დედაქალაქ თბილისში, ფოთში, მარნეულში, სენაკში... დახოცეს უდანაშაულო ადამიანები. ჯარისკაცები ეწეოდნენ მარადიორობას, მათ საცხოვრებელ ბინებიდან გამოიტანეს ყველაფერი, რისი გამოტანაც კი შეიძლებოდა (ყველაფერთან ერთად მათ ბინებიდან კოვზები და ჩანგლებიც კი გამოიტანეს, რაც მსოფლიო საზოგადოებამ ტელევიზორის ეკრანიდან იხილა), დააცარიელეს მაღაზიები, ოფისები, ბორჯომის ხეობაში ცეცხლი წაუკიდეს ტყეებს, საშინელი სისასტიკე გამოიჩინეს მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ. ორასი ათასი ადამიანი იძულებით ადგილნაცვალი პირი გახდა. ის, რაც რუსებმა ჩაიდინეს, მას არაფერი აქვს საერთო საკუთარი მოქალაქეების დაცვასთან. არც მსოფლიო საზოგადოებაა დღეს ისე მიამიტი, რომ წინასწარგანზრახულად დარიგებული პასპორტების გამო ვითომ საკუთარი მოქალაქეების დაცვის კანონიერება დაიჯეროს. ამ საბაბით რუსეთს შეუძლია მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას დაესხას თავს. საერთოდ კი შეიძლება ითქვას შემდეგი: როდესაც რუსეთმა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსული პასპორტების დარიგება დაიწყო უკვე ღიად ჩანდა, რომ იგი ყოველმხრივ ხელს შეუშლიდა კონფლიქტების მოგვარებას.

საქართველო მთელი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში ასე ერთბაშად, ასე საშინლად და მთლიანად არავის აუოხრებია. რუსეთმა შესანიშნავად იცის რაც და რატომ ჩაიდინა და ახლა თავს უსუსური არგუმენტებით იმართლებს. დიდი რუსი კრიტიკოსი ბესარიონ ბელინსკი აღნიშნავდა: „მრწამსი ძვირფასი უნდა იყოს მხოლოდ იმიტომ, რომ ის ჭეშმარიტია და არა იმიტომ, რომ იგი ჩვენია“. მსოფლიო საზოგადოებრიობამ უკვე შეაფასა, რომ საქართველოსთან დამოკიდებულებაში რუსეთის მრწამსი მეტად შორს დგას ჭეშმარიტებისაგან და იგი მხოლოდ მისი იმპერიული მრწამსია.

შ ი ნ ა ა რ ს ი

კონფლიქტის ანატომია	3
ოსების ჩამოსახლება საქართველოში	16
ცხინვალის ძირძველი მოსახლეობა	31
როდიდან იხმარება ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“	37
მართლა შეუერთდა თუ არა „სამხრეთ ოსეთი“ რუსეთს 1774 წელს	40
გაყალბებული ისტორია	56
ცალმხრივად დანახული მოვლენები და „დაჩაგრული“ ოსები	80
ბოლოთქმა	108